

გიორგი სოსიაშვილი

# ნატყვიარი

რედაქტორი: გიორგი ხორბალაძე



გამომცემლობა „ენივერსალი“  
თბილისი 2013

© გ. სოსიაშვილი, 2013

გამომცემლობა „ენივერსალი“, 2013

თბილისი, 01 79, ი. ვავავაძეს გამზ. 19, ჟ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-085-2

## უპოვარი გაბო

— მართლა რო გაბო ხარ, აიღე და შეჭამე, ემაგას რო აჭმევ, შენ რაღა დაგრჩება ჰა, აი, შენ რა გითხარი შენა, — თავი გააქნია თინამ. გაბოს კურადღება არ მიუქცევია, თითქო საჭ-მელი სულაც მიავიწყდა, პურს ლუკმა-ლუკმა ამტვრევდა და მაგიდასთან მოფოფხებულ ძალას აჭმევდა, მოფოფხებულს, რადგან მეზობლის ბებერ ქოფაკს, რომელსაც ძალლური წუთისო-ველი უკვე დაესრულებინა და რამდენიმე თვე, ან სულაც დღე პქონდა დარჩენილი სააქაო ცხოვრებისა, ისე გულმოდგინედ აპურებდა, თავისი შიმშილი სულაც ადარ ახსოვდა. ქოფაკი ისე მილასტულიყო უჭმელობისგან თუ სიბერისგან - ამას რას გაიგებდი, თვალებზე ძალლური ბისტი გადაკროდა და გაბოს მიწოდებულ პურის ნატეხებს დაუდეჭავად ყლაპავდა. ჭამას ეშურებოდა, ერთი-ორჯერ დაუცაცხანა თინამ, მეზობლის დაუპატიუებელ სტუმარს ფეხიც მიპკრა, ადე მოუსვი აქედან, ამის შიმით სუფრა ვეღარ გამიშლიაო. ძალაი ძლივს, ვაი-ვაგლახით წამოდგა, ბებერი, მილასლასებული სხეული, როგორც ჩვენებულები გამხდარ კაცზე იტყვიან ხოლმე-წისქილზე დაიფქვებაო, ვაი-ვაგლახით წამოსწია, ვეღარ ერეოდა, თითქო თავისი კი

არა, სხვისი სხეული პქონდა საორევად. ეს ბებერი სხეული აგრძნობინებდა, როგორ მომთავრებულიყო მისი ძალლური კოფა. წავიდა, წალასლასდა, ერთი ხანობა არ მოდი-ოდა. გაბო ჭამდა, თინას მირთმეულ მაწვნის შეჭამანდს შეექცეოდა მთელი დღის მოშიებუ-ლი, მაგრამ თან ცალი თვალი ბადისკენ გაურ-ბოდა, სადაც ძალლი წასულიყო. ბებერმა ქო-ფაკმა იცოდა, რო თინას რისხვა ისევ დაატყ-დებოდა, მაგრამ კეთილი კაცის მიწოდებული ლუკმა ძალზე მაცდური იყო და ისევ მოვიდა. გაბომ თავისი წილი პური დაუმტვრია, თინამ ისევ შეასწრო თვალი, მაგრამ გაბომ აღარ და-ანება.

— აღარ გააგდო რა, გეხვეწები, ვითომც მე შემიჭამია, — მერე ბებერ ქოფაკს ხელი გადა-უსვა თავზე თანაგრძნობის ნიშნად. ძალლს შუქჩამქრალ თვალებში ჩახედა, უნდოდა ეთქვა, არ იდარღო, მეც შენსავით სამაღლო ლუკმას მაჭმევნ, ერთნაირ დღეში ვართ, განსხვავება ის არის, რო შენ ძალლი ხარ, მე ადამიანი, შენ ბებერი ხარ, მე შედარებით ახალგაზრდა, თუმცა, რა მნიშვნელობა აქეს, შენც ხო იყავი ახალგაზრდა და იქნებ წინა ცხოვრებაში ადამიანიც იყა, ჲა, რას გაუგებ ამ ცხოვრებას, ამ უცნაურობით სავსე ცხოვრებას.

— დაგისხა კიდე? — პკითხა თინამ.

გაბომ თავი დაუქნია და ისევ ფიქრი გააგრძელა. ისე მართლა რო არსებობდეს სხვა ცხოვრება და ერთ მშენიერ დღეს გაგახილო თვალი და ძაღლი ვიყვე მეცა, შენნაირი ძაღლი და მეც ესე დავბერდე. თუმცა რა, ადამიანებიც ხომ ბერდებიან, რა განსხვავებაა და როგორც შენ აგიბზევა და მოგინარიკლა ამ ხალხმა და არავის უნდიხარ, ადამიანებსაც ეგრე ეპცევიან, ესე იგი ბევრი არაფერი განსხვავებაა ჩვენ შორის და არც ის იქნება გასაპირი, მე რო ჩემს ულუფას გაჭმევ ეხლა. სხვა ცხოვრებაში შეიძლება შევხდეთ კიდეც ერთმანეთს, შენ ადამიანი იყო, მე ძაღლი და მერე შენ მიწილადო ულუფა. რას გაუგებ ამ წუთისოფელს, რომელსაც... რა ვიცი მე რა დავარქვა. ცოტა მეტი წლებია საჭირო, რო ბევრი იყიდო ადამიანმა და ჩაწვდე რამეს. ხალხი წუწუნებს, მოკლე წუთისოფელი გვაქო, ოჯახები აქვთ, შვილები, შვილიშვილები, ამ მიეთ-მოეთში ეხარჯებათ დრო, არადა საფიქრალად მოგვცა გამჩენმა და ცოტა მეტი რო წაემატებინა, იქნებ უფრო მეტი რამ გაგვეგო, თუმცა რა აზრი აქვს, ზოგმა შეიძლება ერთ დღეში აღმოაჩინოს სამყაროს საიდუმლოება, ამქვეყნად მოსვლის მიზეზი, ზოგს კიდევ სამი წუთისოფელი რო მისცე, მაინც არაფერი გამოვა.

ქოფაქმა ცრემლნადენი, ჩაშავებული, უპეეშემოსველებული თვალებით უმზირა გაბოს, ხან ძირს დაიხედებოდა, ხომ არაფერი დამრჩა

შესაჭმელიო, ალბათ, ძაღლური მეხსიერება დალატობდა.

— გაგინათლოს წასულები თინა ძაღლო, — პური მოტეხა გაბომ, წითელი ღვინით სავსე ჭიქაში კუთხით ჩაასველა, მიაგებოთ იმ ცხონებულებს, საწყალ ანდრო ძიას, რა კაცი იყო, პურმარიალიანი. ეგეთი კაცები არ უნდა კვდებოდნენ არა. დმერთსაც კარგები უნდაო.

— გაიხარე, გაბო, იმის მოსვლამდე იცოცხლე, იმის მოსვლამდე, — მარტოხელა თინამ, სამ-სამი ბიჭი რო ქალაქში ჰყავდა, ისეთი ამოიხერა, გულ-მუცელი ამოაყოლა.

გაბომ ჭიქა გამოცალა და ისევ ძაღლისკენ გაექცა თვალი, პურის ლუქმა მოტეხა, ოღონდ პატარა ლუქმა, თინა არ გაბრაზდესო და ქოფაკს ვეხებთან მიუგდო. ქოფაკმა დასუნა და აღარ შეჭამა.

— ყელში აქ ამოსული ამ სამგლესა ამასა, პურს აღარა კადრულობს, — ისევ წამოენოთ თინა და საბოლოოდ მეზობლის ძაღლი იქაურობას გაშორდა.

ელოდა გაბო, მაგრამ აღარ გამოჩენილა. წავიდა და წავიდა. ლასლასით გაუყვა ბაღისკენ მიმავალ ბილიკს. გაბომ ერთიც დალია, ღმერთი შეიწია, მერე წამოდგა და შეშის ჭრა განაგრძო. თინას მეზობელ ვასოსგან ეთხოვა ქართული ცული, უასქელი. წელზევით გახდილი გაბო ჯერ შუა-შუა ჩეხავდა წიფლის ვეება კუნძებს, მუშაობდა გულიანად, იტყოდი,

რაც ჯანი პქონდა, უნდოდა, რო თინას შეშისთვის შეელია და ამით დაემთავრებინა თავისი ამქვეყნიური ტანჯვაზალება, ეზოში დაჭრილ-დანაკოდლებული შეშის ზვინი იდგა. ორმოცდათს მიტანებული გაბო ხანდახან შეისვერდდა, თინას ნაჩუქარ უფილტრო სიგარებს გააბოლებდა, თავის ფიქრებში ჩაიძირებოდა, მერე ისევ საქმეს შეუდგებოდა. აბა, უცბათ, ერთი გაელგვით წამოიდგინეთ - სახეგაშხმატლული, მზემოკიდებული, ჭალარა-წვერიანი გაბო, აქა-იქ შერჩენილი კბილებით, ერთი შეხედვით უშნო, ჭუჭყისფერი, მოუვლელი, მეზობლების ნაჩუქარი ნაპარტლებით შემოსილი, მაგრამ ამ სიუშნოვები იჯდა ორი ისეთი თვალი, რომლებიც მწვანე, კეთილ შუქს გამოსცემდა, საძებნი რო იყო ადამიანებში.

\* \* \*

მამისეულ სახლში, რომელიც ომს და რუსების ნასროლ ჭურვებს ისე დაეზიანებინა, რო აღმოსავლეთის კედელი მიღგმული აივნით ერთიანად ჩამოექცია, გაბო მარტოდმარტო ცხოვრობდა თავის მოგონებებთან ერთად, რომლებიც გაბოს მეხსიერებასთან ერთად საოჯახო ალბომსაც შემოენახა.

- სახლში ხარ, გაბო? - შემოესმოდა ხმა.
- სახლში ვარ, მაშ სად ჯანდაბაში ვიქები. - მეზობლის ქალი თუკლა

დაუმახებდა, მათლაფით მოპქონდა დოლოს შეჭამანდი.

- რად მინდოდა ამდენი, ჯერ ისიც არ შემიჭამია.

- ჭამე, ადამიანო, სულიწმინდა ხო არ გარჩენს?

- სულიწმინდა... - ჩურჩულებს გაბო და ჭერს ასცემერის.

\* \* \*

- მამაშენის შვილი ესე არ უნდა ცხოვრობდე, არა. სხვებს ინახავდა, სხვებს არჩენდა, ის ცხონებული რო წამოახედა, მეორედ მოკვდებოდა, მეორედ. აბა ამის შემყურე რა ჭეუზე დადგებოდა, კაცო, ეწვალა, იფორჩისიალა, იჯახირა, რისი გულისთვინა, აბა აიმ სახლს გახედე, ჭინკების ბუდედ გადააქცია, ჭინკების ბუდედ. ის სხვა კაცი იყო, იმას ესეთი რამე არ ეპადრებოდა, არა! - გულჯავრიანი ამბობს ილო, - სხვა ამის აღილზე ცხოვრებას მოეწეოდა, რა აღარ დაუტოვა, ამან კიდევ მიანიავა.

- მამამისის ბრალია, - ოქვა ენუქამ, - მარტო ცხოვრების შოვნაზე რო იყო გადართული, ცოტა ამისთვისაც უნდა მიეხედა. შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო, გიჟებს კი არ უთქვამთ. შვილმა ფულის ყადრიც უნდა იცოდეს და ცხოვრებისაც. ფუქსავაზი არ უნდა გაზარდო, არა. იმ ჩვენი ბაქარისა

არ იყოს, ვისთვინ ეწვალა, კაცო, იმოდენა სახლი წამოჭიმა, წელებზე ფეხებს იდგამდა და ეს კიდე, ეს ცალტვინა ბიჭი ფეხს არ ადგამს სოფელში, ბაქარის ვენასს სხვები კრეფავენ. ღმერთო, ნუ მისცემ გლახასას, ის არას შეინახავსაო. სერგოსაც ეგრე მოუკიდა, გაბო რო მამალ ბუზს თავზე არ ისვამდა, სერგოს ბაღში მეზობლის ბიჭები მუშაობდნენ და ეხმარებოდნენ ხოლმე. ახსოვს, ერთხელ რა უყო?

— რას გულისხმობ? — პკითხა კარისძირა მეზობელმა.

— გაბო რო დაიკარგა ერთხელ.  
— არ მახსოვს. — მხრები აიჩქა ილომ.  
— როგორ არ გეხსომება, კაცო, — ჩაეცინა ენუქას, შეიძლება მაშინ რუსეთში ცხოვრობდი, თორე როგორ არ გეცოდინება. ძუნწი კაცი კი იყო ის ცხონებული, ისა, აგროვებდა, აქუჩებდა. ფული უყვარდა, რო გეთხოვნა, კაპიკიანს არ გამოიტანდა. გაბომაც ერთხელ დაჰკრა ფეხი და ტაშკენტში წავიდა. რამდენი მოპარა იცი? ოცდაათი ათასი, სამი ცინცხალა მანქანა მოგივიდოდა, წავიდა და წავიდა. წეროს სკინტლივით დაიკარგა ეს მაიმუნი ესა. საწყალი სერგო გადარეული იყო. ეძება, აქეთ მიდგა, იქით მიდგა, მაგრამ გაგიგია? ფაფუ გაბო, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერავინ გაიგო. მერე ჩამოიტანეს ამბავი, აზიიდან ბალტიისპირეთში წავიდაო, რაში

ენადვლებოდა სერგოს ფულები. კარგა მაგრა იგრიალა, სანამ ეყო, ეყო ის ოცდაათი ათასი, მერე შემოელია და ისევ მოაკითხა სოფელს.

— ოხერია, ეგ ვირისთავი ეგა, — გაეცინა ენუქას.

ილოსაც გაეცინა.

— ისე გულკეთილი ბიჭი კია, ეგ უბედური, სული რო გეთხოვნა, არ დაენანებობა. ეხლა კიდევ... აეგ არი ეს მამაძალდი ცხოვრება, რა იცი კაცმა წინდაწინ რა გელოდება.

\* \* \*

— წაიღე შეშა, გაბო, — ეუბნება თინა, — ამოდენა შეშა მე მაინც არ დამჭირდება, წაიღე, სიცივეში ხო არ იქნები.

— არა ცივა ჩემთან. — ჩაიცინა გაბომ.

— შენთან ჯერ ალბათ ზაფხულია ისევ. წაიღე რო გეუბნები, ნუ ხარ ეგეოთ ქვის ნატეხი.

— კია წავიღებ, — დათანხმდა გაბო, — ხვალ ჩამოვალ და წავიღებ.

ორი შოთი გადაუხვია თინამ. გაბომ მადლობა გადაუხადა და წავიდა.

„ცოდვის სახილავად არის ეს უბედური ესა,“ — ჩაილაპარაკა ქალმა და ნაოჭებით ჩამოლარულ სახეზე ცრემლი ჩამოუგორდა.

\* \* \*

რაღაცნაირად მინდოდა, ცდები ჩამეტარებინა ჩემს თავზე. გეგონება საცდელი ცხოველი

ვარ. თუმცა, რითი ვართ ჩვენ, ადამიანები მეტ-ნი ცხოველებზე. მე მგონია არაფრით. იმით რო ადამიანს აქს კარგი სახლი, აქს განათლება, აქს ოჯახი, აქს ბევრი ფული... მე ერთ დროს მქონდა კარგი ოჯახი და ვეჯავრებოდი ადამიანებს, მქონდა ერთ დროს ბევრი ფული და ვეზიზღებოდი მეზობლებს, დავდიოდი ჩაცმულ-დახურული და თვალები გადმოცვენას პქონდათ. შური, შური, შური, ყველაფერი აქ-დან მოდის, ეს არის ყველაფრის სათავე. ლა-მაზი სახლის, კარგი ცხოვრების და ბევრი ფუ-ლის მოთხოვნილება იმიტომ უწინდებათ, რო სხვას დაანახონ, სხვა გააკვირვონ, კუნძულზე მარტოდმარტო მყოფ კაცს ასეთი სურვილები არ გაუწინდება, მაგრამ საკმარისია, სხვა ჩა-სახლო იქვე, მის გვერდით, რომ გაკრთება იმ ადამიანში მეზობელზე უკეთ ცხოვრების სურვილი. ამიტომაც ვარჩიე ასე ყოფნა, მარტოდმარტო ბერივით, ხანდახან სიცივეში, ხანდახან შიმშილში, ხანდახან სიბინძურეში, ვგდივარ ასე ჩემთვის და არავის არაფერი შურს ჩემი, არავის ვძულვარ. თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი ადამიანი არ იქნება სოფელში, მე რომ ვეჯავრებოდე, საკმარისია, ისევ ძველ ცხოვრებას დავუბრუნდე, შევიმოსო, სახლს მივხედო, ადამინური სახე მივიდო და ისევ შეიცვლება ყველაფერი - ჯერ გაკვირვება, მერე შური, მერე სიძულვილი, ამიტომაც მირჩევნია ასე, მეზობლების

ნაჩუქარი ტანსაცმლით, მეზობლების მიერ შემოწოდებული ჭინჭრის და დოლოს შე-ჭამანდით გავიტანო თავი. სიბრალული ხომ უნდა არსებობდეს, ხომ არის აუცილებელი, ეს სიბრალული დიდს თუ არა, მცირე სიკეთეს მაინც გააკეთებინებს ადამიანს. სიბრალულის მერე სიყვარულიც იბადება. ამიტომ ვარჩიე ასე. როდესაც მიყურებენ, ეშმაკები ადარ და-უხტით ადამიანებს, როდესაც მესალმებიან, ხი-ალალე ჩანს მათ სალამში. ასე მირჩევნია, ასე მინდა რო ვიცხოვო. პგონიათ, რო ვარ ყველა-ზე უბედური და ამ დროს ბედნიერად ვგრძნობ თავს, პგონიათ, რო ვიტანჯები, მაგრამ ამ დროს მე სიამოგნებას განვიცდი. პგონიათ, რო ვარ უპოვარი, მაგრამ ის მაქს, რაც არ მქონდა ახალგაზრდობაში... ასე მინდოდა და იმიტომაც გავაკეთე ასეთი არჩევანი.

ალბომს ჩასცექრის გაბო, წითელხავერდიან ყდებს შორის ფოტოსურათებად ჩალაგებულა მოგონები, წლები, თვეები, კვირები, საათები. არიან თავისთვის გაყუჩებულები, უდრტვინვე-ლად, უჩუმრად, დროში მიძინებულები, გაბო თუ გადაშლის ხანდახან და აკვირდება. იტყვი, წინა ცხოვრების წლებს თუ იხსენებს, აკვირ-დება სურათებს და ხმას არ იდებს.

ნაადრევად დაზამთრდა. გახელებული, ვნე-ბიანი ვაჟივით შემოახია სამოსი ბუნებას ზამ-თარმა... ძველისძველი, დაფხავებული ღუმელის წინ ჩამუხლულა გაბო, ცეცხლმოკიდებული

რეზინის ნაგლეჯი ამოუდია დამტვრეული კოწაწების ქვეშ და სულს უბერაგს. ჭრიალით გაიღო კარი და კარისებრ გაექცა თვალი გაბოს. ქარმა მეკვლეს მიერ მოტანილი ნუგბარივით გადმოაპნია ნამქერი. კარში ძაღლი გამოჩნდა. იდგა და კარგა ხანს აცქერდებოდა დუმელთან ჩაცუცქელ მეგობარს ბებერი ქოფაკი.

— შემო ცუგა, შემო, — გეგონება ადამიანს უხმობდა გაბო.

თოვლიანი თათებით და ბებერი ნაბიჯებით შევიდა ძაღლი.

2012 წელი 21 მარიამობისთვისა  
ურეკი

### პატარების ზღაპარი უფროსებისათვის

— არ გაიხედო, — ვიდაცა ჩამჩურნულებს, უჩინარი, ვერ ვხედავ, თვალებს ვაცეცებ აქეთიქით. მართლა ვერ ვხედავ. რომელი სუსტი თვალი მე მაქვს. ერთი, ორი სამი, თქვენ ვერ მხედავთ და ვერც დამინახავთ, მაგრამ უნდა დამიჯეროთ. მართლა სამი თვალი მაქვს. სამი თვალიდან ვათვალმზერებ ამოღენა უკიდევანო სამყაროს. თვალშეუდგამ სივრცეში დაკიდულან პლანეტები. უჰ, მერე რამდენია, ერთიანად გამოუფენია არსთა გამრიგეს, რაც რამ შეუქმნია, რაც რამ გაუქმნია. თითქო დვოის მიერ შექმნილი არსებების გამოფენაა. ვარსკვლავებს ხომ ნუღარ იტყვი. ბრჭყვიალ-ბრჭყვიალი გაუდით. კაშკაშებენ და მერე როგორ, თვალს მოგჭრის ზოგიერთი ვასკვლავის ციმციმი. ფერები? მაგას ნუ მკითხავ, ეს ფერები ენიო არ გამოითქმის. ცნობისმოყვარე არსება ვარ. ჯერ რაღაც ცდასავით არი ჩვენზე, პო ჩემზე და ჩემნაირებზე, მაგრამ მაინც მეტყობა თავიდანვე, რო მაგარი ცნობისმოყვარე ვიქნები. ყველა პლანეტის დანახვა შემიძლია. ყველასი, მაგრამ რატომდაც ქვემოთ როცა ვიყურები, აქეთკენ ცქერას მიკრძალავს ვიდაც უჩინარი - არ გაიხედო, არ გაიხედოო. მეც ვდგავარ ესე ახლად გაჩენილ პლანეტაზე, რომელსაც არც კი ვიცი, რა სახელი დაარქვა

ღმერთმა, მარტო ის ვიცი, რო ახალი გაჩენილია, სულ ახალი და ჯერ სულ რამდენიმე არსება დავაპიჯებთ, მე და კიდევ ჩემნაირები. ისინიც ზუსტად ჩემნაირები არიან. ვართ ასე დაახლოებით ერთი მეტრი და 60 სანტიმეტრი სიმაღლის, გვაქვს სამი თვალი, ორი ცხვირი, პირი საერთოდ არ გვაქვს, იმიტომ რომ ახალი ადამიანებისთვის პირი არ არის საჭირო. გეცინება? მართლა გეუძნები ასე-ეა. ღმერთმა გადაწყვიტა, ახალი რადაც შეექმნა, ახალი პლანეტა გაეჩინა და ახალი ადამიანებით დაესახლებინა. უი, წამომცდა, ადამიანი არ უნდა მეთქვა. ახალი არსებებით - სამთვალიანით და ორცხვირიანით. რატომ გვაქვს სამი თვალი და ორი ცხვირი? ახლა ამათ უსხენი. ეგრე მოინდომა ზენაარმა და მორჩა. პირი არაო და არცა გვაქვს. მაშ როგორ ვლაპარობთ? არ ვლაპარაკობთ, ვფიქრობთ და ოქვენ ეს ფიქრი გესმით. ესე იგი, ჩვენ დამალული არაფერი გვექნება, ფიქრსაც კი გაიგონებთ, ამაშია საქმე. აღარ იქნება დაცალკევებული ფიქრი და ლაპარაკი, რადგან როგორც ამისსნა ერთმა ანგელოზმა, რომელიც ახლად გაჩენილ არსებებს გვმფარველობს, ამან დაღუპა ადამიანები. რადგან ამბობენ ერთს და აკეთებენ სხვა რამეს. ამან დაბადა ტყუილი და მზაკვრობა, ამან დაუკარგა ნდობა და სიყვარული ერთმანეთთან დამოისგან გაჩენილ ადამიანებს. ჩვენ კი მარტო

ვიფიქრებთ და ფიქრს სიტყვებად გაიგებს ყველა და დასამალიც აღარაფერი იქნება. სამი თვალი საინტერესოა, ჩემი გააზრებით, ორი თვალი პქონიათ ჩვეულებრივ ადამიანებს, ხოლო მესამე თვალი იმიტომ დაგვიტოვა უფალმა, რო ის თვალსილული სამყარო დავინახოთ, რასაც ადამიანი ვერ ხედავდა. მიხვებოდით ალბათ. ადამიანი ვერ ხედავდა ანგელოზებს, ვერ ხედავდა მიღმიურ სამყაროს. ჩვენ ვტედავთ და აღარც უჭვი არ გვექნება არასოდეს, არსებობს თუ არა ღმერთი, არსებობენ თუ არა ანგელოზები და კიდევ საიქიო ცხოვრება. ისინი თურმე სულ ამის გარკვევაში ყოფილან. რამდენი საუკუნეა, უფლის ხელქმნილ სამყაროში ცხოვრობენ და მაინც ვერ დაუჯერებიათ, არსებობს თუ არა გამჩენი. ჩვენ ასეთი რაღაცები აღარ დაგჭირდება. ანგელოზისგან ბეჭრი რამე გავიგე მათი ცხოვრების შესახებ, როგორ ცხოვრობდნენ, როგორ არსებობდნენ, როგორ ჭამდნენ ერთმანეთს. როგორ უარყოფდნენ ღმერთს. პირველი ადამიანების შესახებაც მოგვიყვა ფრთიანი არსება. მაშინ გავიგე, ვინ იყო ევა, ვინ იყო ადამი, ქალი და მამაკაცი. ვაშლის ამბავიც გავიგე და ისიც, როგორ გამოყარა ღმერთმა, როცა ადამიანებს გაუჯავრდა, ისინი სამოთხიდან და ცოდვის შვილებად გადააქცია. მას შემდეგ რამდენი დრო გავიდა, ვინ უწყის. რა აღარ მოხდა სამყაროში, მაგრამ ცოდვის

შვილები ისევ ცოდვის შვილებად დარჩნენ და დღემდე ასე არიან. ვერ მოუცილებიათ ის უბე-დურება, რაც იმ უცნაური ნაყოფის შეჭმის შე-მდეგ დაემართათ. ომი უბედურება, დასახირება, ცილისწამება და რა ვიცი კიდევ. გაგიპ-კირდებათ, საიდან იცის ქს ყველაფერიო. ანგე-ლოზი გვიყვება. ჩვენ ზღაპრებივით გვეჩენება, მაგრამ ასე ყოფილა თურმე. ამიტომ გადაუწყ-ვეტია ღმერთს, რომელიც ჩვენ ჯერ არ გვიჩავს, მაგრამ ანგელოზი გვპირდება, თუ მის დარიგებას გავითვალისწინებთ, უსათუოდ დაგ-ვენახვება სამყაროს შემოქმედი, რომლის და-ნახვაც მისი ყველა ქმნილებისათვის, დამეთანხმებით, დიდი ბედნიერებაა, უფრო სწორად, ბედნიერებაზე მეტია. რამდენჯერმე თვალი მოვკარით იმ პლანეტას, სადაც ადამიანები სახლობენ. და როგორ ჩანდა დედამიწა, როგორც ჰქვია მათ საცხოვრებელს, თითქო ცეცხლი ეკიდა, ალმური ასდიოდა. ანგელოზმა მითხრა: დედამიწაზე ისეთი რაღაცები ხდება, ცოდვის ცეცხლი უკიდია, ამიტომაც ჩანს აქედან ასეთიო. ჯერ სულ ცოტა ხანია რაც ჩვენ გავჩნდით. ისიც არ ვიციო, როგორ უნდა გავმრავლდეთ, ისიც არ ვიციო, რა უნდა ვაკეთოთ, ვართ ასე და ველოდებით, კიდევ რა არსებებს შექმნის ახალ პლანეტაზე უფალი. რომელიც დაიღალა ადამიანების ცქერით და გადაწყვიტა, ახალი პლანეტა გაეჩინა, დედამიწაზე მდნავ პატარა

და ადამინის მსგავსი არსებებით დაესახ-ლებინა, ოღონდ დედამიწის ბინადრების მსგავ-სი ცხოვრებით არა. როგორც გითხარით, ჩვენ სხვანაირები ვართ. ფრენაც შეგვიძლია. დავდი-ვართ მსუბუქად, ჰაეროვნად. იტყვი, სხეული არცა გაქვსო. ანგელოზმა მითხრა: თავიდან ადამიანებიც მსუბუქად დადიოდნენ, მაგრამ მე-რე აურიეს, ცოდვებით დამტმდნენ და ბოლოს ძლივსდა დაბობდავენო. რამდენი ვართ? მინდა გაგაცნოთ ჩემი მეგობრები. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი. შვიდი ვართ. თვლაც ანგელოზმა მასწავლა. ყველანი იღიმე-ბიან, შეხედე. ახალი დაბადებულები არიან. ოღონდ მიწისგან კი არ მოგვზილა უფალმა, არამედ წყლისგან შეგვქმა. იღიმებიან. მესამე თვალს რო ჭუტავენ, ეგ არის მათი ღიმილი. მოკლედ, ბევრი რო არ ვიფიქრ-ვილაპარაკო, ანგელოზი ყოველდღე მოდის ჩვენთან, მართლა, დამავიწყდა, ჩვენთან სულ დღეა, არ დამდება და ამიტომ არც ძილი დაგვიწესა ღმერთმა, ადამიანებისგან განსხვავებით ნახევარ ცხოვრებას ძილში არ გავატარებთ. თუმცა არც ის ვიცი, რამდენ ხანს ვიცოცხლებოთ, ან ჩვენი სიკვდილი როგორი იქნება. ან როდის იქნება, ან რანაირად დავიმარხებით, მოკლედ, ბევრი რამ არ ვიციო. თუმცა ცნობისმოყვარება მაინც გვძალავს, რატომ აითვალწუნა უფალმა ის პლანეტა, ახლა ვიღაც უჩინარი ხმა რო გვიკრძალავს

იქით გახედებას. ანგელოსს შევაპარე, თუ ასეა  
და ღმერთს შესძულდა ადამანები და მათი  
ცოდვით ჩათითხნული დედამიწა, მაშინ რატომ  
არ ანადგურებს-მეთქი? ცეცხლოვანი თვალებით  
და გამჭოლ-გამბურღავი თვალებით ირიბად  
შემომხედა ანგელოსმა, რაღაც შევატყე, რო  
მეტიხარა არსების შთაბეჭდილებას ვტოვებდი.  
ვინ იცის, იქნებ იფიქრა კიდეც, ჯერ არ  
შეუქმნია და უკვე შეკითხვებს გვისვამენ და  
ესენი რო მომრავლდებიან, მერე რაღას  
იზამენო. თავი გააქნია სინანულის ნიშნად.  
მაგას თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებთ, უფლის  
სამართალი ისეთია, თქვენნაირების გონება  
მაგას ვერასოდეს ვერ ჩაწვდება. ღმერთს,  
მართალია, ბევრი რამ აწყენინეს, ბევრჯერ  
ატკინეს გული, მაგრამ ენანება ეგ ცოდვის  
შვილები, ვერა და ვერ იმეტებს, თორემ  
მაგათი გეენაში ჩაყრა, კბილთა დრჭენის  
დაწყება რა ბედენაა, გაჩენის დღეს  
დააწყევლინებდა. თუმცა აი, როცა მშობლები  
გახდებით, მერე გაიგებთ, შვილის სიყვარული  
რა არი. ღმერთიც მშობელია, რა ქნას. ენანება.  
თუმცა რაღად უნდათ მაგ უბედურებს დვთის  
რისხვა და ცეცხლი. ერთმანეთს ამოხოცავენ  
და ამოჭამენ მალე და დედამიწასაც, ხომ  
დაგინახავთ, ცეცხლი უკიდია. ცოტაც და ეს  
დამძიმებული და გაუბედურებული დედამიწა  
თავისით ჩაიფერფლება.

\* \* \*

- წამოხვალ?
- წამოვალ.
- შენა, შენც წამოხვალ?
- წამოვალ, მაშ რას ვიზამ.
- ანგელოზმა რო მოგვისწროს?
- ვერ მოგვისწრებს.
- ვაითუ მოგვისწროს, ხომ გაგვაფრთხილა.
- თო, ხომ გითხარი, ვერ მოგვისწრებს-  
მეთქი, თუ მოდიხარ წამოდი, თუ არა და...
- კაი, წამოვალ.
- ადავხედე ჩემს სამოვალა მეგობრებს. მზად  
ხართ?
- მზად ვართ. – თავი დამიქნიეს.
- აბა დავეშვით.
- გადმოვხტი და ისინიც მომყვნენ. მივქრი-  
ვართ. რამოდენა სივრცეა, გზადაგზა გვხდები-  
ან გარსეკვლავები, სხვადასხვა პლანეტები და  
ანგელოზები. ქათქათაფრთიანი არსებები შეგ-  
ვევეონენ რამდენჯერმე.
- ჩვენი ანგელოზიც რო შეგვხდებ? – დაი-  
ჩივლა ერთმა. – ვაითუ ძალიან გაგვიბრაზდეს  
და ღმერთს უთხრას.
- არა მგრინია. – დავაიმედე, – ჩვენს ანგე-  
ლოზს ძალიან ვუყვარვართ და არ  
გაგვიმეტებს. ვეტყვით, რომ დედამიწის  
სანახავად წავედით. მალე დავბრუნდეთ და  
არაფერსაც არ გვეტყვის. ადამიანთა  
საცხოვრებელი ძალიან მაინტერესებს.

ხმა ადარ ამოუდიათ. წინ მივუძღვები. მივქრიგარ და ისინიც მომდევენ. რა კარგი ყოფილა ფრენა. მიუხედავად იმისა, რო ჩვენ ფრთვი არ გვაქვს, მაინც შეგვიძლია ფრენა, ამით განვსხვავდებით ადამიანებისგან, რომლებიც მხოლოდ დედამიწაზე დადიან და სივრცეში განავარდების უნარი კი არ აქვთ. ჩვენ ბედნიერები ვართ, ჩვენ ახალი არსებები ვართ. ჩვენ... სხვანაირები შეგვექნა ღმერთმა, რომელსაც ადამიანებმა გული ატკინეს. მზეზე მეტად ელვარებს დედამიწა. ბული ახდის. იტყვი, ცეცხლის ალშია გახვეულიო, თუმცა... მართლა ცეცხლის ალშია გახვეული. რაც უფრო მივუახლოვდით, უფრო მეტად ვიგრძენით დედამიწის სიმსურვალე, დედამიწაზე არსებული ცოდვების სიმსურვალე. ამოდენა წყალი ჩანს, გარშემო აკრავს, მაგრამ ეს წყალი ვერ უშველის საქმეს. ეს წყალი ვერ ჩააქრობს ამ ხანძარს. ამას მარტო ღმერთი თუ უშველის, მისი ნება და ერთ წამში ადარ იქნება ეს ამოდენა ხანძარი. ჩაქრება და მორჩა, მაგრამ ღმერთს, როგორც ჩანს, ისე ატკინეს გული რო...

- გავბრუნდეთ, - მიყვირის ერთი.
  - მოიცა, რადა დარჩა.
  - ანგელოზი... ვაითუ...
- იწვის დედამიწა, იწვის, ცოდვით იწვის, ცეცხლი უკიდია ისეთი, ვერ გადმოგცემთ ამას.
- ერთი უკან გატრიალდა.
- წავიდა? - ვიკითხ.

- წავიდა.

ცოტა ხანიც ვიქროლეთ და კიდევ ერთი გამოგაკლდა.

- ისიც წავიდა? - გავგულისდი.

- წავიდა. ანგელოზისა შეეშინდა. ვუახლოვ-დებით. სადაცა დავეშვებით და ცეცხლის ალში გახვეულ პლანეტას შევეხებით.

- ვაითუ დავიწვათ, - მითხრა ერთმა.

- არა, - დაიმედებულმა ვუთხარი. თითქონაცხოვრები ვიყავი ამ ცოდვილ და დაწყველილ მიწაზე, - ეს ცეცხლი მარტო ადამიანებს წვავს.

- შენ საიდან იცი?

- ვიცი, ვიცი. - თითქო დამაჯერებლად ვუთხარი, მაგრამ როგორც ჩანს, ჩემმა სიტყვებმა დიდი ვერაფერი იმედი მისცა, ადგა და ისიც გატრიალდა. ბოლოს მეღა დავრჩი. მარტოდ-მარტო მივქროდი და სულ ცოტადა მაკლდა და ალში გახვეულ დედამიწაზე ზღართანს მოვადენდი. მოვიხედვ, აღარავინ ჩანდა, უველა უკან გატრიალებულიყო. თუ დასჯა იყო, მარტო მეღა დამსჯიდა ჩვენი მფარველი ანგელოზი და შეიძლება ადამ და ევას ამბავი განმეორებულიყო, ამ ახალი პლანეტიდან გამოვეძებინე უფალს და ადამიანის მსგავსი ახლად გაჩენილი არსებისათვის დაწყებულიყო ახალი წუთისოფელი, ტანჯვის წუთისოფელი. ვერა, ვერ ვისწავლე ჭკუა. იქნებ ჯობდა, სულ არ ამეტება და არ წამოვსულიყავი. ცნობისწა-

დილმა მძლია. ჩემთვის სიცოცხლის ხის ნაყოფის შეჭმა, ალბათ, დედამიწის ხილვა იქნებოდა. თუმცა განსხვავება ის იყო, რო ევა არ მყავდა. მარტო ვიყავი და სულ მარტოდმარტოს უნდა ამეტანა ამდენი უბედურება. მე უკვე ვხედავდი ადამიანებს. მაგრამ დედამიწაზე ვერ დავეშვი, რაღაცა ძალამ შემბოჭა, რაღაცა უხილავმა ძალამ შემიკრა ხელ-ფეხი. ვცადვ, ვწვალვ, მაგრამ ვერ დავეშვი. ესე გავშეშდი და დავცეკეროდი ადამიანთა საცხოვრებელს. ცეცხლი მე არ მწვავდა, მაგრამ ვხედავდი ადამიანებს - ორი თვალი, ერთი ცხვირი, ერთი პირი, ჩვენზე მაღლები, ჩვენზე მოხდენილები.

- ჰე, ჰე, ჰეეე, ადამიანებო, რატომ გააბრაზეთ დმერთი, ეგ რამ ჩაგადენინათ. უფლის სიყვარული არ გერჩიათ ამ გეენასა და უბედურებაში ყოფნას?

დამინახეს, შემამჩნიეს. გაოცებულები მიყურებდნენ. ისე იწვოდნენ ამ საშინელ ცეცხლში, ვერც კი გრძნობდნენ. იწვოდნენ იმ მიწასთან ერთად, რისგანაც ერთ დროს ისინი მოზიდა უფალმა. მე... ვეგონე ყველას უცხოპლანეტელი. თუმცა, რა უცხოპლანეტელი, რის უცხოპლანეტელი, რომ მეთქვა დამიჯერებდნენ? რა თქმა უნდა, არა. ვინ დაიჯერებდა, რო მეთქვა, ღმერთმა ახალი პლანეტა შექმნა და იმ პლანეტაზე ჩვენ დაგვასახლა, ახალი რასები, ადამიანებს ოდნავ წავაგავდით, თუმცა... ჰო, ოდნავ წავაგავდით. მე ყურში

ჩამძახოდა ვიდაც: ფრთხილად, ფრთხილად, ადამიანები არიან, შენ კიდევ არ იცი ბევრი რამე მათ შესახებ.

დიდი გზა მქონდა გამოვლილი. დადლა მეტყობოდა, ქაქანი გამიდიოდა, მაგრამ ახალ პლანეტაზე ჩემი მეგობრები მიცდიდნენ. და კიდევ არ ვიცოდი, გადავრჩებოდი თუ არა. იქნების სასჯელი მელოდა, რა სასჯელითაც ეს უბედურები იტანჯებოდნენ - ეს ცოდვის შვილები, ცეცხლის ალში გახვეულები. აი, ასეთი რაღაცებიც ხდება ზღაპრებში.

2013 წელი, 27 იანვარი  
დიცი

## მამის იაგნანა

- ესე იგი ლატვიელი ხარ?
- ესე იგი ლატვიელი ვარ, – ჩაიკისკისა ნებებ.
- და შენ როგორ გაიგე ამის შესახებ? – ბიჭს სევდა გაერია ხმაში.
- დედახემისგან გავიგჲ, უფრო სწორად, დედობილისაგან, არადა, ჩემი თავი მეგონა სუფთა სისხლის ქართველი. მერე ერთ დღესაც აღმოჩნდა, რო ვარ ლატვიელი. სახელი და გვარი არ გაინტერესებს? – ჩაიცინა ნენემ და გვას მოქუფრულ მზერაში შეაცქერდა.
- დაიგა არნაუსკასი.
- სახელიც დედაშენმა გითხრა?
- კი, მან მითხრა.
- შენ... – მინდოდა მეთქვა... პრინციპში უაზროდ გამომივიდა, როგორ ხასიათზე დადგებოდი?
- ჰო, არ ვიმჩნევდი, დედობილი მეცოდებოდა, თორემ შოკში ვიყავი, როცა აღმოჩნდა, რო ამდენი წელი სიყალბეში ცხოვრობ, ამდენი ხანი სხვა გვარსა და სახელს ატარებ. არადა, ამ დროს სულ სხვა ვიღაცა ხარ. როგორ ხასიათზე დადგები. სულ ვტიროდი, ოდონდ ჩუმად, ჩემთვის, რო დედობილს გული არ სტკენოდა.
- კი მაგრამ, თვითონ რატომ გატკინა გული, რატომ გითხრა?

– უნდა ეთქვა, რო არ ეთქვა, უფრო არ ვაპატიქებდი, მან გამზარდა. წარმოიღვინე, წიწლიგანა ბაგში წამომიყვანა და გამზარდა. ნამდვილი დედობა გამიწია. მერე ერთ მშვენიერ დღესაც ძალიან შევეცოდე, არ უნდოდა, რო მოელი ცხოვრება მოტყუებულს მევლო და ამიტომაც მითხრა. ჭარმოიღვინე, ეს მოხდა ჩემს დაბადების დღეს, როდესაც ჩვიდმეტი წლის გავხდი და დედახემმა მოელი კლასი დამიპატიქა. კლასელებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ ამის შესახებ, მაგრამ მე არავინ არაფერს მეუბნებოდა. ალბათ, გულში კველას ვეცოდებოდი. მერე დედახემმა სძლია კველაფერს, წარმოიღვინე, მისთვის ეს რას ნიშნავდა, ამის თქმა, ამის გამხელა. მოვიდა და მითხრა. ეს იყო ჩემი დაბადების დღის საჩუქარი.

- ლატვიიდან როგორ მოხვდი?
- დედობილის და ცხოვრობს, იქ არის გათხოვილი და მე თურმე ბავშვთა სახლიდან წამომიყვანეს. როგორც გავიგჲ, დედახემი სიმსივნით გარდაცვლილა და ბავშვთა სახლში დეიდახემს ჩავუბარებივარ, როგორც ჩანს, არ იტკირთა ჩემი გაზრდა. მერე შემთხვევით გაიგო, რო ჩემი დედობილის და ბავშვს ეძებდა ასაყვანად და როგორც ჩანს, ჩემი თავი დეიდახემმა დედობილის დას მიჰყიდა. იქ გაავრცელეს ხმა ჩემი დაღუპვის შესახებ. ერთი ხანობა მამახემი მექებდა თურმე, დეიდახემზე აუღია ეჭვი, მაგრამ მერე, როგორც ჩანს, თანდათან მინელდა

ეს ამბავი და ასე შემოვრჩი აქაურობას ნენეს სახელით, სინამდვილეში კი ვარ დაიგა. თუმცა მე ჩემს თავს ქართველად ვთვლი და არა ლატვიელად. იმიტომ რო აქ გავიზარდე, ჩემში ჩემმა დედობილმა ამ მიწის სიყვარული ისე შემოიტანა, ისე... ძალიან მაგარი ქალი იყო. თბილი, თბილი, მზით ჰქონდა სული სავსე, მზით და მადლით. იფიქრია, ნამდვილი დედის ხელში ნეტავი ასეთ სითბოს თუ ვიგრძნობდომეთქი.

— მე, მე შემიძლია დავადგინო ყველაფერი შენი ოჯახის შესახებ, ლატვიაში უამრავი მეგობარი მყავს, ბოლო-ბოლო ამდენი წელი ვსწავლობდი.

— არა, არ მინდა. როდესაც ჩემში ამის სურვილი გაჩნდება, მერე თღონდ ეხლა არა.

მიდიან, მიუყვებიან ზღვის ნაპირს. გამოიკარა. ნამურდისფრად კამპამებს ცა. თითქო არც ეწვიმოს. ზღვის სანაპიროზე ტევა არ არის, ნემსის კუნწი არ ჩავარდება. ფერადი კენჭებით მოჭიქული პლაჟი ნაირფერი ქოლგების ქალაქად გადაქცეულა. მიუყვებიან ბულვარს, საღაცათასი ჯურის დამსვენებელი ირევა. კანის ფერით მიხვდები, ვინ რამდენი ხნის ჩამოსულია ზღვისპირეთში.

— კარგი იდეა მაქვს. — უცბად შეჩერდა და ნენეს თვალებში ჩახედა, თითქო ტალღებამცხრალი ზღვა ლივლივებდა, მომწვანო-მოლურჯო თვალები უბრწყინავდა ნენეს.

— გითხრა? — შუბლზე აკოცა შეყვარებულს. ნენე თვალებით დათანხმდა.

— როცა დაგჭორწინდებით, ბათუმში გავატაროთ თაფლობის თვე. როგორ მოგწონს?

ნენეს არაფერი უთქვამს. გზა განაგრძო.

— არ მოგეწონა? — ჩაეძია გება. — მითხარი.

— წამო, ზღვის ჩასვლას ვუყუროთ, — თქვა ნენემ.

— ვუყუროთ, მაგრამ კითხვაზე რატომ არ მცემ აასუსხს?

ნენემ მხრები აიჩქანა და ბოლოს დააყოლა:

— ვნახოთ.

— რა უნდა ვნახოთ? — არ მოეშვა ბიჭი.

— პო კარგი, კარგი... ჯერ რა დროს თაფლობის თვეა.

— როცა იქნება.

— რა ახირებული ხარ. თანახმა ვარ, კარგი, საქმარისია?

გეგამ კმაყოფილების ნიშნად თავი დააქნია და ნენეს ხელი გადახვია.

— ზღვისპირას გავიდეთ.

— გავიდეთ.

ხრაშახრუში გაუდიოთ ფერად-ფერად კენჭებს. იტყვი, ზღვის პირას გადაედგარა სამყაროს შემოქმედს დვთიური საღებავები და ამის ნიშნად ათასი ფერის კენჭები მოღავებულა თვალუწყდენელი სტიქიონის პირას. ადამიანის ენა ვერ აღწერს ამ კენჭების ფერებსა და სილამაზეს. გზადაგზა ჩერდება ნენე. დაიხრება, კენჭებს

აკრეფავს. თეორი, ნარინჯისფერი, ძოწისფერი... შეხედე, შეხედე, გაოცებას ვერ მალაგს. გეგაც უგროვებს კენჭებს. მერე ერთმანეთს ადარებენ. ზღისპირზე ხეტიალის და ამ შეხვედრის ნიშნად ეს კენჭები დარჩება. ეს კენჭები გაახსენებთ შემდეგში ამ ლამაზ წამებს.. კენჭებსაც შეუძლიათ ამბის მოყოლა და მოგონებების გაცოცხლება.

— მოიცა, — დაუბახა გეგამ.

ნენე წამიერად გაჩერდა.

გეგა მივიდა და ზღისკენ მიანიშნა. გახედე და კარგად დააკვირდი. ნენემ ხელი მოჩრდილა, ჰორიზონტამდე გართხმულ წყალს დააკვირდა. იტყოდი, თვლემა მოერიაო, იწვა თავის-თვის ზღვა. ოდნავ, სულ ოდნავ არწევდა ტალღებს და ნაპირს ნაზად კოცნიდა. კატერები დაშლიგინებდნენ აქეთ-იქით და ქაფიან ნაკვალევს ტოვებდნენ ზედაპირზე, რომელზეც დასავლეთისკენ გადაწურულ ოქრომნათობს ცეცხლოვანი ბილიკი გავვლო.

— ხო მოგწონს?

ნენემ სიამოვნებისგან თვალები დახუჭა.

— ეს ზღვა დღეიდან შენია, შენ გჩუქნი, — ჩაიცინა გეგამ და ნენემაც გადაიკისკისა.

მზე კიდევ უფრო გადაიწვერა. თანდათან უფრო გამუქდა ცეცხლოვანი ფართო ბილიკი წყალზე. დასალიერზე ჩამოკიდული ღრუბლები ძოწში გაეხვნენ თანდათან. ნენე გასცემოდა თვალმოუშორებდლად. ამაზე დიდი სილამაზე

არაფერი შეუქმნა უფალს. ჩურჩულებდა... შეხედე, შეხედე, თითს იშვერს მზისკენს. რა სილამაზეა, მზის ბილიკს გააყოლე თვალი, მზეს უერთდება, იტყვი, ვეება კელაპტარი ანთიაო, იქნებ ანთია კიდევც, იქნებ ეს არის უფლის კლაპტარი. ფერადი კენჭებით მოოჭვილი პლაჟი თვალმოუშერებლად მისხერებია ჩამალ მზეს. თითქო უკანასკნელად ხედავდნენ ზღვის პირას მყოფი ადამიანები მნათობს, იტყვი, რო სამუდამოდ დამდება მათვის და ადარასოდეს გათენდება. უკუნი დაისადგურებს, მარადიული უკუნი. წამები რჩება, წამები, რამდენიმე დათვლა და ზღვა გადაყლაპავს მნათობს. ნენე თვალს არ აცილებს. წყალში ჩაიძირება გავარგარებული მზე, როგორც გახურებული რკინა ცივ წყალში, ისე ააშიშებინებს ვეება სტიქიონს.

— შეხედე, შეხედე, — და ვედარ მოასწრო თქმა ნენემ, უცბად ჩაიწურა მზე, თვალის დახამხამებაში ჩახტა ვეება ემბაზში. ამ დროს გეგას პლაჟისკენ გაექცა თვალი. მზემ დაასწრო ჩასვლა. გეგაზე უფრო ნენეს დასწყდა გული, რო მისმა შეეგარებულმა ვერ დაინახა ეს ლამაზი წუთები.

— ეგ არაფერი, ხვალაც ხო ჩაგა, ხვალ ვნახავ, — გული დაიმშვიდა გეგამ.

— ის ხვალინდელი მზე იქნება. ეს წამი აღარასოდეს განმეორდება.

— კარგი ეხლა, ნუ ფილოსოფოსობ. ხვალინდელი რაა და დღევანდელი, მზე მზეა.

– მზე ყოველდღე იბადება და ყოველდღე სხვანაირია. ამიტომ ხვალ დღევანდები სურათს გვდარ ნახავ.

– ამაზე ლამაზი მართლა არაფერი შეუქმნია უფალს, – კიდევ გაიმეორა ნენემ.

– როგორ არ შეუქმნია, – ხელი მოხვია გმგამ, – შენ შეგქმნა, შენ მზეზე ლამაზი ხარ და თანაც არასოდეს ჩახვალ, მარადიულად ენთები.

– მარადიულად არა...

– ენთები, ენთები. ძოწისფერი ბილიკიც გამჭრალიყო წყლის ზედაპირზე. თანდათან მუქი ფერებით აციაგდა წყალი. დაისდამე შლიდა უხილავ ქსოვილს. ზღვის პირს აუყვნენ. მზე კი ჩავიდა, მაგრამ დამსვენებლთა ურიამული მაინც არ წყდებოდა. ამ ურიამულში ოდნავ თუ ისმოდა გარმონის ხმა. პლაჟის გვერდით, იქ, სადაც ბულვარის ქვაფენილი იყო, ვიდაც ქერა, ფეხმოკვეთილი კაცი იჯდა ჩალის სკამზე და თვალებმილულული, იტყოდი, მძინარე უკრავსო, ესაუბრებოდა ძველისძველ საკრავს. ნენე შედგა და ხმა წაუგდო. თვალები დახუჭა, გაირინდა. რაღაც ენიო უთქმელი სიამოვნება იგრძნო. ვერც მელოდია გაარჩია კარგად, ვერც სიტყვები, თუმცა რაღაც უცნაური სითბო ჩაედგარა, სული გაუთბა.

– ეკ, ლატვიურად მდერის, – გაუბკირდა გმგას, – შენს ენაზე მდერის, – შესცინა ნენეს, – წამო ახლოს მივიდეთ.

– რა ლატვიურად. – ნენეს გგონა ეხუმრებოდა.

– მართლა... მაგის მეტი რა ვიცი, ოთხი წელი იქ ვიყავი, ერთი ხანობა ისე ვლაპარაკობდი, პრიბალტიკელისგან ვერ გამარჩევდი.

ცალფეხა ქერა კაცს პლასტმასის თეთრი ჯამი უდევს წინ, სადაც დროგამოშვებით პეტილი დამსვენებლები სურდა ფულს უყრიან. როგორც კი ფული ჯამში ჩავარდება და ქერა მეგარმონე ჩხაპუნის ხმას გაიგებს, თვალს გამოახელს, მუსიკის სტიქიიდან გამოანათებს მზერას, გულმოწყალე დამსვენებელს მადლიერების ნიშნად თავს დაუკრავს, მერე ისევ დახუჭავს თვალებს და მინებდება მუსიკას.

– უძაცრავად, თქვენ ლატვიული ხართ? – თავის ენაზე ჰკითხა გეგამ.

ქერამ დაკვრა შეწყვიტა. გეგას ჭროდა თვალებით გაკვირვებით შეხედა.

– დიახ, ლატვიელი ვარ. – თქვენ... – უნდოდა ეთქვა, ლატვიური ენა საიდან იციო, მაგრამ გეგა უთქმელად მიუხვდა.

– მე ლატვიაში ვსწავლობდი ოთხი წელი. იქ დავამთავრე.

– მართლა? – ქერას მზერა გაუნათდა. – რა გქვიათ?

– გეგა, – ბიჭმა ხელი გაუწოდა.

– მე ალკიადესი მქვია. ჩემი ბიძაშვილის გემს ჩამოვყევი თქვენს ქვეყანაში, ჩემი ბიძაშვილი

გემზე მუშაობს, ბულგარეთის გემზე. ძალიან მო-  
მეწოდა აქაურობა. ლამაზი ქვეყანა გაქვთ.

— ლატვიაც ლამაზი ქვეყანაა, ბევრი ტკბი-  
ლი მოგონება მაკავშირებს. კარგი ხალხი ხართ  
ლატვიელები, კარგი.

ქერამ გარმონს გაუყარა ხელი და წინასიტყ-  
ვაობასავით წაუმდვარა. ეს ლატვიური მამის  
იავნანა. ერთმა კაცმა დაწერა, რომელიც  
არცთუ ცნობილი კომპოზიტორია, მაგრამ ჩემნა-  
ირი მუსიკოსებისთვის, რომლებიც სცენაზე  
მეტად ქუჩაში დგანან, ცნობილია ის კაცი. მან  
შვილი დაკარგა, პატარა გოგო და სწორედ მას  
მიუძღვნა ეს სიმღერა. გეგა უცბად გაშტერდა,  
ასე ეგონა, რო ნენეს ეძღვნებოდა ლატვიური  
მამის იავნანა. ნენეც ხომ დაიკარგა, ნენეს მამა  
დარჩა. იქნება... შეიძლება უბრალო დამოხვევაა.

— როგორ დაკარგა შვილი თქვენმა ნაცნობ-  
მა კომპოზიტორმა?

ქერამ მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ  
ვიცი, რო ნამდვილად დაკარგა. მე, სიმართლე  
გითხრა, არ ვიცნობ იმ კაცს, თუმცა ამ  
სიმღერის ისტორია ვიცი.

— კომპოზიტორის გვარი გახსოვთ?  
— გვარი კი მახსოვს. — თავი დაუქნია უცხო  
მეგარმონებ.

— არნაუს...

გეგას რეტი დაესხა, იტყოდი წაიქვევაო,  
ძლივს შეიმაგრა თავი. ნენეს გაუყარა ხელი.

— წავედით, — ამოილუდლუდა.

ქერა მუსიკოსს უურადღება არ მიუქცევია,  
თავისი საქმე გააგრძელა. ზღვაზე დაფენილ  
ბინდს ეგებებოდა გარმონის მელოდიით. ნენე  
და გეგა ზღვის პირს მიუკვებოდნენ.

— ოქვი რამე.

გეგა ხმას არ იღებდა.

— რა მოგივიდა, ენა ხომ არ გადაყლაპვ.

— რა ვთქვა.

— რამე.

გეგა ისევ იქ იყო. მოდიოდა, მაგრამ გარმო-  
ნის მუსიკა უკან ექაჩებოდა. „ვეთხრა?“ რა გა-  
მოვა მერე? დაიტანჯება საწყალი გოგო, არა-  
და... მამაძაღლია ცხოვრება, მამაძაღლი, ვერა-  
ფერს გაუგებ. ცოდოა ნენე, ცოდოა. მცირე ხანს  
შედგა. იტრიადდა, ქერა მეგარმონე აღარ ჩან-  
და. ბულგარში მოხეირნე ხალხი ეფარებოდა,  
თუმცა ლატვიური მამის იავნანა ისევ ისმოდა.  
სანაპიროდან ნელ-ნელა იშლებოდა დამსვენე-  
ბელი.

— რა მოგივიდა?

— არაფერი.

— მაშინ ამოიღე ხმა. ოქვი რამე.

— ყველაზე ლამაზი ხარ, ყველაზე საყვარე-  
ლი და უზომოდ მიყვარხარ. — თქვა და მოეხ-  
ვია ნენეს.

— რატომ ახსენა იმ კაცმა ჩემი გვარი?

— ?!

## თედო

სიმართლე გითხრა, მე ცხოვრება დავამთავრე... უბრალოდ, ავტობუსის მოლოდინში მყოფი მგზავრივით დავბორიალობ. ვტკქპნი ერთსა და იმავე ადგილს, მომწყინდა ეს ბორიალი, ეს უაზრო ხერხეტი, მაგრამ რა ვქნა, ყველაფერს თავისი დრო აქვს. გესმის? თუმცა... ჩემი ცხოვრება იქ დამთავრდა, იქა, იმ დასაწველ ალაგას. თფუი, ეს რა ჩავიდინეთ, ეს რა გავაპეტეთ, დასაწველები ვართ, დასაწველები, ჩვენნაირი უნამუსოები, ჩვენნაირი წამხდრები, მოვსპეთ, გავანადგურეთ, წყალს გავატანეთ ყველაფერი, წყალსა, ჩვენ არა ვართ ხალხი, ხალხი ესე არ იქცევა, ვინ ვართ? ერი? ერი კი არა ჯანდაბა, სუფრაზეც წამომცდა ერთხელ და მომქლეს ცემით იმ დამპლებმა იმათა, შენ რო შენი ხალხი არ გიყვარს, სიცოცხლის ღირსი არა ხარო, შენი გოთვერანი დედაო, შენი ზფიადისტი დედაო, ეგრე ცოცხალ-მკვდარი დამაგდეს ბალკონში, ვეგდე ვეგრე გონდაკარგული, იმათ მკვდარი ვეგონე. გონს რო მოვედი, თვალი გავახილე და ნესტიან მიწაზე ვეგდე, ტალახში ამოგანგლული, ერთი კბილი აღარა მქონდა, სისხლის გემოსა ვგრძნობდი, მაგრამ ამას აღარა ვწიოდი. ლაპარაკის ხმა გავიგე. ერთი ამბობდა ჩემზე მკვდარიაო, მეორემ - დედა ვუტირე, თუ მკვდარია, წადი, ბარი აიღე და ბაღის ბოლოში

მივფლათ ძაღლივითაო. მე მაგათი! მერე ჩემი კვნესა რო გაიგეს, მიხვდნენ, რო ცოცხალი ვიყავი და სათითაოდ აიძურწნენ... რაღაცნაირად მგონია, რო ქართველი ხალხი ერთ მშვენიერ დდეს თვალისძახამხამებაში სა-დღაც გაუჩინარდა და მის მაგივრად სხვა ჯი-შის ხალხი მოვიდა, სხვები არიან, სხვები, ესე-ნი ისინი არ არიან, სხვები არიან. ასეთი შე-გრძნება მაქვს და ძალიან უბედური ვარ. მაგ-რამ რა ვქნა. ამიტომ მომბეზრდა სიცოცხლე, მომბეზრდა. ნაადრევად მოვამთავრე ყველაფე-რი, ადარ მინდა აქ ყოფნა, ადარ მინდა ამ მი-წაზე სიარული. თფუი. დავდუპეტ ყველაფერი. ჩვენივე ხელით მოვსპეთ და გავანიავეთ. დედა ვუტირეთ.

ცრემლები წამოუვა თედოს, ქალივით ატირ-დება. იტყოდი, ამაზე უბედური კაცი ამ ქვეყანაზე არ არსებობს. გეგონება, რაც კი დედამიწის ზურგზე ცოდო-ბრალი ტრიალებს, თედოს ბრალი იყო ყველაფერი.

\* \* \*

კნაწაკნუწი გაუდის კბილებში ქვიშას, უფ-რო სწორად, ბუნკერის მტვერსა გრძნობს თვ-დო. ეს გემო არასოდეს დაავიწყდება, სანამ ცოცხალია, სანამ თვალხილული სამყაროს ბი-ნადარია. მტვრის გემო და ცოცხალი წარმო-სახვა. ისეთი ძლიერი წარმოსახვა, ხანდახან სინამდვილე რო ჰგონია და იმ წარმოსახვაში

გამოცხადებულ ადამიანებს ელაპარაკება. ქვეს-  
კნელშია თედო. ვეება სარდაფში ლაბირინთ-  
ბიკით მიღი-მოდის დერეფნები. ზოგან სინათ-  
ლეა, ზოგან ჩუღუნი წევდიადი მეფობს. ზღაპ-  
რებში წაეკითხა ქვესკნელის შესახებ. როდე-  
საც მეფის შვილი გაეკიდა ხელმწიფის ვაშ-  
ლის მომპარავ დევს, დაჭრილი არსება ქვეს-  
კნელში ჩაძრო და მეფის შვილიც თან ჩაჰყა. ქ-  
ვესკნელის ცხოვრება იყო იმ ზღაპარში აღწე-  
რილი. ბოლოს ფასკუნჯით ამოფრინდა უფ-  
ლისწული მიწისქვეშა სამყაროდან. როგორც  
იქნა, ამოაღწია და დაინახა თვალზილული  
ქვეყანა. ეხლა ზღაპარი არ არის. თურმე  
მარტო ზღაპრებში არ არსებობს ქვესკნელი.  
საქართველოშიც ყოფილა და სწორედ თედო  
აღმოჩნდა. მაღლა გრიალი გააქვს ყველაფერს.  
აპოკალიფსია მაღლა, ქართული აპოკალიფსი.  
შვიდრქიანი მხეცი დაძრწის. საყვირების ხმა  
ისმის, მეორედ მოსვლაა საქართველოში,  
ცეცხლი უკიდია ყველაფერს, ცოტაც და  
ნაცარტუბად იქცევა ქალაქი, ცოტაც და  
ცეცხლის ენა გალოკავს ქართულ ღირსებას.  
ინგრევა ყველაფერი. ესვრიან, ესვრიან... რა  
იარაღი აღარ პქონიათ ქართველებს, რა  
იარაღი. ზანზარებს ყველაფერი, ტორტმანებს  
ქართული მიწა. ამ მიწას თუ ტორტმანი უნდა  
კიდე. ამ მიწას თუ ცოდვით დამძიმება უნდა  
კიდე. სისხლის სუნი ტრიალებს ირგვლივ-  
უქმად სხედან ბუნკერში ქართველი მეომრები.

გულხედაკრეფილები სხედან და კბილებს  
აკრაჭუნებენ. ნერვები ვეღარ უძლებთ.  
ზანზარებს შენობა. ჭერიდან ბათქაში ცვიგა,  
მტვრის ბურიანგელი დგას. ახველებთ და  
იგინებიან. აგინებენ ხან რუსებს, ხან რუ-  
სეთუმე ქართველებს.

- ჩაგვხოცავენ.
- ყველა მტერზე დაუნდობელია ქართველი  
ქართველისთვის.
- არ დაგვინდობენ.
- უნდა გავაღწიოთ აქედან.
- რანაირად.
- რა ვიცი. რაღაც უნდა მოვახერხოთ, თო-  
რემ ქათმებივით ჩაგვუშავენ, მე მაგათი.
- რას ამბობს პრეზიდენტი.
- აბა, რა ვიცი, რას ამბობს, – იმედგაცრუ-  
ებული ხმა გაისმა.
- სანთელი უნთია და ლოცულობს.
- ემ, ლოცვა არ გვიშველის, ძმაო, უნდა  
ურჩიონ, რაღაც უნდა იღონონ. უაზროდ ხო არ  
ჩავიხოცებით.

თანდათან ცოტავდება ხალხი ბუნკერში. უყ-  
ვართ საქართველო, უყვართ პრეზიდენტი, მაგ-  
რამ სული უფრო ტკბილია და მიღიან მაღლა  
ხელებაწეულები პატიჟის თხოვნით. ეროვნუ-  
ლი მთავრობა. ეგეც თქვენი ეროვნული მთავ-  
რობა, მოინდომეს თავისუფლება და დამოუკი-  
დებული ცხოვრება, თავისუფლებას დამსახუ-  
რება უნდა, ჯერ ეს არ დაგიმსახურებიათ. რო-

ცა დაიმსახურებთ, ბუნკერიც აღარ იარსებებს მერე. თავისუფალ ქვეყანაში ბუნკერისკენ არ უნდა გაგირბოდეს თვალი. ასეა, ასე ფიქრობს ვიდაცა. ეს ადგილიც ისტორიის ნაწილი გახდება. საქართველოს უახლესი ისტორიის ტკიკილით სავსე ფურცლები იწერება მტვრით სავსე ბუნკერში. ზანზარებს დევერხანა შენობა. ირყვეიან იუნკრების ძვლები. ბათქაში ცვივა ჭერიდან. გეგონება, დედამიწა მშობიარობსო. თავისუფლების და გამარჯვების ცეცხლი თანდათან ნელდება ბუნკერის ბინადართა თვალებში. დაიღალნენ, არადა ორმოცი დღეც არ გასულა, მაგრამ ისე დაიღალნენ, რო ერთი სული აქვთ, ზესკრელიდან კაცი გამოგზავნონ ვიდაცა და დაზავება შესთავაზონ. ან რაა დასაზავებელი. ესენი სხედან ეგრე ჭორიგანა დედაპაცებივით და მთავრობის ნაბიჯებს ზომავენ, წონიან, სწორად მოიქცა თუ არა მთავრობა, ეს გზა რო აირჩია. ეხლა დაფიქრდნენ, ეხლა მოეგნენ გონს. სად მოსდევდნენ, რო მოსდევდნენ. ვარდისფრად რო ეჩვენებოდათ ყველაფერი. თავისუფლება რო ფოჩიანი კანფეტები ეგონათ. ეგრე ადვილი არ ყოფილა. მარტო დროშის ფრიალი და „ზვიადი“ „ზვიადის“ ყიუინა არ იყო საქმარისი. ისინი კი უშენენ და უშენენ. მოაყენეს და მოაყენეს ვეება ქვემეხები. იტყოდი რო უხსენებლი ბუდობდა მიწისქვეშ და ისე უნდა ჩაეკლათ, რო ცხვირიც ვერ ამოეყო.

თედო იჯდა და სიმწრისაგან ლამის თითები დაეჭამა. ვითომ ყველაფერი დამთავრდა? ვითომ ოცნებები დასამარდა? რა ხდება ჩვენს თავს, ეს რა უბედურება დაგვატყდა. ცრემლი აწვებოდა თვალებზე. ბოდმის გორგალი ეცობოდა ყელში. ვიდაცის ხელის შეხება იგრძნო. აიხდა. მკრთალი სინათლე იღვრებოდა კედლიდან. კარგად ვერ გაარჩია სახე.

— წამოხვალ?

ვერ გაიგო თედომ.

— მიხო ვარ, კაცო, რა დაგემართა.

თედომ სანოებელა გაპკრა და ორიოდე კვირის წინ დამეგობრებული კაცი იცნო.

— კიდევაც კარგადა ვარ, — ჩაიბუტბუტა.

— მივდივართ და თუ წამოხვალ...

— სად მიდიხართ.

— მივდივართ რა. აბა, პრეზიდენტი წასვლას აპირებს და ჩვენ ბუნკერში ხო არ გავაგრძელებთ ცხოვრებას. აზრი აღარა აქვს, მმაო. დედა გვიტირეს, ხო უყურებ. თუ არ წავიდა, ცოცხალს არავის დატოვებენ. ეგენი ისე არიან გამგელებულები, ქაშუეთი დაუნგრევიათ ტო.

— რა ქაშუეთი, — ყურებმა წივილი დაუწყო.

— ჰო, ეგრე თქვეს ბიჭებმა, ქაშუეთი ააფეთქესო. უღმერთოები არიან.

თედო გამტკნარებული იჯდა და კედელს უაზროდ მიშტერებოდა.

— წამოდი, წამოდი, დამიჯერე, აზრი აღარა აქვს.

— არა, ვერ წამოვალ. — თქვა და ზურგი შეაქცია.

— კაი, როგორც გინდა. უახროდ მოგვდები და გგონია, რო ისტორიაში შეგიტანებ? ძან ცდები.

— რა ჯანდაბად მინდა ისტორიაში შესვლა,  
— ამოიგმინა თედომ. წარმოიდგინა -  
ბუნკერიდან ადიოდა, მაღლახელებაშეული,  
დამარცხებული, განადგურებული და პატიებას  
სთხოვდა რუსულ ქვემქებთან შეხროვილ  
ქართველებს.

\* \* \*

— შემიშვით, რა.  
დაცვის წევრი სასტიკ უარზეა.  
თედო მაინც ძალაობს.  
— ნუ გეშინია, თქვენიანი ვარ. მე ბოლომდე  
აქა ვრჩები.  
— აქ ყველა ჩვენიანია. — პასუხობს დაცვის  
წევრი, თედოზე ორი თავით მაღალი ბრგე  
კაცი.  
— შენ ეგრე გეგონოს რო ყველა თქვენიანია.  
მაშ რად გარბიან მაღლა.  
— რას იზამ, ყველას გმირობას ვერ  
მოსთხოვ.  
— გამიშვი, კაცი არა ხარ? სულ ერთი წე-  
თით შევალ. ვნახავ და მალე გამოვალ.  
— პრეზიდენტი შეუძლოდა.

არაფერი გამოუვიდა. ხელმოცარული გამო-  
უყვა ბუნკერის ნახევრად ბნელ დერეფანს. არ  
მინდა, ისე მოვკვდე ამ დაწყვებლილ ადგილზე,  
რო ზვიადი ახლოს ვერ ვნახო. მთელი ჩემი ახ-  
ალგაზრდობა მიტინგებზე გაფატარე, ბუნკერამ-  
დე მოვკვდი და ზვიადი ახლოს არ მყავს ნანახი.

\* \* \*

ალბათ მალე დაიწყება ჯვარცმა. აუცილე-  
ბელი არ იყო, გოლგოთის აღმართი აევლო.  
იქნებ ეს მყრალი, ნახევრად ბნელი ბუნკერი  
იყო ქართული გოლგოთა, ან იქნებ წინ იყო  
ყველაფერი. დამძიმებულიყო ჯვარი. ისე დამძი-  
მებულიყო, რო სიარული უჭირდა. წაიფორხი-  
ლებდა. მუხლები ეკეცებოდა. გამეტებით ურტ-  
ყამდნენ. მიღიოდა და ვაი იმ სიარულს. წვა-  
ლება-წვალებით დგამდა ნაბიჯებს. სისხლით  
მოსარგლულ სხეულს და ვეება ჯვარს ძლივს-  
და ერეოდა.

წინასწარვე იცოდა, რო ეს დღე ელოდა, წი-  
ნასწარვე იცოდა, რო ეს გზა უნდა გაევლო.  
მაინც აირჩია. ეს ჯვარი მისი ასატანი იყო.

კედელს მიშტერებოდა მოწამეობრივი აღსა-  
სრულის მომლოდინე მზერით, დაფერფლილი  
თვალებით, დაღლილი, მისავათებული თვალებით.

— მივდივარო, ბატონო ზვიად, მზად არის  
ყველაფერი.

მზერა მოარიდა დაცვის წევრს. მალვით  
მოიწმინდა ცრემლი.

უკანასკნელი დამე დაფერფლილიყო ბუნებრში.

\* \* \*

აქა-იქ ისმის სროლის ხმა. ნათურქალსა პგავს რუსთაველი. სვეტებჩამონგრეული, ქართველების ხელით ნასროლი რუსული ქვემეხების ჭურვებით აოხრებული შევგება აპნისის დაისდამეს მთავრობის სასახლე. იტყოდი, მეორედ მოსვლა იყო საქართველოს დედაქალაქში. გადამწვარ-გადაბუბული შენობები, ბარიკადებით ჩახერგილი გზები, ქუჩის პირებში მიტოვებული, ცეცხლის ლუკმად ქცეული ავტომანქანები. აპნისის დაისდამეს შესტიროდა კედლებდაცხრილული ქაშუეთი. ყველაზე ბოლოს თედომ დატოვა ბუნერი. პუტინსტები ყიუინით ჩაიჭრნენ მთავრობის სასახლის ვეება სარდაფში. იქ, სადაც სულ რამდენიმე საათის წინ ქვეყნის მთავრობა, უფრო სწორად, პრეზიდენტი და მისი მომხრეები იყვნენ თავშეფარებულები. ყვირილით, სროლა-სროლით დადიოდნენ ნახევრად ბნელ დერევნებში. ესროდნენ კედლებს, საქართველოს ტკივილიანი ისტორიის მომსწრე კედლებს. პრეზიდენტის და მისი მომხრეების ჯავრს თითქო კომუნისტების მიერ აშენებულ კედლებზე იყრიდნენ. ერთი ხანობა მიყუჩდა რუსთაველი. თედო გასცემროდა მთავ-

რობის სასახლეს და ისეთი შეგრძნება პქონდა, რო ამ ვეება შენობასავით მისი სხეულიც ერთიანად იყო დაცხრილული. იდგა, ხელში ძველი მეგაფონი გჭირა და ცრემლები დაპალუპით ჩამოსდიოდა ნატანჯ სახეზე. ისე წავიდა, მაინც ვერ ნახა, ისე გაიყვანა დაცვამ, ახლოს მისვლა მაინც ვერ შეძლო, შორიდან კი შეავლო მზერა, მისი დაფერფლილი თვალები დაინახა. ერთხელ მაინც მენახა ახლოს. რაღაცის თქმა უნდოდა თედოს. შეიძლება ვერც კი შეეკოწიებინა სათქმელი, მაგრამ გულში ნადებ ვარამს მაინც გაუმსხელდა. ბოლომდე გვერდში დგომის სურვილს გაუმჯდავნებდა. ბედი არა მქონია, არა. თანდათან უფრო გაძლიერდა ცივი ზამთრის ბინდი, უმთვარო დამე ჩანდა. ქართულ აპოკალიფს დაეფრთხო სადღაც დამის მნათობი თითქოს. თვალები დახუჭა თედომ, გაირინდა. კვნესის ხმა ჩაესმა. აქეთიქით მიმოიხედა, ვერავინ დაინახა. ისევ წაუგდო ყური. ისევ მოესმა. „იქნებ მეჩვენება,“ – გაიფიქრა. გ-დაბუბული სკოლის კედელს ამოეფარა. დიდხანს აკვირდებოდა, იქნებ დაჭრილი დარჩა ვინმეო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერავინ დაინახა და მიხვდა, რო ეჩვენებოდა. წელმოწვეტილივით ძლივს გადადგა ნაბიჯები. მოდიოდა და მოათრევდა თავის ძველ მეგაფონს. ერთი ხანობა მისი გადაგდება იფიქრა, მაგრამ მოედი ახალგაზრდობა ამ მეგაფონთან ერთად გა-

ეტარებინა მიტინგებზე და დაენანა. ცოცხალ-მკვდარივით მოუყვებოდა გადამწვარი რუსთა-გელის ნაპირს და ისევ ჩაესმოდა კვნესა. მერე აქა-იქ კვლავ გაისმა სროლის ხმა. შედგა თვ-დო, მოტრიალდა. სიბრელეში უაზროდ იყურე-ბოდა, მაგრამ ქაშუეთის გუმბათი მაინც გაარ-ჩია. ტაძრის სიახლოეს ისროდნენ. „ესენი ალ-ბათ ისინი არიან, ვინც გვიან შემოურთდნენ ამ თხრებს და ბუნკერში თავშეფარებულ ქართვე-ლებზე ჯავრი ბოლომდე ვერ იყარეს,” - ფიქ-რობს თედო. თფუ თქვენი, როგორ უნდა ია-როთ ქართულ მიწაზე, როგორ უნდა დალიოთ ქართული წყალი, თქვე არაკაცებო, თქვენა! მოდიოდა და ვაი იმ სიარულს. ბოლოს რუსთაველის ჩაბრელებული, გადამწვარი გამზირი გადაჭრა და დაღმართს დაუყვა...  
\* \* \*

– თედო!

თედოს მანქანის შუქმა წაართვა თვალის-ხინი, ხელი აიფარა.

– თედო არა ხარ, კაცო? მაღლობა დმერთს, რო ცოცხალი დაგინახე.

თედო უურადღებას არ აქცევს.

– რა გემართება, მე ვარ, თედო.

– რომელი ხარ? – უფრო ამოგმინვა იყო, ვიდრე მანქანიდან გადმოსული კაცის მისამარ-თით დასმული კითხვა.

– მიხო ვარ, დაჭრილი ხო არა ხარ?

თედოს ხმა არ გაუცია. ერთი ხელი სახეზე აეფარებინა, მეორე ხელით მეგაფონი ჩაებლუჯა.

– მიხო ვარ-მეოქი, საგარეჯოელი. დაჯე მანქანაში, ჩვენი ბიჭებიც აქ არიან.

– ვინ ჩვენი ბიჭები? – მძიმე-მძიმედ იკითხა თედომ.

– ჩვენი ბიჭები, ბუნკერში ჩვენ გვერდით რო იყვნენ.

– თავი დამანებებები. ჩვენი ბიჭები აღარ არსებობენ.

– დაჯექი, შე უბედურო, ყველგან ეგენი არ-იან მოდებულები, ცოცხალი ვერ გააღწევ-

– არც ეხლა ვარ ცოცხალი, – ჩაილაპარაკა და დადმართს ბორძიქ-ბორძიქ, ბახუსმორეული-ვით ჩაუყვა. ჟიგული ისევ წამოეწია, შეანელა, მაგრამ მიხოს აღარაფერი უთქვამს. ელვის სი-სწრაფით მოართხო თავქვეზე მანქანა.

\* \* \*

– აღარ ახვიდე, აღარ ახვიდე, დამიჯერე, მაგათან ხუმრობა არ შეიძლება.

– მერედა ვინ ხუმრობს. სახუმაროთა მაქვს საქმე?

– დამიჯერე რასაც გეუბნები. ვიცი მე მა-გათი ამბავი. ან დაგიჭერენ და ჩაგიყვანენ იქა. მტერი რო მტერია, იმასაც არ ვუსურვებ იქ ყოფნას. თაზო ხო ჰყავდათ დაჭერილი, გეგეს თაზო. ისეთი რაღაცები მოყვა, ისეთი რაღა-ცები. ჯოჯოხეთი გადაატანიეს. დღესაც ვერ

არი თავის ჭკუაზე კაცი. ან კიდევ... ჯვარი გწერია, კაცო. გესვრიან და ბაბაგორებენ. მაგათავის ადამიანის სიკვდილი რა არი.

თედოს არიგებდა რობე. რობე თედოს მეზობელი იყო. მაგრამ რაც რუსებმა პატარა ლიახვის ხეობის სოფლები მიიტაცეს და თავიანთი საზღვარი, კითომ სამხრეთ ოსეთის საზღვარი, თანდათან ქვემოთ-ქვემოთ ჩამოსწიეს, თედოს სოფლის ერთი ნაწილი საზღვარს იქით მოექცა. სულ რამდენიმე სახლი იდგა, თედოს საცხოვრებლის გარდა კიდევ ოთხიოდე კომლი იყო, მაგრამ ყველამ გუდანაბადი აიკრა, თედოს გარდა. მარტოსელა თედოდა დარჩა. დიდხანს ეხვეწა მეზობლებს, მაგრამ ვერაფერს გახდა. დამდამობით ხან რუსი მესაზღვრები ჩამოდიან, ხან კიდევ მოვრალი ოსები გამოებარებიან რუს ჯარისკაცებს ქართველების დასაწიოკებლად. ვინ არი ჩვენი პატრონი, ცოლ-შვილი რო გაგვიუბედურონ, სოფლის სიყვარული გვიშველისო? დაცარიებულ უბანში მარტო თედო დარჩა, რომელსაც უკვე სიბერე მორეოდა და ეგრე ბედგაუხსნელად შეგებებოდა სიჭარმაგეს. ორიოდე წელი იყო, რაც მოხუცი დედა მშობელი მიწისთვის მიებარებინა. დარჩა ეგრე ოთხ კედელშეა. იდგა და თავის თავსდა ელაპარაკებოდა. თავის თავს თვითონ ამშვიდებდა. წავლენ, დედა ეტირებათ, იმ ხალხის ცოდვა არ მოასვენებთ, საკუთარ მიწაზე დევ-

ნილებად რო გადააქციეს. მოვა დრო და ყველას ყველაფერი მოეკითხება.

- ხო დამიჯერებ? – ეპითხება რობე.
- რაზე?

თეორი ულვაში გაყვითლებია უხარისხო თამბაქოს წევით და მეტხერი კბილები მოუჩანს თედოს.

– წასვლაზე რო გითხარი, რუსების ბაზასთან ნუდარ ახვალ.

– გეცოდები? – ჩაეცინა თედოს, – რა დიდი შესაცოდი მე ვარ. სანამ ეგნი აქა ჰყრიან, რა მომასვენებს ჰა, მე მაგათი დედა ვატირე. მოქლი ჩემი ახალგაზრდობა მიტინგებზე იმიტომ გავატარე, იმიტომ გავკიოდით დამოუკიდებლობა დამოუკიდებლობა-მეთქი, რო ეხლა ამ დღეში ვყოფილიყავი? სიკვდილი მირჩევნია ასეთ ცხოვრებას. აბა გახდე. – ხელი გაიშვირა ქოჩორა მთისკენ. აიმ ნასოფლარებს რო ყოველწუთს უყურებ კაცი, რა ჭკუაზე იდგება ჰა, გული მაქ გასიებული, ლამის გამომასკდეს ბოლოსგან.

- შენ რას უშველი მერე.
- გუშველი, ვუშველი. – ჩაილაპარაკა თედომ, – თუ არ ვუშველი, ჩემს გულის ჭიას მაინც მოვიკლავ. ახია ჩვენზე, ახი. რუსული ქვემეხებით დავანგრიეთ თბილისი, რუსული გეგმით მოვსპერ ჩვენი მომავალი. რუსული გეგმით გავაქციეთ პრეზიდენტი და აგკ, გახდე ეხლა. როგორ უნდა გაგიძლოს გულმა, თუ

გაქვს გული საერთოდ. ვიდაცისთვის ეს შეიძლება არც არაფერია, მაგრამ თედოსთვის ეგრე არ არის.

იტყოდი, მართლა აქვს იმის იმედი, რო ამ-დენი შეძახილებით ქართულ მიწაზე მოკალა-თებულ მტერს რამეს შეაგნებინებს და ფეხს ამოაკვეთინებსო. ვერ ისვენებდა. რუსებს სამ-ხედრო ბაზის მშენებლობა დაეწყოთ თედოს ვენახის თავზე. თითქო თედოს ჯიბრზე აპ-თებდნენ. მაინცადამაინც ის ადგილი, ცხონებუ-ლი გიგუცას ჩაყრილი ვენახის თავში. იმოდენა ტრიალ მინდორზე ეს ადგილი მოზომეს რუ-სებმა. მოაყენეს ციცხვიანი ტრაქტორები და ისე გულმოდგინედ დაიწყეს სამხედრო ბაზის აშენება გეგონება მამაპაპურ ადგილზე იყვნენ.

თედო იდგა და ლამის თითები დაეჭამა სიმწრით. რაღა გაეკეთებინა, ადარ იცოდა. ვისთვის მიემართა, ვისთვის შეეჩივლა. ხვდებოდა, რო რუსებისთვის წინააღმდეგობის გამწევი არავინ იყო. ესენი რო აქ სამხედრო ბაზას ააშენებენ, აქედამ როდისლა წაეთრევიან კაცო, როდისლა. ვინდა ამოაკვეთინებს ამ უჯიშოებს ფეხსა. ოხ, მე ამათი.

\* \* \*

— დაუყოვნებლივ გაიყვანეთ ჯარი აქედან, საქართველო არასოდეს შეურიგდება საკუთა-რი ტერიტორიების ოკუპაციას. კრემლი ვერა-სოდეს მიაღწევს თავის საწადელს. ოკუპაციე-

ბო წაააადით, წაააადით, წაააადით! მოგიწო-დებთ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ ბაზის მშე-ნებლობა. ისტორიული სამართლიანობა სულ ერთია მაინც აღდგება. თქვენ ხართ მოძალა-დები, ოკუპანტები, საქართველოს ამომგდებე-ბი, არ შეგრჩებათ ჩვენი ბიჭების სისხლი, მაგ-ნაირები გვინახავს? მაგრამ გაგვიძლია და ამა-საც გავუძლებთ. ქართველი ხალხი სანაგვეზე მოგისვრით. თქვენი ბაზის ადგილზე სიმინდი დაითეხება. აი, ნახავთ თუ არა. მარტოდმარტო დგას თედო გიგუცას ვენახის ბოლოში. თავისი ძველი მეგაფონი მოუმარჯვია და ხან ქართუ-ლად ლანძღვავს მავთულებლართის იქით მყოფ რუს სამხედროებს, ხან რუსულად. ეს გზა აირჩია. ამ გზით გამოხატავს თავის სათქმელს. რას მოუტანს ეს გზა? არც არაფერს. რუსს რაც გინდა უთხარი, როგორც გინდა მიმართე... თედოს მიტინგი რას უშველის. ეს, ალბათ, თე-დომაც იცის, მაგრამ აქ რო ამოვა, რუსების პირისპირ რო დადგება თავისი ძველისძველი ნამიტინგარ-ნაფრონტალი მეგაფონით, ცოტა ბოლმა უნელდება, ცოტა მშვიდდება. მოსვენე-ბას არ მივცემ, სისხლი უნდა გავუშრო, — ფიქრობს თედო. გიგუცას ვენახთან მაგათ ბაზას რა უნდა, მაგათ ისიც შერჩეთ, რაც წაგვართვეს. ერთხელაც იქნება, რადაც უბედურებას მოგიტანს ეგ შენი ახირება, ატეხილსა მოსტეხიაო და შენც ეგრე მოგიგა.

დაანებე თავი შვილოსა, საცა ქვეყანა, იქაც შენა, – ეუბნებიან, არ ეყურება.

„საცა ქვეყანა, იქაც მე, საცა ქვეყანა, იქაც მე...“ თუ ქვეყანა დამუნჯდა, შენც უნდა და-მუნჯდე, თედო, თუ ქვეყანაზ სინდის-ნამუსი მი-იყიწყა, მაშინ შენც უნდა დახუჭო რაღაც-რა-ღაცებზე თვალი, თუ ქვეყანა წავიდა ჯანდა-ბაში, შენც უნდა წახვიდე“, თორემ ხო უყურებ!

მაინც არ ისგენებს. ოთხმოცდათიანი წლე-ბიდან რაც მიტინგებზე არ ყოფილა, თითქო ერთიანად მოაწვა სათქმელი. რამდენი წელი გავიდა იმ ავბედითი პუტჩის მერე? ითვლის, ოცი წელია, ოცი. ოცი წელია დაჩლუნგებული ვგლივარ სახლში.

რუსის მესაზღვრეების ავჩარკა ძალლები აწყდებიან დობეს. მესაზღვრეებიც იქვე არიან. ავტომატებით დააბოტებენ მავთულხლართს იქ-ით, სადაც უკვე დაუმთავრებიათ სამხედრო ყა-ზარმა და კიდევ რამდენიმე შენობა, მათ შო-რის სათვალთვალო კოშკი. საიდანაც ხელის გულზეა თედოს სოფელი. ძალლების ყეფა-ღრენაში არც ისმის ხეირიანად მეგაფონით გაძლიერებული თედოს ხმა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. თედო მაინც აგრძე-ლებს თავის საქმეს – ხან ქართულად, ხანაც რუსულად. როგორც გამოსდის, როგორც ახერ-ხებს. სხვა რა შეუძლია. ეს არის მისი სიძულ-ვილის გამოხატულება დამპურობლის მიმართ.

- ვინ არის?
- ისევ ის გიჟია.
- ერთი-ორი გაუტკაცუნე.
- აზრი არა აქვს. ვცადე, მაგრამ უფრო უა-რესად იქცევა. ჩვენ წასვლას ითხოვს დაუინ-ბით, – ხითხითებს ვალოდია.
- დღეს ცოტა დაგვიანებულია და ხვალ ვი-ფიქროთ ამაზე, – ედიმება უენიას. ძალლებმა ლამის გაანგრიონ სამხედრო ბაზის დობე.
- წადით, უჯიშოებო, ოკუპანტებო, მოუსვით აქედან, სულერთია, მაინც არ მოგასვენებთ, სულერთია, მაინც არ შევჭამ თქვენს ჯავრს. – გიგუცას ვენახიდან ყვირის თედო. პაპისულ ვენახში დგას და იქიდან ლანძღავს მტრის ჯარისკაცებს. იმ ვენახში დიდი გული აქვს თედოს. სიმინდს დავთესავთ მაგ ადგილზე, სი-მინდსა, აი, ნახავთ თუ არა.

\* \* \*

რობე გამორბის გულგახეთქილი. ნერწყვი უშრება, სუნთქვა უჭირს და უხმოდ მოხდის ქრისტეშობისთვის სუსხით შეციქულ სახეზე ცრემლები. სოფელი თითქო დაიცალა, თუ რა არის, კაცო, სად არის ხალხი?

– ვაიმე დედა. – ყვირის რობე, რას ყვირის, თვითონაც არ იცის. ყვირის უმისამართოდ, უნ-და, რომ მთელი სოფელი ერთ ადგილზე მოგ-როვდეს.

მერე ვიდაცა შეამჩნევს დაფეთებულ ბიჭს და შეეკითხება: რა ხდება, რა გაგიჟებული მოზერივით დარბიხარ, თქვი, კაცო, რა მოხდა. გეგონება ენა გადაეყდაპაო. მარტო ტირის და ხმას ვედარ იდებს. ბოლოს შეიტყობენ, რომ რუსმა მესაზღვრებმა თედო მოკლეს. მერე გამოვიდა ხალხი. ახალმა ამბავმა მოაგროვა სოფელი. რა ძალა ადგა იმ საცოდავს, რა ძალა ადგა. რუსეთს ეგ გაატრიალებდა? ჯიუტი კაცი იყო, ჯიუტი.

- ჯიუტიც იყო და ცოტა უსტვენდა კიდეც, თორებ აბა ეს ნორმალური საქციელია, კაცო?
- გაუფრთხილებიათ ერთი-ორჯერ, მაგრამ აბა თედოს გაფრთხილება მაინც თედო გაამტკუნა სოფელმა.

\* \* \*

სანამ სული ამოუვიდოდა და ტანჯვის წუთისოფელს სამუდამოდ დატოვებდა, გიგუცას ვენახის ბოლოში ეგდო თედო. სისხლისაგან იცლებოდა და თანდათან ბინდი ეკვროდა თვალებზე. მისი განუყრელი მეგაფონიც იქვე ეგდო თედოს ფეხებთან, თითქო მასაც პატრონთან ერთად დაესრულებინა წუთისოფელი. ბევრი მიტინგი ახსოვდა, ბევრი ტაში, ბევრი ყიქინა. ბედისწერამ ასეთი დასასრული არგუნა ორივეს. თუმცა თედო ბედნიერი კვდებოდა. სიკვდილსაც ახლავს ზოგჯერ ბედნიერების შეგრძნება.

„ბუნკერში სიკვდილს ასეთი აღსასრული მერჩიენა”.

2012 წელი, 18 ქრისტეშობისთვისა აგსტრია, ვენა

## სოფია, ფრანც იოსების ხმალი და თაიგული სოფიასათვის

დედას გეფიცები შემიყვარდი.  
არაფერს მეუბნება, იმიტომ რო არაფერი  
ესმის.

მიყურებს გაოცებული და შემოღომის მზის  
სინათლეს აფრქვევს თვალებიდან. ერთად არ-  
ის შერული თან შუქი მზიდან ამოფრქვეული,  
თან სევდა, ისეთი... მისი სევდა ისეთ განცდას  
მიჩნეს, ლამის სადმე მოვებნო ადგილი, და-  
ვჯდე და წერას შევუდგე. წერას შევუდგე სიყ-  
ვარულზე. და ვწერო რაღაცები. სულ ერთია,  
მთავარია, როგორც გულადუღებული ადამიანი  
იოსებს ხოლმე გულს ტირილით, ბოლმას  
ცრემლით რო წარეცხავს. მეც ეგრე  
მოვიოხებდი, ოდონდ არა ცრემლით, არამედ  
განცდების ქაღალდზე გადატანით.  
რაღაცნაირად შემოიჭრა ეს გოგო, თითქო  
სულში შემოყო თავი. თავისი ეშხიანი მზერით  
მოათვალმზერა სულის გამჭვირვალე კედლები.

მართლა მიყვარხარ.

— ვოჩ.

— არ მინდა რო სხვა ენით ვუთხრა, ქარ-  
თულად ყველაზე უფრო კარგად ჟღერს „მიყ-  
ვარხარ.“ ის კიდევ მიყურებს დაბნეული თვა-  
ლებით. კარგს რას უნდა მოელოდეს ჩემგან. მე  
ვგონივარ ვიღაც ფულის ტომარა ბიზენსმენი,  
რომელსაც შეუძლია ყველაფრის ყიდვა. პო,

ყველაფრის. სოფია მიყურებს იჭვნეულად. მე  
კიდევ... რა ვუთხრა.

ვეება ჭადებით განათებულ დარბაზში თეთრ  
მაგიდებს უსხედან საზეიმო სამოსში გამოკვან-  
თული ადამიანები. მარმარილოს რძისფერი კე-  
დლები ირეკლაგენ ბროლის ჭადების სინათ-  
ლეს. ფრანგულ ღვინოს წრუპავენ მაღალფე-  
ხებიანი ტანწერწება ჭიქებიდან. პატარა მსოფ-  
ლიოა ფრანც იოსების დარბაზში შეკრებილი.  
დედამიწის ყველა კუთხიდან არიან ჩამოსული.  
სიტყვით გამოდის ავსტრიის პრინცი. ყოველ  
შემთხვევაში, ასე გამოაცხადა წითელსმოკინგი-  
ანმა წამყვანმა, შეიძლება, არც არის პრინცი  
და ჩვენ ასე გვეუბნება. აჯილდოებენ დედამი-  
წის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სოვდაგ-  
რებს, ანუ ბიზენსმენებს. მე პაპაჩემის სიტყვე-  
ბით მოვიხენიებ მათაც და ჩემს თავსაც. ცხო-  
ნებული გიგა სოვდაგრებს, უფრო სწორად კი  
სონდაგრებს ეძახდა დიდვაჭრებს, ვისაც ვაჭ-  
რობით ბევრი ფული ჰქონდა ნაშოვნი, თვითონ  
ერთი ჯიბეგაფეკილი გლეხი, რომელსაც გა-  
ჭირვების მეტი არაფერი აჩვენა ცხოვრებამ. ამ  
სოვდაგრების გვერდით ვარ და ჩემს თავს  
ვეუბნები: წამოახედა ეხლა ცხონებული და  
დაანახვა ჩემი თავი, პა რა იქნება, როგორი მა-  
მაძაღლია ცხოვრება. აღარ დავიწყებ იმის მო-  
ყოლას, როგორ ვიშვევ ბევრი ფული. აირია,  
დაირია ცხოვრება და ვიშვევ. ფულმა დამკ-  
გობრება იცის ადამინთან, თუ ერთი დაატყო,

რო კარგ მეგობრობას უწევ, ადარ განებებს თავს. თუ მოგიძულა, მორჩა. როგორი იღბლიანიც არ უნდა იყო, აზრი არა აქვს. ერთი სიტყვით, აჯილდოებენ მდიდარ სოვდაგრებს. მეც მაჯილდოებენ. როგორც კი პრინცმა მისასალმებელი სიტყვა დაამთაგრა, სცენის დაბლა მყოფმა ორკესტრმაც ააკენესა შტრაუსის მელოდია. შტრაუსი, შტრაუსი. გაინაბა დარბაზი. გაინაბა ელიტარული საზოგადოება, რომელმაც შეიძლება არც იცის შტრაუსის შესახებ, მხოლოდ გაუგია მისი სახელი და გვარი და იფერებს. შტრაუსს უსმენენ და ტკბებიან. სინამდვილეში შტრაუსის მუსიკის აზრზე არ არიან. მერე იღება ფრანც იოსების დარბაზის ვეება ოქროსფერი კარი, რომელიც თვალისმომჭრელად ირეკლავს უძვირფასესი ბროლის ჭადების სინათლეს და შემოდიან შავ ფრაკებში გამოკვანთული მამაკაცები, რომელთაც ხელჩაკიდებული თეთრი, საპატარძლო კაბებით შემოსილი მეწყვილე ქალბატონები შემოჰყავთ. იწყება ვალსი. დარბაზი სულგანაბულია. მე ისევ მიმტანს ვაკვირდები. იქნება ასე თციოდე წლის თხელი, სიფრიფანა, ღია ხორბლისფერი პირისახის გოგო, მოკლედ შეჭრილი ქერა თმით და როგორც გითხარით, საოცარ შუქს აფრქვევს თაფლისფერი თვალებიდან. დადის მაგიდებს შორის. ხან თეფშებს უცვლის სოვდაგრებს და მათ ცოლებს, ხან ფრანგული დვინის ბოთლებს ალაგებს. სცენისკენ გაეპარ

რება მზერა ზოგჯერ. რას ფიქრობს, ამას ვინ გაიგებს. მაგიდებიდან ისმის ხანდახან ხორხოცი, მდიდარი ქალების ხორხოცი. მთელ დარბაზს წამყვანიან, პრინციან, მოცეკვავებიან, სოვდაგრებიან, ორკესტრიანად აიწონის ამ სიფრიფანა გოგოს მზერა. მისი სევდა მირჩევნია ამ საზოგადოების ლად, მხიარულ განწყობას. საიდან მოვიდა, საიდან გაჩნდა. ჩემს მაგიდაზე ათოოდე ადამიანი ზის (ჩემიანად), მიღიმის ვიღაც შუაზიელი ვარდისფერშლიაპიანი ქალბატონი, ფერუმარილით რომ დაუმალავს წლები და მალ-მალე აჩენს ფაიფურის მწყობრად ჩარიგებულ კბილებს. მეც ვუდიმი. ასეთია ამ მაგიდის ვალდებულება. მიმტანი უახლოვდება ჩვენს მაგიდას.

— დვინო გნებავთ? — მომწვანო ოქროსფერეთიკებიან ბოთლები ჯერ ისევ დგას დვინო.

მე თავი დავუქნიე და ვიდრე მიმტანი გაეცლებოდა ჩვენს მაგიდას, ჭიქა შევავსკ.

— რა გქვიათ, გოგონა?

ჯერ დაიბათ. არ იცოდა რა გაეკეთებინა. ალბათ იფიქრა, რატომ აინტერესებს ჩემი სახელიო. ეჭვიანი მზერა გაუკრთა თვალებში. ვეგონე, ალბათ, ვიღაც თავხედი მდიდარი, რომელსაც ყველაფრის ყიდვა შეუძლია, იმდენი ფული აქვს.

— თქვენ გაგიმარჯოთ. — დავლოცე და ჩაედიმა.

— მაინც არ მეუბნებით თქვენს სახელს.

არაფერი უთქვამს. დაცარიელებული ბოთლი აიღო და წავიდა. თვალი გავაყოლე. ბავშვობის მერე არ მქონია ასეთი შეგრძნება. მინდოდა, რო სულ ამ არსებისთვის მეცქირა მთელი საღამო. შუაზიელი ქალბატონი კი საცხავოდ მქატიებოდა. მერე ჩემგან ზრდილობიანი უარი მიიღო. ვუთხარი, რომ არასოდეს მიცემვია ცხოვრებაში. ადგა და ვიღაც შუა ხნის კაცი იპოვა, დაბალი, ჩაგვერა კაცი, რომელსაც გულმოდგინედ მიებნია ქათქათა ფერანგზე შავი პეპელა.

„რა პქვია ნეტა?“ – ვეკითხებოდი ჩემს თავს. ხუთიოდე წუთში გამოჩნდა, დვინო მომიტანა. თვალი თვალში გავუყარე, მზერა ამარიდა და უცბად მოსცილდა ჩემს მაგიდას.

\* \* \*

როდესაც ადამიანი სიყვარულზე ფიქრობს, მგონია, რო დრო ჩერდება და მიწიერი არსება სხვა განზომილების მკვიდრი ხდება. როდესაც ადამიანი სიყვარულზე ფიქრობს, თითქო მოკვდავი ადარ არის და სხვაგან მიდის, სხვა სამყაროში, სადაც ყველა უკვდავია. რამდენჯერ შეიძლება იყოს ადამიანი შეყვარებული? პა, პა, პა, როგორ შეიძლება დათვალო. მე სულ შეჭვარებული ვარ, სულ, სულ და ამით ვარ ბედნიერი, ეს მიქარვებს ამ დამყაყებული წუთისთვისაგან მოყენებულ ტკივილებს, თუ რა ვიცი, იარებს? რაც გინდა დაარქვი. მე სულ

მიყვარს – ხან ვინ და და ხან ვინ და ამით ვგრძნობ, რო ვიღაცის მიერ დამკვიდრებული ნათქვამი, თუ რა ვიცი მე, თითქო სიყვარული მხოლოდ ერთხელ ეწვევა ადამიანსო, სულ ტყუილი მგონია. ტყუილი, რადგან საკუთარ თაგზე მაქვს გამოცდილი, როდესაც ვინმე შემყვარებია, ასე მგონებია, რო ეს არის და ესა, მორჩა, დამთავრდა ყველაფერი, სამყარო გაჩერდა, დრო გაჩერდა, მეტი ვინდა უნდა შემიყვარდეს-მეთქი. სიყვარულით ავსილა ეს ჩემი სხეულ-ჭურჭელი. მერე გასულა დრო და თანდათან გადაუვლია, ტკივილს გადაუვლია და მიუწებულა. სიყვარული ტკივილივით არის და ტკივილი ერთხელ არ არსებობს, ადამიანი სანამ ცოცხალია სულ ტკივილები სტანჯავს და ესეა სიყვარულიც. სანამ ცოცხალი ხარ, მანამ ტკივილივით გაწუხებს, გზანჯავს და მაინც ბედნიერი ხარ. სოფია, სოფია, სოფია. დაწმენდილი, ვნებებიამცხრალი ზღვა უწევს თვალებში სოფიას და კაცმა არ იცის, როდის დაიწყება მიქცევა ან მოქცევა. როდის გახელდება, როდის აბორგდება ეს უზარმაზარი სტიქიონი, ამ პატარა გოგოს თვალებში რო ჩატეულა და დამატყვევა ეს ამოდენა კაცი, ბიზნესმენი კაცი, უფრო სწორად, სოვებარი, როგორც პაპაჩემი იტყოდა, ცხონებული, სულნათელი, სამარეთბილი. სამარეთბილი რაღააო, მეტყვით. კაი კაცვაბისთვის სამარე თბილია თურმე, ესეც იმის

გამონათქვამია, იმ დალოცვილის. მე კიდევ სოვდაგარი გავხდი და როცა ავდივარ ჰაბსბურგების სასახლეში, ვფიქრობ ჩემთვის, რას ედირსე სოლოს შვილიშვილო – მეთქი. თუმცა, ააპაჩემს როგორი ხალხიც არ უყვარდა, მდიდრები, ფულიანები, გაქსუებულები, ზუსტად ისეთი გამოვედი. თავიდანაც ხო ვთქვი, ფული ბევრი ვიშოვე, საიდან, აბა რა თქვენი საქმეა, ცხოვრების მდინარებამ შემაგდო ფულიან ხალხში და გავმდიდრდი. ფულმა თავისუფლება მაჩუქა და აგე, სად აღმოვჩნდი. ვარ და შემომნატრის ხალხი. ფულის გროვა კაცი ვზივარ უზარმაზარი ჭაღებით გაჩახხახებულ დარბაზში და ვტრიპაჩობ, ვტანტრახებ ჩემთვის.

გამოდის ვიდაც წითელფრაკიანი კაცი, ორდენებით დაზნექია მკერდი. რა ორდენებია, აბა რა ჯანდაბა ვიცი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. დაიწყო აუქციონი. იყიდება ფრანც იოსების ხმალი. ატრიალებს ამ ხმალს წითელფრაკიანი, ყელზე ოქროსფერპეპელაწაჭერილი და ყვება ამ ხმლის ისტორიას. ფრანც იოსები... კი გამიგია, რა თქმა უნდა, ისტორია მიყვარდა. მისი ხმალი... ატრიალებს ორლესულს. საწყისი ფასი. ხუთასი, შუაგულ დარბაზიდან აიშვირდა ვიდაცამ ხელი, ხუთასი ერთი, მოვწრუპე ფრანგული დვინო, რომელმაც გამახსენა პაპაჩემის ჩინურ-გორული, პირსა

შუშხავდა, არომატსაც არა უშავდა, მაგრამ პაპაჩემის დვინოს როგორ შეედრებოდა.

ისიც იქ არის, აუქციონი მას აბა რაში უნდა აინტერესებდეს. პო, აბა სად მიმტანი, გაჭირვებული გოგო, რომელიც კაპიკებზე მუშაობს და კაცმა არ იცის, მის გულში რა ცეცხლი ტრიალებს და სად კიდევ აუქციონი, ფრანც იოსების ხმალი. მე მისგან გამირბის თვალი. რა გოგოა ეს დალოცვილი. ეშხიანი, სახემზიანი, თვალზღვიანი, ალვასხეულა. შენ გენაცვალე. ამ ჭუჭყიან დარბაზში რა უნდა ამ არსებას. ქერუბიმივით დაპქრის და მიაქვს თეფშები, ბოთლები, ხორხოცში, ხმაურში, ჭუჭყში, ფულის სუნში, თფუი. სოფია, სოფია, გწურჩულებ და ვგრძნობ, რო მიყვარს. ხუთასი ორი, კიდევ ვიდაცამ აიშვირდა ხელი. რადაცით მინდა, იმ გოგოს ყურადღება მივიპყრო, რა ტუბუცი ვარ, როდის იყო, რო ხმლის ყიდვით ასეთი ანგელოზივით გოგოს გულის დატყვევება შეიძლებოდა. ათასი – ავწიე ხელი, არც მოუხედავს, ვიდაცამაც ასწია, მერე კიდე ვიდაცამაც. კიდე ავწიე – ათას ხუთასი, კიდე ასწიეს, არც ამჯერად მოუხედავს, სხვებმაც ასწიეს. ორი ათასი, სამი ათასი – არ იხედება, დვინოს ეზიდება, ამ მუცელამოუყორავ ხალხს ემსახურება. ხუთი ათასი – არ მოუხედავს. გაყიდულია, – მიხმობს წითელფრაკიანი და მაჩეჩებს ხმალს. ვაკირდები, თითქო მსოფლიოს ყველა

დამპყრობლის ხმალი მქონდეს სახლში და ესდა დამრჩა. გადავატრიალე, გადმოვატრიალე, ის მაინც არ იყურება, არ აინტერესებს არც აუქციონი, არც ჩვენი ფული. მას თავისი სამყარო აქვს, თავისი პატარა საქმე აინტერესებს. ხგალ დილით მოსამსახურის ხელფასს გადაუხდიან და კმაყოფილი დარჩება თავისი ნაოფლარით. ვატრიალებ ხელში ხმალს და წითელფრაკიანი საუბრობს იმაზე, თუ რამხელა რელიკვია ჩავიგდე ხელში. ფრანც იოსები ბორგაგს საფლავში... ვის ჩაუგარდა ბრძოლებში გამოწრობილი ორლესული ფოლადი. რა არის ეს ცხოვრება, ამის დედა ვატირე ჰა, ფიქრობს ფრანც იოსები. ავსტრიის იმპერატორის ხმალი ვიდაც უბირმა სოვდაგარმა იყიდა. აი, ეს არის ცხოვრება, ქმაო. გინდა მეფე იყავ, გინდა ვეზირი. ერთ შშეგნიერ დღეს შეიძლება ამოგთხარონ და ძვლებიც აუქციონზე გაყიდონ და ვინ იყიდის კიდე, ღმერთმა უწევის. შემომციცინებს დარბაზი. ზოგი ხმალს აკვირდება, ზოგი მე დიდი შეხედული მე არ ვარ, მაგრამ მოვწონვარ ყველას. შეხედულებას ფარაგს აუქციონზე გამოჩენილი ჩემი სიყოჩადე, უფრო სწორად, ჩემი ფული. მივდივარ ჩემი მაგიდისკენ და მიმაქვს შეა საუკუნეების რაინდივით ეს ჩემი ხმალი. თან მომდევს ფრანც იოსების აჩრდილი. სად მიგაქვს რო მიგაქვს, ვინ მოგცა მაგის უფლება, ეს ხმალი დაწევლილია, დაწევლილი. აბა

ესენი გიჟები კი არ არიან, რო ყიდიან. არ ვაქცევ ჭურადღებას. ისედაც დაწევლილი ვარ და ფრანც იოსების წყევლამ რა უნდა მიყოს. მიუჯექი ჩემს მაგიდას. ტაშით შემეგებნენ მეინახენი. მერე სათითაოდ გასინჯეს ჩემი აუქციონის ნადაგლი. შეაქეს. ნეტა რა ჯანდაბა იცოდნენ, ან ფრანც იოსები ვინ იყო, ან კიდე ეს ხმალი რა ღირებულებისაა. ისიც გამოჩნდა. ხელი დაგუქნის. ღვინო შევავსე თვალის დახამსამებაში. ახლოს მოვიდა თუ არა, ფეხზე წამოვდექი და ვადღვეგრძელე, ამ ჩემი დამტკრეული ინგლისურით როგორც მოვახერხე. ვუთხარი, რო მსოფლიო მქონდა შემოვლილი და მასზე ლამაზი ქალი არსად მენახა. მცირე ხანს შეეოვნდა და სიტყვები დამთავრებული არ მქონდა, შველივით გასხლება. ალბათ დიდხანს გაჩერების უფლებაც არ ჰქონდა მაგიდასთან. შეშლილია, შეშლილია მსოფლიო, გადარეულია ხალხი. ოცდამეერთე საუკუნე. თფუე. წითელფრაკიანი ისევ გამოჩნდა სცენაზე. ხელო უპყრია ვეება თაიგული, ვარდები: თეთრი, წითელი, ალისფერი, შავი. თაიგული ისე ჩანს შორიდან, თითქო ვარსკვლავები დაწევიტა ვიდაცამ და თაიგული შეკრა. წარმოვიდგინე, რო ცაში ვიყავი, ვიღაც უჩინარი მიჭერდა ხელით, რო დედამიწაზე არ მომედინა ზღართანი და სათითაოდ ვაგროვებდი ვარსკვლავებს, რო თაიგული შემეკრა. მერე ჩამომსვა იმ უჩინარმა მიწაზე და ამ დარბაზში აღმოვჩნდი, სცენაზე

და სოფიასთვის უნდა მიმერთმია ვარდების თაიგული. საწყისი ფასი ათასი, რა ამბავია ათასი, ხმალი არ დაუფასებიათ ამდენი, ყვავოლია ბოლობოლო და მეტიმეტი ერთი ან ორი კვირა გაძლოს. მერე დაჭკნება და სანაგვეში უნდა ჩაუძახო – ფიქრობენ დარბაზში. დამჭერარი სილამაზე ნაგვის ურნაში. ხმალი პედელზე, ხალიჩაზე, სახლში შემოსულ ყველა სტუმარს უნდა აუხსნა და მოუყვე, ვისი ხმალია, სად შეიძინე, ვარდების თაიგული დავიწყებულიც იქნება, ნაგვის ურნიდან მოხვდება ქალაქის ნაგავსაყრელზე და მერე ცეცხლის ლუგმა გახდება გამხმარი ყვავილები ან ნეშომპალად გადაიქცევა ნაგვის ჩასირისტებულ გროვაში. ძვირს აფასებს წითელფრაკიანი და დარბაზში ხელს არავინ წევს. შეიძლება გასაყიდიც დარჩეს და აქვე დაჭკნეს, ამ დარბაზშივე. ათასი, საწყისი ფასი. ავიწიე ხელი და გაინაბა დარბაზი. მოლოდინი აქვთ, რო ვიღაცა მაინც გამიწევს მეტოქეობას. არავინ იმეტებს ყვავილებში ფულს. ამ დროს ის შევამჩნიე, მისჩერებია სცენას, წითელფრაკიანის ხელში მოქცეულ ვარდებს. გაყიდულია – გამოაცხადა წამყვანმა და მიმიხმო სცენაზე. ის ისევ თაიგულს მიშტერებია და ალბათ ფიქრობს, რაში სჭირდება ამ ჩაქცეულ მილიონერს ყვავილები. ან კიდევ ვარდები ეცოდება, რომლებიც მე ვიყიდე და ისეთი კაცის ხელში ჩავარდა, რომელმაც ფულის

მეტი არაფერი იცის და მისთვის ვარდსაც ფულის სუნი ასდის.

მომაჩქნა მიკროფონი წითელფრაკიანმა. მეც დავიწყე, რა თქმა უნდა, ჩემი საყველპურო ინგლისურით. სცენასთან ვთხოვ ადამიანს, რომლის სილამაზესთან ამ ვარდების თაიგულის ეშხი არაფერია. სოფიას ხელი ავუწიე, გავუდიმე და ჩემთან მოვუხმე. არ განძრეულა, იდგა და მოულოდნელობისაგან რა გაეკეთებინა არ იცოდა. ტუჩებს იკვნეტდა. მე ვიდექი და ველოდი, მაგრამ ის მაინც არ იცვლიდა ფეხს.

ბოლოს მიკროფონი ისევ წამყვანს მივაჩქე და სოფიასკენ გავემართე. გავემართე თამამად, ფრანგული დვინით შეპერანგებული. მივდიოდი ისე, თითქო ხელი უნდა მეთხოვა. მივედი და თაიგული გავუწოდე. სხეული უთროთოდა დაბნეულობით, სიმორცხვით. მთელი დარბაზი ჩვენ მოგვჩერებოდა. მხოლოდ ახლადა დაინახეს მიმტანი გოგო მომნუსხველი სილამაზით. დამატყვევებელი თვალებით და ალვა სხეულით.

– მინდა...

ვერ ვაგროვებ სიტყვებს.

– მინდა... შენ გაჩუქო ეს თაიგული და გამოგიტყდე, რო შემიყვარდი. შენ ყველაზე ლამაზი გოგო ხარ, ვინც კი მინახავს ამქვეყნად. მეტი ვერაფერი მოვახერხე. ყვავილები გავუწოდე და დარბაზში ტაშმა დაიქუხა. სოფიას თვა-

ლებში ზღვა შეტორტმანდა და წამწამებამდე  
მოაწვა პაწია ტალღებით, რომელიც ცრემლე-  
ბად გადმოეკიდა თვალებზე. შენი... შენი მისა-  
მართი მომეცი, გეხვეწები. მეტს არაფერს  
გთხოვ. თაიგული გამომართვა და უთქმელად,  
სმისამოუღებლად გაფიდა დარბაზიდან. მინ-  
დოდა კალამი და ფურცელი მქონოდა და  
სულში ჩაგროვილი განცდა სტრიქონებად გა-  
დამეტანა ქაღალდზე, რაღაცა დამეწერა...

მაგიდასთან ძლივს მივედი. ვგრძნობდი, რო-  
გორ მერეოდა ფეხი. რეტრასებმულივით ჩამოვ-  
ჯექი და თანამეინახეების მიღოცევებს ვუსმენ-  
დი. რას მიღოცავდნენ ეს ცანცარა ევროპელე-  
ბი, ვერ ვხვდებოდი. მაგიდაზე კი შევნიშნე და-  
კეცილი ფურცელი. გავშალე. გაკრული ხელით  
ეწერა sofiakindler@yahoo.com

2013წელი  
დიცი

## ეველინა

– ნაბიჭვრები ესენი.

– ვინ?

– დამაცადე შენ კიდევ.

ნანომ ენა გადაყლაპა. სადა მაქეს ამის თა-  
ვი, ეს რო აენთება, მერე მტრისას, უჰ, რაღა  
გააჩერებს, სანამ არ დაიცლება, სანამ ერთია-  
ნად არ ამოიღებს თავის ბოლმას.

– ჩათლახები, – აგრძელებს ეველინა და  
გვერდით, ქვიშის პლაჟზე მზის გულზე გაშო-  
ტილი ქალები, მარიამობისთვის ღურდურა მზით  
რო იძკრახებიან, გაოცებულები უყურებენ ევე-  
ლინას. ეველინა იქნება სამოცს გადაცილებუ-  
ლი, მამალი ქალი. ქართლში იტყვიან ასეთ  
ქალზე – ცხენიან კაცს ძირს დასცემსო.  
ეველინას ხმაც ისეთი აქვს, რაღაცნაირი  
ვაჟაცური ხაფიანი ხმა. ქალისთვის  
შეუფერებელი, რომელსაც თამბაქოს დიდი  
ხნის კვალი ეტყობა. ახლაც ეწევა. ეწევა ისეთ  
თუთუნს, რომელსაც სხვის ხელში იშვიათად  
ნახავ. მეგობრებს უცხოეთში აბარებს და  
ევროპიდან ჩამოტანილ სიგარეტს იზოგებს  
ხოლმე.

– კაცი მაინც ვიყო. ავატრიალებდი ქვეყა-  
ნას. დედას ვუტირებდი ზოგიერთ მაიმუნს და  
გოთვერანს, ქვეყანას რო დედა უტირეს და ეს  
საცოდავი ხალხი ამ დღეში ჩააგდეს.

ნანოს, ეველინას გაუთხოვარ დეიდაშვილს, ეხათრება ხალხის. გული მოსდის ეველინაზე, მინდორში ხო არ არის, კაცო, ამდენი ხალხი უყურებს. ხალხს დასვენება უნდა, ამან კიდევ შეჭამა ტვინი. დგას და მოსთქვამს იმივით, გეგონება ეს რო არ იყოს, დაიქცოდა ქვეყანა. თითქო დაბედებული აქვთ ზღვაზე ერთად სიარული, თუმცა დაბედება რა შეუშია. ეველინა ნანოს გარეშე არსად დადის. მერე აიხირა ეს ურეკი. ერთი ხანობა განუკურნებელი სენიო იყო ავად (ვითომ), ევროპაში ოცი წელი იცხოვრა, მერე ჩამოვიდა საქართველოში და უცბად აღმოუჩინეს ის არსახსენებელი დაავადება. იმედი გადაუწურეს. დღე - დღეზე ელოდა სიკვდილს. შეგუებოდა იმას, რომ მალე მოაკითხავდა მიქელ-გაბრიელი და სამუდამოდ დაემშვიდობებოდა სააქაოს, თავის უშვილო ქმარს სთხოვა და რაც რამ ებადათ, რაც რამ გააჩნდათ, ყველაფერი მეზობლებს აურიგ-ჩაურიგა, გაჭირვებულ მეზობლებს. მაგრამ ერთ დამესაც სიზმარი ნახა და ყველაფერი საპირისპიროდ განვითარდა. პეტრე-პავლეს ეკლესიაში წავიდა და... მას შემდეგ ცოცხალია. აგე, ზღვაზეც წამოვიდა დეიდაშვილ ნანოსთან ერთად, რომელსაც ხან ისე დაუცაცხანებს, რო ნანოს ადგილზე სხვა ვინმე რო იყოს, არასდროს ადარ ახსენებს ეველინას სახელს, მაგრამ ნანო თოთქმის ეველინას ხელშია გაზრდილი და ასეთ რამების შემარტინის შემთხვევაში არა უნდა მოლიტიკაზე საუბარს? ხალხი ჩამოსულია ორი კვირით. მთელი წელი აგროვებს კაპიკებს, რო რამენაირად შეძლოს და დაისვენოს და აქ იმიტომ ჩამოდის, რო ეველინას შეგონებას უსმინოს? შეგონება და მერე როგორი, იტყვი, ილია ჭავჭავაძის ქართლის დედააო, ისე მოთქვამს. ყველა ეცოდება, ყველას სიბრალულის თვალით უმზერს. საწყალი ქართველი ხალხი. დაბეჩავებული, დამონავებული. მონას აუცილებლი კი არ არის, რო უღელი ეღგას ქედზე, ან მათრასს ურტყამდე და ისე ამუშავებდე. ახალგაზრდა კაცი, ჯანდღონით სავსე კაცი, საკუთარ მიწაზე მუჟაოს ყუთს რო გადაიკიდებს და მთელი დღე ქვიშიანი ფეხებით დახერხებს ამოდენა პლაჟზე, რო ათიოდე ქობულეთური ნაყინი გაყიდოს, იმ ქართველ კაცზე საცოდავი არავინ არის ამქვენად. ქართველი ქალი, ვენტებადმოყრილი ფეხებით და წნევით აღაუღაუებული სახით მთელი დღე რო ვეღრით დაატარებს მოხარშულ სიმინდს, რო როგორმე ჩამოსულ დამსვენებლებში, განსაკუთრებით კი უცხოელებში გაასაღოს და საღამოს ჩაიდაალევინოს შვილებს. იმ ხალხს და იმ ქვეყანას მომავალი არ უწერია. ასე ფიქრობს ეველინა, აღარაფერია ჩვენი, აღარაფერი. აღ-

ბა, მისი დაცაცხანება და დაწყევლაც კი გულთან არ უნდა მიიტანოს. არადა, ბრაზობს ნანო. სადაც არ უნდა წავიდეს ამ მურმურა ქალთან ერთად, ყველგან ერთი და იგივე. ზღვაზე რა უნდა პოლიტიკაზე საუბარს? ხალხი ჩამოსულია ორი კვირით. მთელი წელი აგროვებს კაპიკებს, რო რამენაირად შეძლოს და დაისვენოს და აქ იმიტომ ჩამოდის, რო ეველინას შეგონებას უსმინოს? შეგონება და მერე როგორი, იტყვი, ილია ჭავჭავაძის ქართლის დედააო, ისე მოთქვამს. ყველა ეცოდება, ყველას სიბრალულის თვალით უმზერს. საწყალი ქართველი ხალხი. დაბეჩავებული, დამონავებული. მონას აუცილებლი კი არ არის, რო უღელი ეღგას ქედზე, ან მათრასს ურტყამდე და ისე ამუშავებდე. ახალგაზრდა კაცი, ჯანდღონით სავსე კაცი, საკუთარ მიწაზე მუჟაოს ყუთს რო გადაიკიდებს და მთელი დღე ქვიშიანი ფეხებით დახერხებს ამოდენა პლაჟზე, რო ათიოდე ქობულეთური ნაყინი გაყიდოს, იმ ქართველ კაცზე საცოდავი არავინ არის ამქვენად. ქართველი ქალი, ვენტებადმოყრილი ფეხებით და წნევით აღაუგაუებული სახით მთელი დღე რო ვეღრით დაატარებს მოხარშულ სიმინდს, რო როგორმე ჩამოსულ დამსვენებლებში, განსაკუთრებით კი უცხოელებში გაასაღოს და საღამოს ჩაიდაალევინოს შვილებს. იმ ხალხს და იმ ქვეყანას მომავალი არ უწერია. ასე ფიქრობს ეველინა, აღარაფერია ჩვენი, აღარაფერი. აღ-

არც მიწა, აღარც ზღვა, აღარც ცა. საკუთარი თავიც აღარ გვეკუთვნის. ეველინა წითელი ქოლგის ქვეშ მოკალათებულა, ფეხები მაგნიტურ ქვიშაში აქვს წაფლული და სანაპიროს დაცვის წარმომადგენლებს გულმოდგინედ ლანდმაგს.

- აი, ესენი კაცები არიან?
- რა ქნან, დავალება აქვთ ეგეთი. – ნანო ესარჩელება დაცვის ბიჭებს.
- გაიწყვიტე ხმა. – სახე გაუგენტდა ეველინას. – დავალება...
- ამ მშიერ ხალხს რო არ უჭირდეთ, სანაპიროზე იხეტიალებენ მთელი დღე და ესე იფარუკანებენ? ეს ჩვენ ხასიათში არ არის, არა, მაგრამ რა ქნან. შეიძლს რო მოშივდება სახლში და შემოგდინავლებს, ადგები და შენს ლირსებას სადღაც მოისვრი. ამაზე დიდი „პაზორი“ რაღა გინდა. ამა შეხედე, გაუმარჯოთ დმერთმა, საიდან სად არიან ჩამოსული სომხები, განა კი არ მშურს, მაგრამ ხომ შეიძლება, რო საკუთარ მიწაზე ერთხელ ქართველმაც გაიხაროს. ხელისუფლება ხო უნდა ფიქრობდეს ამაზე. გამათხოვრებული ხალხის ხელმძღვანელობა და წინამძღოლობა რა ბედენაა. რა, არ ვარ მართალი? – კატერმა გაიშხუილა, სანაპიროს ახლოს ტალღები აშალა, ზღვა შეატორტმანა.

– ჯანდაბა ამათ. უკმაყოფილოდ გახედა იაპონური წარმოების მოტორიან ნავზე მოკალათებულ მაშველს ეველინაზ.

– აღარც ამათი ნერვები მაქვს. ხო იმას ვამბობდი. კაცი რო ხელისუფლებაში მოდის, ჯერ საქართველოს ისტორია უნდა ჰქონდეს კარგად ნასწავლი, ისე კი არა, თარიღების გაზეპირება-გაზუთხვით და კიდე იმით, მარტო დაცითი და თამარი რო გაუგიათ, ისიც უხეოროდ. როცა შენი ხალხის სვე-ბედს კარგად გაიგებ და შენს ისტორიას კარგად გაიაზრებ, მაშინ უნდა მოხვიდე ხელისუფლებაში.

– სირცხვილია, ხალხი რას იტყვის. – ჩურჩულით უთხრა გაუთხოვარმა ნანომ

– ხალხი მაგათ და ჯანდაბა. ეს ხალხიც ბრმა-ყრუ გახდა. რა ვიცი, ასე რო გაგრძელდეს. აჲა, გახედე, – თითო გაიშვირა ეველინამ. დაცვის წევრი მისდევდა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც მოხარშული სიმინდით სავსე ვედრო ეჭირა და ქვიშით გამოტენილი ფლოსტებით ძლიერს გარბოდა პლაჟზე. ჩვენ აღარა ვართ ხალხი. ხალხი ვიყავით ოდესლაც, ერთმანეთი გვიყვარდა, ერთმანეთის სიკეთე და ბედნიერება გვიხაროდა. სტუმარი გიხაროდა, სტუმარი იცი რა იყო ქართველი კაცისთვის? სხვანაირი ცხოვრება იყო და ხალხიც სხვანაირი იყო. ადამიანი ვერ დაგიპატიუია, ადამიანთან ვერ გისაუბრია. გაბოროტებულია ხალხი, დაავადებულია. მკურნალი გვინდა, მკურნალი, თორემ ეს თუ დიდი ხანი გაგრძელდა, მერე დაგვიანებული იქნება. ჩვევად გადაგვექცევა. – ისევ გაიშხუილა კატერმა, – ჯანდაბა, – ისევ

წაიძუტბურა ეველინამ და ქოლგის ქვეშ ადგილი იცვალა. ფეხები ერთმანეთზე შეატყუპა და ქვიშის დაყრა იწყო. ეს ქვიშა თუ უშველის ჩემს სახსრებს.

— როგორ არ უშველის. ხალხი საიდან სად ჩამოდის ამ ქვიშისთვის, — თქვა ნანომ.

ეველინა ცოტა ხანს ჩაყუჩბული იყო და მერე ისევ გააგრძელა ქვეყნის სატკივარზე საუბარი.

ამასობაში სანაპირო დაცვას გამოპარული, ბუნებრივი ქვის მძივებით მოვაჭრე ქალი მიუახლოვდა ეველინას ქოლგას.

ვიდრე ეველინა დაეპასებებოდა, მოვაჭრე ქალი იქვე, ეველინას ქოლგის გვერდით ჩამოჯდა, წელზე შებმული საფულე გახსნა, თან სული მოითქა, თან ხურდა ფულის დათვლა დაიწყო. ამასობაში ეველინა ბუნებრივი ქვებით დაინტერესდა.

— შეღებილია თუ ნამდვილია?

ქალმა ფულის თვლას დროებით თავი მიანება, საფულეს ელვა შექრა და ადგილობრივი ხელოსნის მიერ ბუნებრივი, ზღვის ნაპირიდან აკრეფილი კენჭებით დამზადებული მძივები სათითაოდ აჩვენა. ზოგი იყო ცისფერი, ზოგი ძო-წისფერი, ზოგი ფირუზისფერი... ზოგი კიდევ ისეთი ფერი, რომლის სახელიც მარტო ზღვამ იცის.

— სადაური ხარ, — თან მძივებს ათვალიერებს, თან გამყიდველ ქალს ეკითხება ეველინა.

— აქაური.

— დიდი ხანია ვაჭრობ?

— დაგბერდი ლამის.

— ვისი ნახელავია? — ხელოსნის ვინაობით დაინტერესდა ეველინა.

— ისიც აქაურია, მეზობელი, მადლიანი ხელი აქვს. რაც დაიბადა, მგონი ამ საქმეზე მუშაობს. მამამისიც ამ საქმით იყო დაავებული. ძვირფასი ხელი აქვთ. ძვირფასი, ქალაქში შესთავაზეს წახვლა, მაგრამ ფეხი არ გააკარა. ლამის მთელი ბიოგრაფია უამბო გამყიდველმა ეველინას. მერე ქვების თვისებებზე გადავიდა. ყვებოდა, როგორ იკურნებოდა თითოეული ქვისგან სხვადასხვა დაავადებები, როგორიც იყო: სახსრები, არტერიული წნევა, წითელი ქარი და რა ვიცი კიდევ. ათას რამეს არჩენენ დალოცვილები. „ქვა ქვაა და მეტი არაფერი, ქვამ რა უნდა უყოს დაავადებას“, — ფიქრობს ნანო.

მიუხვდა გამყიდველი, თითქო გულთამხილავით იყო.

— რაკი შენ იტყვი, რო მარტო ქვაა, ორი წლის წინ ფეხს ვერ გადგამდი, დედაჩემის სულსა ვფიცავარ, ისეთი დაკუტებულივით ვიყავი და აემან მიშველა, ცისფერ ქვას დაადო თითო.

- რანაირად? - დაიბნა ნანო.
  - რანაირად და ფეხზე ვიდებდი დილა-სა-დამოს, - თქვა გამყიდველმა და წამოდგომა დააპირა, ესენი არაფრის მყიდველები არიანო, ალბათ თუ იფიქრა.
  - მოიცა, სად მიხვალ, - დაიროხოხა ეგვ-ლინამ. - მაჩვენე წესიერად, გოგოებს მაინც გავახარებთ, ჰა, რას იტყვი, - თვალი ჩაუკრა ნანოს.
  - უი დედა! - შეიცხადა ნანომ.
  - რა იყო, რა მოგივიდა? - დეიდაშვილის-აქნ გაექცა თვალი ეველინას.
  - ამას შეხედე, ამ საცოდავს.
- ქოლგებს შორის წვალებ-წვალებით ინგა-ლიდის ეტლს მოათრევდა ახალგაზრდა კაცი. ეტლში იჯდა ათოოდე წლის ბალდი, რომელ-საც სავარაუდოდ დამბლა უნდა პქონოდა. თო-თო-ოროლა კაპიქს იმეტებდა დამსვენებელი. ზოგი ვერ ხედავდა, იმიტომ რო პირქვე იწვა და მზეს ეფიცხებოდა. ნანომ ხელი დაუქნია. ახალგაზრდა კაცმა ეტლს მიანება თავი, რად-გან ეველინას ქოლგამდე ეტლით ვერ მივიდო-და და ფეხით მიაშურა. ნანომ საფულე ამო-ღო, მაგრამ ეველინამ არ დაანება. ხელჩანთა გახსნა, დამბლადაცემული ბავშვის მშობელს ქადალდის ფული გაუწოდა. ახალგაზრდა კაც-მა ლუდლული დაიწყო და გაურკვეველი ბგე-რები გამოსცა მადლიერების ნიშნად. მერე

პირჯვარი გადაიწერა და ეტლში დატოვილ შვილს მიაშურა.

- აბა, ეს არის ცხოვრება? ჩვენ ზღვაზე ვისვენებთ, ესენი მშიერ-ტიტვლები დადიან. ხო გითხარი, ჩვენისთანა უბედური ქვეყანა არსად არ არის-მეთქი, სად ადარ ვიყავი, ძველიერება მოვიარე, მარა ასეთი რამე, აქ როა, არ ვიცი მე. ცხოვრება მომბეზრდა, ცხოვრება. ეველინამ რამდენიმე მძივი აიღო, გამყიდველს ფული მი-უთვალა.

- ისე, ჩემთვის რო გეპითხათ, ქალბატონი, მე გირჩევდით, რო მაგ აფერისტისთვის ფული არ უნდა გეწუქებინათ, - ვედარ დაიოკა თავი მძივების გამყიდველმა.

ეველინა გაკვირვებული და ამავდროულად მწყრალი თვალებით მიაჩერდა უცხო ქალს.

- ებ კაცი აფერისტია, ქალბატონი, არც თვითონ არის ყრუ-მუნჯი და არც მაგ ბაგშვის აქს ცერებრალური დამბლა. დადის ეგრე, თავს აცოდებს ხალხს და ვინც არ იცის, ჩუქ-ნიან ფულს. მე ამდენს ვეწვალები, ვყიდულობ, ვყიდი, კაპიქები მრჩება და ებ კიდევ არაფრით ჩემზე მეტს აკეთებს. უბრალოდ, ვედარ მოვასწარი წელან თქმა და...

ეველინა ნანოს უმზერდა, ნანო - ეველინას. ზღვა თავისთვის ერთობოდა, ნება-ნება მოჰყავ-და ნაპირთან ტალღები და გულმოდგინედ რე-ცხავდა ნიჟარებიან ქვიშას.

- აბა მძივები, სამკურნალო ქვები, ბუნებრივი ქვები.
- რა უტელური ვარ, ნეტიგ იცოდე, ნანო. – ამბობდა ეველინა.

2013 წელი  
დიცი

### ნატყვიარი

(პროლოგივით)

ვევდა გუმბათზე მაუზერის ტყვიით დახვრტბილ მაცხოვრის ფრესკას მივჩერებივართ მე და ჩემი მეგობარი. გვერდით, ძველისძველ შანდალში, ორიოდე წუთის წინ დაწოებული კელაპტრები პარაპლებენ.

- ბენიამინი ყოფილა იმ ბიჭის პაპის მამა,
- მიყვება გიორგი.
- ბენიამინი ვინ იყო?
- სოფლის აღმასკომის თავმჯდომარე.
- მერე?
- ბენიამინის შთამომავლებიდან მარტო ერთი ბიჭიდა დარჩენილა ცოცხალი. მისი მოდგმიდან ყვალა უცნაურად იღუპებოდა თურმე, უცნაური ტანჯვით. ამ ბიჭსაც გაურკვეველი ავადმყოფობა შეჰქრია, საშინელი ტკივილებით იტანჯებოდა, სად აღარ ჰყოლიათ, რა აღარ უწამლიათ, მაგრამ ვერაფერი უშველესო. თან ზუსტად იმ ადგილებში ჰქონია გაუყუჩებელი ტკივილები, სადაც ტყვიები აქვს ნასროლი მაცხოვრის ფრესკას, შეხედე, ყველა სახეში აქვს მოხვედრილი, ნატყვიარები დავითვალე, ხუთგან აქვს ნასროლი.
- ჰოო, ხუთი ტყვია უსვრია.

მერე ერთხელაც ერთი კაცი დაესიზმრაო. იმ კაცს გვერდით დასისხლიანებული სახით მაცხოვარი ედგა. უთქვაშს, გერც ერთი მკურნალი ვერ გიშველის, ამადა ამ სოფელში სანამ არ ჩახვალ და მაცხოვრის დახვრეტილ ფრესკასთან სანამ არ ილოცებ, უბრე დაიტანჯებიო. ჩამოსულა ის ბიჭი და ვიღრე ტაძარში შემოვიდოდა, ისეთი ტირილი ავარდნია, ქვა დაიწვებოდა იმისი ცოდვით. მუხლებზე დაცემულა, მიწას თავს ურტყამდა. ეგ იყო და იმის მერე ტკივილებმაც გაუარა, თუმცა ის აქედან აღარ წასულა. ანაფორა ჩაუცვამს და ამ ტაძარშივე დაუწყია მსახური. დანარჩენს მოგიყვები...

\* \* \*

— ვაიმეეეე... — დაიდრიალა ისეთი განწირული ხმით, რო იტყოდი, ქვეყანა ინგრევაო და შლეგანაჭამივით წამოხტა. წამოხტა და ფეხშიშველი გაიქცა. საცვლებისამარა გავარდა აიგანზე. ნამდაფენილი ხის-საფეხურებიანი კიბე ფართხაფურთხით ჩაირბინა, ეზო გადაჭრა და კუნაპეტ დამეს მისცა თავი. თითქო უცბად გადასანსლა, ყურჭოვალა სიბნელემ უცბად შთანთქა საცვლებიანი მგზავრი, უცბად მოინელა. მთვარე სადღაც გამქრალიყო. სადღაც გაბლანდულიყო ღრუბლებში და გზას ვედარ იგნებდა. თითს რო ვერ მიიტანდი თვალთან, ისეთი სიბნელე იყო. სინათლე არსად კრთოდა სოფელ-

ში. ერთიანად ჩაბნელებულიყო. სოფლის სუნთქვას ძნელად შეიგრძნობდი. სოფელიც ჩუღუნი წყვდიადის ლუკმა გამხდარიყო. წინა დღეს ეწვიმა, ეავდარა და ალაგაზებულ გზაზე გუბები იდგა, მაგრამ ეფრემი თითქო ვერაფერს გრძნობდა, გარბოდა თაგქედმოგლეჭილი. ერთი-ორჯერ წაიქცა, ტალახში ამოიგანგლა. ხელებიც ლაფში ჰქონდა ამოვლებული. სახეც ლიჭყიანი მიწით მოეთხვარა, მაგრამ ვითომც არაფერი, გარბოდა. ცოტაც და მიაღწევდა სალოცავამდე. „ღმერთო, ეს რა დღეს მომასწარი;” ბუტბუტებდა ცრემლმორეული. „სჯობდა მოვგევდარიყავი, ეს რა ჩაიდინეს ამ უღვოოებმა, ამ ურჯულოებმა”. მერე ხველა აუკარდა. მცირე ხანს შედგა, სული მოითქა, სიბნელეს უძალო მზერა შეავლო და ისევ გააგრძელა გზა. ოღონდაც წელანდელი თაგშეკავება აღარ ეტყობოდა, ხმამაღლა მორთო ბლავილი, შორს გადიოდა სიბნელეში მისი ხმა. ღამენატებმა ქოფაკებმა ყურები ცქიობეს ამ უცნაურ ხმაზე და ყეფა ატეხეს. იგრძნო, რო ახლოს იყო, რაღაც უცნაური სითბო ჩაედგარა, სალოცავის მაღლი შევიდა მასში და ოდნავ დამშვიდდა. დაიჩოქა და პირჯვარი ისახა. თანდათან გამოიკვეთა ტაძრის კონტურები და მერე ნელ-ნელა გაარჩია ცას შედგმული გუმბათი, წყვდიადის ქსოვილში გახვეული ტაძრის კედლები. რაღაც მშობლიური გრძნობა დაუუფლა, ოდესდაც

დედის დანახვისას რო განიცდიდა, ისეთი. თითქმ შინაგანად გრძნობდა სალოცავს, თითქმ მის არსებასთან იყო შესისხლხორცებული ღვთის სახლად აგებული ქვების ჰარმონია. შიგნიდან გრძნობდა. ამას კვრცერთი სიტყვა კერ გადმოსცემდა სრულყოფილად, უთქმელად უნდა გეგრძნო. ფეხები ეპეტებოდა, ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. „ღმერთო, ეს რა იყო? კი მაგრამ, მე ხომ სახლიდან წამოვედი, – სამოსზე დაიხედა, უფრო სწორად, საცვლებზე, ტალახში ამოგანგლულ საცვლებზე და ახლადა მიხვდა, რო შიშველი ლაფიანი ფეხებით იდგა. – სახლიდან წამოვედი, მაგრამ სალოცავში რო ვიყავი, აქ ვიყავი”. ბურტყუნებდა გაურკვევლად. „ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი, ჩემი თვალით, ეს სიზმარი არა ყოფილა”. გასროლის ხმა ისევ ჩაესმა ყურში და გააურქოლა, უფრო სწორად, გააკანკალა. სიომ დაუბერა და ზამთარსმინებული ალვებიდან მომცვრეული ხმელი, უსიცოცხლო ფოთლები სახეში მოაყარა. „ეგეც შენი სალოცავი, ეგეც შენი სიკვდილის დამთრგუნველი ღმერთი, სად არსებობს? შენნაირი უტვინო ადამიანების მოგონილმა ღმერთმა ვის რა უნდა დააკლოს”. ზედიზედ გაისმა გასროლა. არაა! – არაადამიანური ხმით დაიბრავლა. თითქმ ზმანება განმეორდა. საკუთარი თვალით დაინახა, ვიღაც უსახურმა კაცმა რაც ჩაიდინა. ღმერთი

მოკლა, ღმერთს ესროლა. ვინც ეს სალოცავი ააგო, ვინც ეს ფრესკები მოხატა, იმისმა შთამომავალმა წყალს გაატანა ის დიდი მადლი, რაც აქამდე მოგვყვა. უხსენებელმა საკუთარი ხელით მოგვაკვლევინა მაცხოვარი. მუხლებმოკეთილმა შეაბიჯა სალოცავში. ჯერ პარდელს ემთხვია, მერე სიბნელეხაგუბებული ტაძრის საკურთხევლისაკენ გაიკვალა გზა. გუმბათისკენ გაექცა მზერა, თუმცა რა უნდა დაენახა კუნაპეტ წყვდიადში. საუკუნეებთან ბრძოლაში გამარჯვებული ფრესკაც სიბნელეს შთაენთქა. „მიწყალე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა”. უცბად განათდა ფრესკის ადგილი, მზის ნათელი დაადგა სახეზე იქსოს და მუხლებზე დაეცა ეფრემი. თვალი ძლივს გაუსწორა უცნაურ ნათებას. ხელუხლებელი იყო მაცხოვრის ფრესკა. ღმერთო დიდებულო, წამოიძახა ეფრემმა, ფრესკას შეაცქერდა, ხელუხლებელი იყო. არაფერი მომხდარა, სიზმარი ყოფილა. პირჯვარი ისახა, წერანდელი გოდება დიღინში გადაუვიდა. ეგონა, რო სისხლმდინარე სახე ექნებოდა ძე კაცისას, ასე დაინახა. სიზმარი იყო, ხილვა, გამოცხადება, თუ რა ვიცი, რაც გინდათ ის დაარქვით, მთავარია, რო ნახა, როგორ ესროლეს მაუზერი ფრესკას და ტყვით დახვრეტილი სახიდან როგორ მოწვეთავდა სისხლი. „კოვზი ჩაუვარდა ნაცარში იმ არსახსენებელს, კერ ელირსება, ქართველმა კაცმა რო

ეგ ჩაიდინოს. კი უქრით თავში ამ ცალტვინა ბოლშევიკებს, მაგრამ ეგენიც ხომ დვოთისშვილები არიან, ეგენიც მოეგებიან გონს". დიდხანს ილოცა, მაცხოვრის ფრესკას წამოსვლის წინ კიდევ აპხედა, ოღონდ ვეღარაფერი დაინახა, ისევ ჩამობნელდა. წამოვიდა ტალახშემარი შიშველი ფეხებით. ლაფში ამოგანგლული საცვლებით მოდიოდა ტაძრიდან და ფიქრობდა: „რა იყო ესა მაინცა, ვერ ამიხსნია სიზმარი. სიზმარი სხვა დროსაც ხომ მინახავს, ესეთი სიზმარი!... ცხადი იყო... მაგრამ რანაირად, ფეხსკა ხელუხლებელია. სროლის ხმა თითქო ისევ ყურში ჩაესმოდა პირველ დაქუხებასავით იყო, არსახსენებელი რო იღვიძებს. იმ უსახური კაცის აღდგენაც სცადა, შავად მოლაპლაპე მაუზერი რო ეკიდა, მაგრამ ვერ გაიხსენა. „დიდება შენდა ლმეროო. ხომ არ გავგიუდი ნეტავ. თუმცა რა დიდი გასაკვირია, ერთი ნაბიჯია სულა, ისეთი რაღაცეები ხდება...“

\* \* \*

- უნდა თქვა.
- ვერ ვიტყვი.
- უნდა თქვა, - ახლა უფრო უარესად დაუბრიალა თვალები. - თემის აღმასკომის თავმჯდომარემ თქვა, უნდა დაწეროსო. თუ არაო და მერე სხვანაირად დაველაპარაკებიო. ნათელ-მირონები არიანო, მაგის სიტყვას უფრო

მეტი დამაჯერებლობა ექნება ხალხშიო, ხალხიც კიდე როგორ არის, უცბად გმირად გაგვეგს, უცბად სოფლის სალახანად. შენს ნაოჭვამზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

მახამ ტყავის ჩექმა გაისწორა. ჯიბიდან და თუთუნი ამოიღო, სიფრიფანა ქალალდში გაახვია და მოუკიდა. ზედიზედ ამოქაჩა, ერთორი წააქრიტინა. ბოლოს ისევ დათიას მიაჩერდა.

— ხო არ გინდა? — თუთუნი შესთავაზა.

დათიამ თავი დაუქნია. მახამ გულისჯიბეში ჩაიყო ხელი, პატარა ხის სათუთუნე ხელახლა ამოიღო და თანახოვლელს გაუწოდა. მერე იქ-ედნეს დიმილით დააყოლა, — მოსწიე, მოსწიე, დამშვიდი, რა განერვიულებს, შე კაი კაცო, გეუბნებიან გააკეთე, ხო უყურებ რა ამბებია. რამდენი ადამიანი დახვრიტეს თავიანთი სიჯიუტის გამო, ახალ ცხოვრებას ვერ ეგუებიან, ეგრეა, ხან ისეა, ხან ასე. უნდა შეეგუო ყველაფერს. ეგინაძეებისნაირი ხალხი რო ცხოვრობს, იმიტომ გვაქვს არეულობა, ხალხს აბუნტებენ, მენშევიკების დაბრუნების იმედი აქვთ. ისე გაიქცნენ, მე მგონი შარვლების ჩაცმა დაავიწყდათ. ეხლა დგანან და ეგაძეებისნაირ ხალხს აქეზებენ, დაბრუნების იმედი აქვთ. ეს უტგინო კაციც დადის და სჯერა, რო მალე საფრანგეთიდან იარაღით დატვირთული გემი შემოვა და მენშევიკები

ისევ მთავრობაში მოვლენ, ჩემი ფეხები. — ჩაახელა მახამ და მიწურში გადააპურჭყა.

სოფელი გენდობა, დათია და შენ სიტყვას დიდი ძალა აქვს, თუმცა რომც არა თქვა, ეგა-ძების საქმე მაინც გადაწყვეტილია. კრება ჩა-ტარდა და ბოლშევიკები მაგათ დედაბუდიანად გაწყვეტას ითხოვენ. რატომ უნდა აწყენინო აღმასკომის თავმჯდომარეს პა, აბა შემომხედვ, ჭკვიანი კაცი ასე არ გააკეთებს.

დათიას ლამის ფრჩხილებზე მოედო თამბა-ქოს ცეცხლი, ბოლომდე მოწია, ბოლომდე ჩა-იყვანა. მახამ შეამჩნია და კიდევ შესთავაზა.

— პა, მოწიე, რამდენიც გინდა, — ისევ გა-დაახვია თუთუნი დათიამ, ნერწყვგამშრალი ენა აუსვა სიფრიფანა ქაღალდს და მოუკიდა.

მახამ ისევ გააგრძელა დამოძღვრა.

— ცოტა ხანში ეგინაძისნაირი ხალხი ადარ იარსებებს. ეგენი ძირს უთხრიან მშრომელთა ინტერესებს, მენშევიკების დროს ნაშოვნი ფუ-ლი სად აქვს გადამალული, ვინ იცის? მამასახლისობით გამდიდრდა, საწყალ ხალხს სისხლს სწორდა.

— არასოდეს ეგეთი რამე არ ყოფილა, რო-დის იყო შაქროს ხალხის ქონება მიეთვისე-ბინოს.

— კარგი რა, ჭურში ხომ არა გძინავს, მამა-ცხონებულო, გამოიღვიძე, თვალები გაახილე, გაიხედ-გამოიხედვ. ეგრეა საჭირო, მორჩა და გათავდა. ეხლა შეიძლება ბევრი რამ ვერ გაი-

გო, მაგრამ მერე გაიგებ, ეხლა რასაც გეტყვი, ის გააკეთე.

— როგორ გაგაბეთო, — ამოიოხრა დათიამ, — ნათლიმამა საციხედ როგორ გავიმეტო. რა დავწერო, ან რა ვთქვა, რაც არა ყოფილა, მირჩევნია მე ჩავჯდე, ან ხალხი რას იტყვის. კაცო, სული როგორ გავყიდო, ამ სოფელში უნდა დაგბერდე, შვილი მყამ, მირი მყამ... სახე ლამის გამოასკდა დათიას, იტყოდი, მთელი დღე ცეცხლთან იტრიალაო, ისე ულაპლაპებდა ლოყები.

— მაშ სხვებმა როგორ დაწერეს, — პკითხა მახამ და რისხვით აუელვარდა ცბიქრი თვა-ლები.

— ვინ სხვებმა?

— ფავლენიანი რო დაიჭირეს, ბენომ და შა-ლომ ჩვენება ხო მისცეს, როგორ მალავდა და-მკომის ხალხი მაგათ სახლში იარაღს.

— მერე ეს ხომ ტყუილი იყო. — თვალებში მიაჩერდა დათია.

— ტყუილი, — ჩაილაპარაკა მახამ, — მერე რა, სამაგიეროდ იმ ტყუილმა დიდი საქმე გაა-კეთა, როდემდე უნდა ეპარპაშათ ნათავადრებს.

— ერთიც მომაწევინე, — სოხოვა დათიამ. — მოსწიე, მოსწიე რამდენიც გინდა, — ჩაიქირქი-ლა მახამ და თვალებში გამომცდელად მიაშ-ტერდა, „გამოვა, ძალა აღმართს ხნავს, არ გა-მოვა და ეგეც ეგინაძეს მიპყვება, იცის რაც მოუ-ვა, მომინდომეს სინდისზე ლაპარაკი

მენშევიკებმა, მე რო მკითხოს კაცმა, ასეთ ხალხს არც უნდა ეხვეწო, დათიასნაირებს, გისაც რევოლუციის დროს ჩხირი ჩხირზე არ დაუდია, ტყვიაც არამია ამათზე.

ქვითკირის კედლის ერთ წერტილს სოფლის ყოფილი მამასახლისის ნათელ-მირონი გაშტერებული უმზერდა.

\* \* \*

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭია. ეწვალა, ეტანჯა, მაგრამ ვერ დაიძნა. თვალზინ შაქრო უდგა. ხედავდა, როგორ აწამებდნენ, როგორ დაეყენებინათ დედიშობილა ყოფილი მამასახლისი და ურტყამდნენ გამეტებით, თითქო შაქროს ტანზე სწავლობდნენ ადამიანების ცემას, ცხრა პირი ტყავი ააძრეს, სისხლი ლიამპარად მოსდიოდა მთელი სხეული ძოწისფრად ჰქონდა შეღებილი.

— ეგეც შენა, კიდევ აგინე ბოლშევიკებს, გქონდეს იმ ცალტვინა მენშევიკების იმედი, — აფურთხებდა მახა, შალო კი ისევ გამეტებით ურტყამდა, ახსენდებობა შაქროს სიტყვები: დაისვენე, შე კაი კაცო, ხომ არსად გავრბივარ, დაისვენე და ისევ გააგრძელეო.

— მასხარადაც გვიგდებსო, — და გავეშებული ხადირის სახით ურტყამდა და ურტყამდა. შალოც სისხლით იყო მოთხეპნული, ხელები ყასაბივით გახისხლიანებოდა, მაგრამ მაინც გერ

დარწყელებულიყო შაქროს სიხლით, კიდევ სწყუროდა.

შაქროს ბლავილიც ყურში ჩაესმოდა დათიას. როგორ ეველრებოდა ბოლშევიკებს, რო მოექლათ. „დათიას ედოს ჩემი ცოდვა” — შაქროს უკანასხნელი სიტყვებიც ჩაესმა ყურში და ფუნზე წამოიჭრა, მიხვდა, რო ცხადი არ იყო, მაგრამ ეს წუთები მაღე დაგებოდა, დათიას მაინც არ მოუსვენებდნენ ბოლშევიკები.

„უნდა წავიდე, სადმე გადავიკარგები, რო ესენი თვალით აღარ დავინახო, მაგრამ სად წავიდე, სად დავიმალო, ყველგან ესენი არიან, ვის შევაფარო თავი, ან ამათ რა ვუყო, — მძინარე ცოლ-შვილს გადახედა, როგორ მოვიქცე, ღმერთო, პირჯვარი გადაიწერა, ჯალაბს ამიწიოკებენ. მახას შეშლილი, გაბოროტებული სახე დაუდგა თვალზინ. წარმოიდგინა დატყვევებული ოჯახი, გამოკეტილი სახლ-კარი.

არჩევანის წინაშე იყო — ან ბოლშევიკების დავალება უნდა შეესრულებინა, ან უნდა გადახევწილიყო... პირი უშრებოდა, მალ-მალე ფარდაჩამოფხატული სარკმლისკენ გაექცეოდა თვალი. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რო ვიდაც უთვალთვალებდა, თუმცა გარეთ პუნაპეტი სიბნელის მეტი არაფერი არ იყო, მხოლოდ დამე იბრვირებოდა, მარიამობისთვის უმთვარო ღამე.

ადგა, ტანთ ჩაიცვა. ერთხანს რეტდასხმულივით დადიოდა ოთახში, დედის გვერდით

მწოდიარე მძინარე ბალდებს საბანი გაუსწორა. მერე მცირე ხანს უმზირა სიზმარეთში მონავარდე სისხლიერებს, თითქო აღსარებას ამბობდა, ისეთი სახე ჰქონდა. სინანულის ცრემლმაც გამოჟონა მისი ჩაცვენილი, დარდით ამოღამებული თვალებიდან. დაიხარა, შვილებს სათითაოდ აკოცა, მერე მეუღლეს ეამბორა და სახლიდან გავიდა.

„ჯერ შაქროსთან მივალ. მივალ და ვეტყვი, იქნებ გაასწროს აქედან”.

მდგრდიაანთ უბანს ჩაუყვა. კარგად არ ჩანდა, მაგრამ ვეება კაკლის ქვეშ შეუუშულ ნათლიმამის სახლს ადვილად მიაგნო. ალიზით აშენებულ კედელზე აბობდდა და ეზოში გადაიხედა. ფანჯარაში ჭრაქი ბჭუტავდა. აქეთ-იქით გაიხედა, ხომ არავინ მითვალთვალებსო და შიშნარევი, მოგუდული ხმით დაიძახა, მაგრამ ვერ გააგონა, კარის შედება სცადა, ვერაფერი გააწყო. ვეება ურდეული იყო გაყრილი.

ისევ აბობდდა, ალიზის კედელზე გადახტომა დააპირა და ამ დროს ჯერ ოთახის კარის ჭრიალის ხმა გაისმა, მერე ხველაც გაიგონა და ეზოში საცვლისამარა შაქრო გამოჩნდა.

- შაქროო, – გასძახა დათიამ.
- რომელი ხარ?

შაქრომ ჭიშკრისკენ გაიხედა.

- მე ვარ, დათია ვარ.
- ეხლავე გაგიღებ.

შაქრომ კარი გაადო და დამის სტუმარს უძალო თვალებით მიაჩერდა.

– ამ შუაღამისას რა აგმა სიზმარმა წამოგაგდო, კაცო.

– სსს, – ბაგეზე სალოკი თითის მიდებით ანიშნა განებულიყო.

– შიგნით გეტყვი.

საიდან დაეწყო დათიას, არ იცოდა, სათქმელს ძლივს მოაბა თავი.

– ბოლო-ბოლო მითხარი, კაცო, რა ამბავია?

– რა ამბავია და მახა იყო ჩემთან, ბოლშევიკებმა მოგზავნეს.

– მერე? – ბოლშევიკების ხსენებაზე უმალ ხასიათი წაუხდა შაქროს, – რაო, რა მინდაო?

– რა მინდაო და შაქროზე რაღაცები უნდა თქვაო, თუ არ იტყვი, ვაი შენი ბრალიო, აღმასკომის თავმჯდომარის დავალება არიო.

– მერე.

– რა მერე, მე ვუთხარი, ვერაფერს ვიტყვი-მეთქი, ნახავ თუ არ იტყვიო, როგორც უავლენიანთზე დაწერა შალომა, რო დამკომი იარაღსა მალავდა მაგათ სახლშიო, შენც ეგრე უნდა დაწერო, სოფელი პატივსა გცემს და ყველა დაიჯერებს ამ ამბავსაო, ერთი სიტყვით, ცუდ ამბავს გიპირებენ, რაღაც უნდა მოიფირო.

შაქრო ჩაფიქრდა, მცირე ხანს გარინდებული იყო, მერე დათიას მიუბრუნდა: როდის იყო მოსული?

— დღეს სადამოს იყო, მე მაგის, მახას გულიანად შეაგინა. ისე დაიმუქრა, რადაც უნდა იღონო, შაქრო, რადაც უნდა იღონო.

— რახან ეგრეა, ვეღარ მოვასწრებ, თანაც ხვალ წერილს ველოდები, მარტო წასვლას კიდევ რა აზრი აქვს. ამოდენა ჯალაბი საჯიჯგნად ვის ჩავუგდო ხელში. ჯობია მე დამაპატიმრონ. თფუი, როგორ აღწუზე იყო საქმე და ამათ უთავბოლობამ — დღესა ხვალა, დღესა ხვალა, მენშევიკებზე მოუვიდა გული ყოფილ მამასახლისს. აკეთებ? გააკეთე შეილოსა და თუ არა და ამოდენა ხალხს რას უპირებ, ჩემი თავი ჯანდაბას.

დათიას იმედგადაწურული, მაგრამ მადლიერი მზერით შეხედა.

— ნათელ-მირონობის წახდენაც უნდათ? ეგუჯილაგოები ეგენი.  
— შენ რადას აპირებ? — ჰქითხა დათიას.  
— უნდა წავიდე.  
— სად უნდა წახვიდე?  
— არ ვიცი, სადმეს უნდა წავიდე, ვიცი, არ მომისვენებენ, მე რო არაფრის დამწერი ვარ, კარგად იცი.  
— მაინც სად აპირებ წასვლას?  
— არ ვიცი, არ ვიცი, ჯანდაბაში, მოუსავლეთში... — თავჩადუნულმა ჩაიბურიბურა და ნათლიმას დაემშვიდობა.

\* \* \*

— თაგმჯდომარე მოდის.  
— ადგილებზე დასხედით, თაგმჯდომარე მოდის. — დარბაზში უცბად აჩოჩქოლდა ხალხი.  
— თქვენ გელაპარაკებით, დასხედით, — შებდგირა შესასვლელთან აბუზულ თანასოფლულებს ანდრომ, რომელიც თემის აღმასკომის თაგმჯდომარის თანაშემწედ დაენიშნათ.  
— მაინც ხბორებივით დგანან, გინდა პარტიის კრება დაუნიშნე ამათ და გინდა... — ხმამაღლა ჩაილაპარაკა, რო პარტიის აქტივისტების წინაშე თავი გამოეწინა.  
— ზოგიერთების იმედზე სულ ტყუილა ვართ, რას იტყვი, აბესალომ?  
კოჭლ აბესალომს, რომელიც თემის აღმასკომის თაგმჯდომარის მარჯვენა ხელი იყო, ჟანგისფერ სახეზე ზიზლი აღებეჭდა.

— ჩემი ნება რომ იყოს, ნახევარ სოფელს ხრამში გადავუძახებდი, მე ვიცი, ესენი რისი ღირსებიც არიან, სანამ დროა, მანამ უნდა აგებინო პასუხი, თორემ ესენი თუ შემოგვიტრიალდნენ, მერე კარგად მეყოლე. ეხლა ყველა ანგელოზია, როგორი უწყინარი სახით დგანან, ხომ უყურებ, ნება რო მისცე, ცოცხლად შემჭამენ...

— დასხედით-მეთქი, — ახლა აბესალომმა დაუღრიალა თანასოფლელებს და ერთ-ერთ მათგანს პანდურიც ამოუჭირა.

— ამათ როგორ უნდა ენდოს პარტია.

ამასობაში დარბაზი თანდათან ჩაყუჩდა, სკამები უკლებლივ შეიგხო და ოქმის აღმასკო-  
მის თავმჯდომარეულ გამოჩნდა, რომელიც იქნე-  
ბოდა დაახლოებით ორმოცდაათიოდე წლის,  
ტანბრგე, ხმელი პირისახის, რომლის კუშტ გა-  
მოხედვას შავ, სქელ წარბებქვეშ შემალული  
აქეთ-იქით მოძრავი თვალები უარესად ამკაც-  
რებდა. თავმჯდომარეს ახალგაზრდა ქერაომია-  
ნი მდივანი შემოჰყვა. თავმჯდომარემ დარბაზს  
თვალი მოავლო, შესასვლელის გვერდით მუ-  
ცელზე ხელებდალაგებულ ახალგაზრდა ბოლ-  
შევიკებს ოდნავ გაუდიმა და მდივანთან ერ-  
თად წითელსუფრაგადაფარებული მაგიდისაკენ  
გაემართა. დარბაზში დასადგურებულმა სიჩუ-  
მემ რამდენიმე წუთს გასტანა, ვიდრე ქერაომი-  
ანმა მდივანმა ქალმა – ლილიმ დარბაზში შეკ-  
რებილ ადამიანებს კრების დღის წესრიგი არ  
გააცნო.

დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი სა-  
კითხები:

- 1) სოფლის მდგდლის სოფლიდან გაძევების  
საკითხი;
  - 2) ზოგიერთი არასანდო ადამიანის გასა-  
მართლების საკითხი;
  - 3) არჩევნების ჩატარების საკითხი.
- თავმჯდომარემ ტილოს ნაცრისფერი კოს-  
ტუმი სკამის საზურგებზე გადაკიდა, მოხსენე-  
ბის დაწყებამდე წყალი მოსვა და ტრიბუნისა-  
კენ გაჟმართა.

„ამხანაგებო, რევოლუციის შემდგომ ცოტა  
არ იყოს უხერხეულ თემებზეც კი გვიხდება სა-  
უბარი, დიდი ლენინის ანდერძი ყველა ჩვენ-  
თაგანს გულზე გვაქვს ამოტვიფრული, ძმობა,  
ერთობა, თავისუფლება, ყველას ერთად მოგვე-  
ცა საშუალება გაშენოთ მზიური საბჭოთა სა-  
ქართველო. აი, მაგალითად, ჩვენს თემში  
შემავალ სოფლებში, რომლებიც მენშევიკების  
პირისისხლიანი ტირანის დროს საშინელ  
სიბრძეები იყვნენ ჩაფლული, რამდენი რამ  
გაძეოდა. რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა:  
შეკეთდა ხიდები, გაიხსნა ქოხ-  
სამკითხველოები, გარემონტდა სკოლები.  
ზოგიერთი ცუდად შეხვდა ნათავადარების  
სასახლის დანგრევის საკითხს, მაგრამ ისევ  
სოფლის საქმე არ გაკეთდა? სამი  
ოთხეკლასიანი სკოლა გავხსენით და  
შეუპოვარი ბრძოლა გამოგუცხადეთ წერა-კი-  
თხვის უცოდინრიბას, რომელმაც წალეპა ჩვე-  
ნი საზოგადოება. რამდენი ხელმოკლე ოჯახის  
წარმომადგენელი ისწავლის ამ სკოლებში, ნა-  
თავადარების სასახლე კი იდგა, იდგა, რო-  
გორც სიმახინჯე, როგორც აუგი წარსულის  
გადმონაშთი. გაიხსნა ახალი მილიციის  
შტაბები, რამაც ბოლო მოუდო დამნაშავეთა  
ბოგინს, რომელთა მიერაც აკლებული იყო  
ჩვენი სოფლები. თავმჯდომარემ ცოტა  
შეისვენა, წყალი მოსვა, ჯერ ქერაომიან  
მდივანს გადახედა, რომელიც გამალებული

ასველებდა მოლურჯო სამელნეში კალმისტარს და წერდა და წერდა. არც ერთი წერტილი უნდა გამორჩენოდა, სიტყვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო, თავმჯდომარის სიტყვა მისთვის ლეთის სიტყვაზე მეტი იყო. მერე დარბაზს მოავლო თვალი, გასუსულ დარბაზს, ჩალის სკამებზე გაქვავებულ გლეხებს. დარბაზის აღმოსავლეთ კედლიდან ლენინის ოდნავ მდიმარი მზერა შემონათოდა.

მცირე ხანში თავმჯდომარე შავაძემ ისევ გააგრძელა მოხსენების წაკითხვა.

— რევოლუციის ათი წლისთავზე, როგორც დიდი დენინის ანდერძშია, არ უნდა დარჩეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი. საბჭოთა ხელისუფლება შეურიგებელი იქნება ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც რევოლუციის მონაბავარს არ გაუფრთხილდება. სამ-წუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ბნელ ხანას თავი დავაღწიეთ და საბჭოთა საქართველოს მოქალაქეები გავხდით, მაინც არსებობენ ადამიანები, რომლებიც დაბოლილები შემოგვცემრიან და ჩუმ-ჩუმად ხალხს თავ-გზას უბნევენ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ეგრეთ წოდებული ჩვენი სოფლის მოძღვარი. თუმცა ჩვენ გვყავს დიდი მოძღვარი და უხერხულიც კია ისეთ არარაობას, როგორიც ანაფორით შემოსილი მგელია, მოძღვარი უწოდო, ისევ შეჩერდა თავმჯდომარე შავაძე, ხალხის რგაქციას დაელოდა, მაგრამ დარბაზი ისევ ისეთი სიჩუმე

იყო. აქა-იქ ვიღაც-ვიღაცებმა წამოიყვირეს, მდვდელი არაფერში გვჭირდება, ეგ კაცი მოსა-შორებელიაო, მაგრამ თავმჯდომარე უფრო სხვანაირ გამოხმაურებას ელოდა და შესასვლელთან მდგომ აბესალომს და თავის თანა-შეწყვეტის გადაბდვირა, ეგ არის თქვენი ნამუშევარი? ტყავი უნდა გაგაძროთო. აბესალომს სახე წამოუხურდა, რა გაეკეთებინა, აღარ იცოდა, ულგაშები ნერვიულად მოიგრისა, ერთი-ორჯერ უაზროდ ჩაახველა, მაგრამ თავმჯდომარესთან სათქმელი უკვე მომწიფებულიყო მის გონებაში, „მე რა შუაში ვარ, „ილიჩ“, მე კარდაკარ დაგდივარ და ხალხს დავალებებს ვაძლევ, ანდრო კიდე თავს არ იცხელებს, უეხებზე ჰკიდია, მარტო მე რა გავაკეთო, ან ესენი რისი მაქნისები არიან, წელანგარები, ბოლშევიკები დაირქვეს და ბაქიბუქობენ, გინდა შალო, გინდა მახა, გინდა ავთია, ნამენშევიკრებთან ქეიფობენ“. აბესალომზე გაბრაზებული შავაძე სხვებს დაატეხდა რისხვას, აბესალომს ესე იოლად არ გაიმეტებდა, აბესალომს სხვა დამსახურებები ჰქინდა. რაც მას რევოლუციისთვის საქმე გაუკეთებია-პარტიას მამისეული სახლი დაუთმო და თვითონ ბედელში გადავიდა საცხოვრებლად. ეგ კიდევ არაფერი. რაც მას შავაძის დავალებები შეუსრულებია... ჩხეიძებიც მან დახვრიტა, ფავლენიშვილებიც მან გამოასალმა წუთისოფელს ისე, რო კაციშვილს არაფერი

გაუგია, სად წავიდნენ, ცამ ჩაყლაპა თუ დედა-  
მიწამ, არავინ არაფერი იცოდა, აბესალომის  
და შავაძის გარდა.

— ამხანაგებო, ჩემი აზრით, ასეთი ადამია-  
ნის სოფელში ცხოვრება საზიანოა ხალხისათ-  
ვის. ამ კაცს, როგორც ჩანს, არაფერი გაუგია  
რევოლუციის, ისევ ძველი ცხოვრებით ცხოვ-  
რობს. წირვა-ლოცვებს ატარებს, ამდენ ახალ-  
გაზრდობას აცდებს და აღამებს, მაშინ როცა  
რამდენი რამის გაკეთება შეიძლება,  
მოსახლეობას წამლავს თავისი უაზრო  
ქადაგებებით.

არასოდეს უხსენებია არც რევოლუცია, არც  
ლენინი, მისთვის ქრისტეა რევოლუციაც და  
უველავერი. ამას ვერაფრით შევეგუებით. რე-  
ლიგია ტვინს უობებს ჩვენს ხალხს. ჩვენს ეპო-  
ქაში რელიგიამ ამოწურა თავისი შესაძლებ-  
ლობანი. ქრისტე წარსულში დარჩა. ჩვენი  
ქრისტე ახლა ერთობა და მშრომელი ხალხის  
სისხლით შეღებილი წითელი დროშაა. მითხა-  
რით, ვისთვის არის სასარგებლო დმურთის არ-  
სებობა? მითხარით, ეგებ გინდათ კიდეც, რომ  
ისევ ძველ დროში დარჩეთ და ისევ ლოცვაში  
თვალებამოღამებულებმა გააგრძელოთ ცხოვრება.

- არავისაც არ გვინდა.
- ეფრემი ჩმახავს რაღაცევებს.
- რაღა დროს ეპლესიაა, დიდება დიდ  
ლენინს.

ამჯერად უფრო ახმაურდა დარბაზი. წელან  
თუ რამდენიმე კაცმა დაუქნია თავი თავმჯდო-  
მარეს, ახლა ნახევარი დარბაზი აგუგუნდა.  
თავმჯდომარეზე მეტად აბესალომს გაუხარდა.  
ჟანგისფერი სახე ამჯერად სიხარულით წა-  
მოუხურდა. მერე შავაძისქნ გაექცა მზერა,  
მის შავ, გეზელქორივით თვალებში გესლნარე-  
ვი დიმილი იწვა.

— ამხანაგებო, გარდა იმისა, რომ სოფლის  
მდგდელი ახალგაზრდობას თავისი აზრებით  
წამლავს, იგი პოლიტიკური დამნაშავეც არის,  
ვინაიდან ის არანაირ პატივს არ სცემს საბ-  
ჭოთა ხელისუფლებას და ქადაგებებში ნატ-  
რობს ძველი დროის დაბრუნებას, გესმით? ძვე-  
ლი დროის დაბრუნებას, წარსულში, სიბნელე-  
ში, მას ერთი სული აქვს, როდის შემოვლენ  
მტრულად განწყობილი კონტრევოლუციური  
ძალები და მოექცევიან ხელისუფლების სათა-  
ვეში.

— ვერ მოესწორებიან, — შუაგულ დარბაზი-  
დან გაისმა ხმა, მაგრამ ეს არ იყო გულწრფე-  
ლად ნათქვამი.

— მე მოვითხოვ, ჩამოერთვას სასულიერო  
წოდება მდგდელს და აკრძალოს წირვების ჩა-  
ტარება. თავმჯდომარემ როგორც კი დაასრუ-  
ლა, დარბაზში მჯდომ გლეხებს მკვლელის  
თვალებით შებლვირეს ახალგაზრდა ბოლშევი-  
კებმა და ტაშიც გაისმა.

- ეგ ისეთი მამაძაღლი მდვდელია, მაინც არ მოიშლის, – წამოიძახა ვიღაცამ.
- სოფლიდან გაძევება ჯობია, ჯანდაბის იქითაც ჰქონია გზა, ეფრემი თუ არ დავინახეთ.
- გაპრეჭვა ჯობია, თითონვე თქვას უარი მდვდლობაზე და მოინანიოს ყველაფერი, ყოველთვის ჩვენ ვინანიებდით მაგის წინაშე, მამაძაღლი, არც არაფერი არსებობდა და გვატყუებდა ეგრე უსინდისოდ.
- ჩვენი მოტყუებით ჭამდა პურს, თორე სულ ქრისტეს ჭრილობები ადარდებდა და ჩვენი სულის ცხონებაზე ფიქრობდა.
- გაპრეჭვა ჯობია, – ვიღაცის ნათქვამი ჩარჩა უურში შავაძეს და ღიმილი აუთამაშდა სახეზე, – აბესალომ, – აბესალომი ტრიბუნასთან გაჩნდა.
- გლეხი რო ბრძენია ტყუილია, – აბესალომმა თავი დაუქნია, თუმცა ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა თემის აღმასკომის ხელმძღვანელი.
- გავკრიჭოთ ეფრემი, – ჩაიცინა შავაძემ, – ყველაზე კარგი მოფიქრებაა, პა, რას იტყვი?
- გაგერიჭოთ და ვამუშაოთ, – შესციცინა თავმჯდომარეს აბესალომმა, – ხვალვე წავიჭვან ეფრემს დალაქთან. წვერებს მუჭაში დავაჭერინებ, იქადაგოს მერე უწვერო მდვდელმა, რა ფეხებს მოგვჭამს თავისი წყევლა-კრულვით, მაგასაც ვნახავ. მაგრამ... – ჩაფიქრდა თავმჯდომარე, – მარტო მდვდლის გაპრეჭვა ბევრს ვერაფერს მოიტანს,

ეპლესია... ეპლესია თუ არ დაგუხშეთ ხალხს, ისე არაფერი გამოვა, უეფრემოთაც ივლიან მისი მოსწავლეები და ილოცებენ, პარტიულ ცხოვრებას ჩამორჩებიან. ეპლესია უნდა დავკეტოთ. რას იზამენ, პა, რას იტყვი?

– რა უნდა ქნან, ვერაფერსაც ვერ იზამენ, ჩვენი ბიჭები აქ არიან? ვის აქვს ორი თავი.

– დავკეტოთ. – ჩაილაპარაკა შავაძემ, – ანდა... – ისევ ჩაფიქრდა, – რატომ უნდა დავკეტოთ, სხვა მაზრებში ეკლესიებში ბეღლები გადაიტანეს, ამაზე კარგი საქმე რა იქნება, კალოობაზე ხორბალსა და ქერს დავაბინავებოთ.

– მშვენიერი აზრია, „ილიჩ“, თან რამოდენა ადგილია, ცოტა მარცვალი კი არ დაეტევა.

– კარგი, ასე მოვიქცეთ.

მცირე ხნის შემდეგ თავმჯდომარემ ისევ გააგრძელა სიტყვით გამოსვლა და ისევ გაისუსა დარბაზი. ქერათმიანმა მდივანმაც ისევ ჩაასველა მელანში კალმისტარი.

– ამხანაგებო, ჩვენი სოფლისათვის მეტად მტკიცნეულ და ამასთანავე სამარცხეინო საკითხს უნდა შევეხო. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე არ უფრთხილდება რევოლუციის მონაპოვარს, იმ ადამიანთა შრომას, რომლებმაც სისხლით მოგვიპოვეს თავისუფლება და ბედნიერი ცხოვრება. უფრო მეტიც, მტრული ძალები ჩუმ-ჩუმად დაძვრებიან და ხალხს ხელისუფლების მიმართ სიძულვილს უდივებენ, ამბოჲებისკენ მოუწოდებენ. ასეთი ადამია-

ნები, ბუნებრივია, საზოგადოებისგან უნდა მოიკეთონ, ვინაიდან ისინი ჩვენს ბედნიერ მომავალს საფრთხეს უქმნიან და პროლეტარიატს ბრძოლას უცხადებენ. თქვენ უკვე მიხვდით, ვინც ვიგულისხმე, საჭითხი ეხება ჩვენს თანასოფლელ შაქრო ეგინაძეს. ასეთი ადამიანების მიმართ შემრიგებლური დამოკიდებულება, ჩემი აზრით, ყოვლად გაუმართლებელია. ადამიანის სხეულზე გაჩენილი დაგადება თუ არ ამოშანთქ, ისე მას ვერ დაამარცხებ. სოფელში გაჩენილი დაგადებაც უნდა ამოშანთოს. ვიდრე ყოფილი მამასახლისი სოფელშია, კონტრრევოლუციური ძალების ბოგინი არ დამთავრდება. პა, რას იტყვით? – დარბაზს გადახედა.

შუაგულ დარბაზიდან ბოლშევიკების მიერ წინასწარ დაშინებული და დარიგებული შუახნის გამწვლიკული გლეხი წამოდგა.

– ბოლიში მომითხოვია, მაგრამ ამხანაგოდიმიტრი, ისეთ ადამიანზე, როგორიც შაქროა, სოფელი უნდა საუბრობდეს, ეგ კაცი აქ გასახერებელი არ არის, თუმცა მარტო ეგ არა, მთელი მისი საგვარეულო უნდა გასახლდეს აქედან, სანამ ეგენი აქ იბოგინებენ, სოფელი არ დამშვიდდება.

მეტიარა გლეხმა როგორც კი სიტყვა დასრულა, იმწამსვე ანდროსქენ გაექცა მზერა, ანდრომ მას თვალი ჩაუკრა და ეს ერთი თვალის ჩაკვრა გლეხისათვის მთელი ცხოვრება იყო. ეგინაძის გასახლების შემდეგ ბოლშევიკუ-

ბი მას ყოფილი მამასახლისის ვენახს დაპირდნენ. მცირე ხანში სხვა გლეხიც წამოდგა.

– ჯერ აქეთ-იქით გადახედ-გადმოხედა თანასოფლელებს, სახე წამოსწიოთლებოდა, ეტყობოდა, რო სინდისი არ უშვებდა, რაღაც უხილავი ძალა ბორკავდა, მოუსვენრად იღება, მაგრამ ბოლშევიკ მახას მზერას წააწყდა და ნერწყვი გაუშრა.

– არ ვაპირებდი ამის თქმასა, მაგრამა, რო არა ვთქვა, არ ვიქნები მართალი, არც პარტიის წინაშე, არც სოფლის წინაშე, – წითელი მურკივით ცხვირი მოიფხანა, ერთხანს გაჩუმდა, თითქო ენა გადაყლაპა.

– თქვით, პეპო, – გასძახა მახამ, – რისა გერიდება, – თან თვალები დაუბრიალა. იცოდა, პეპომ, რო ბოლშევიკი მახა მის ცოლთან დაძვრებოდა, მაგრამ შიშით ხმას ვერ იღებდა. მშიშარა, დოყლაპია პეპოს სოფელში არავინ აფასებდა.

– პო, იმას ვამბობდი, რო არაერთხელ უთქვამს შაქროს ჩემთვინა, ისაო, მალეო, ესენი წავლენო, ამათი სახსენებელი ადარ იქნებაო, ძაან მალე იქნება ეგ ამბავიო და თქვენცაო თვალებდაბრმავებული ნუ ხაართო, ქვეყანა თავზე გვენგრევაო და თქვენ კიდევა გულხელდაკრეფილები ზინართ და საქონელსა და მოსავალს მთავრობას აბარებოთ. – ეს თქვა, მერე მახას შეხედა, მხრები აიჩენა და დაჯდა, მაგრამ ვაი იმ დაჯდომას, რადგან სინდისის გაწევებილმა

ძაფმა მწარედ გასწვა, თითქო ჭვალი დაადგა  
გულზე, მოიკუნტა, მოიბუზა და ჩაიკარგა იმ  
ადგილზე, სადაც იჯდა.

თავმჯდომარე ისევ უსმენდა გლეხებს. ახ-  
ლა სოფლის მეწისქვილე წამოდგა. პეტრეს  
სიმწრის ოფლი ასხამდა, მიწა ეცლებოდა, შაქ-  
რო ეგინაძის ნაჩუქარი ალიზით აშენებული  
წისქვილით ირჩენდა თავს, რომელიც ლიახვის  
პატარა ტოტზე გაემართა, თითქო სხვა ადამია-  
ნად ქცეულიყო, პირი უშრებოდა, ენას ვერ იძ-  
ორჩილებდა, რა უნდა ეთქვა, სიკეთის მეტი  
შაქროს მისოვის არაფერი გაეკეთებინა, „ოხ,  
ეს წყეულები ეხენი, ეხეთ ცხოვრებას თუ ფასი  
აქვს, ეხეთ ყოფნას, ლუკმას რო გაუვეღრიან,  
ოჯახის რჩენას რო ყელში გადენენ, თან რო-  
გორა კაცო, შენი ნაწვალ-ნადაგია უველაფერი,  
მაგრამ რა გინდა გააკეთო, ერთ მშვენიერ დღეს  
მჭადის გამოსაცხობი ფქვილი აღარ გექნება  
და ვერც ვერავისთან მიხვალ სასესხებლად,  
რადგან ამათი შიშით ხელს არავინ გაგიმარ-  
თავს. შიშის ლუკმადქცეულ სოფელს გადახე-  
და და უველა შეზიზდდა. მათ შორის თავისი  
თავი, რადგან კაცობის ნატამალი არავის შერ-  
ჩენოდა. უველა დაპატარავებულ-დაჩიავებული  
იჯდა, მოკუნტულ-მობუზული და დინჯად  
ელოდებოდა, როდის გამოუტანდნენ ყოფილ  
მამასახლისს სოფლიდან გადასახლების განა-  
ჩენს. ზოგი ძროხის დაგარგვის შიშით ვერ იღ-  
ებდა ხმას, ზოგს ვენახის ჩამორთმევის შიში

ჰქონდა. იომენდნენ ქონების დაკარგვით დამფუ-  
რთხლები უველაფერს, მაგრამ ვერ გრძნობდნენ,  
რომ ამ ერთმა საათმა, რომელიც დენინის  
სურათით დამშვენებულ დარბაზში გაატარეს,  
უველაფერი დააკარგვინა მათ – ქონებაც,  
სულიც, სხეულიც და ისინი აღარავინ იყვნენ.

– გისმენო, პეტრე, – გასძახა თავმჯდომა-  
რემ და მეწისქვილემ სხვა ადამიანის ხმით  
დაიწყო საუბარი.

ხან დარბაზის ჩრდილოეთ კედელს აშტერ-  
დებოდა, ხან წვიმებით დაობებულ ჭერს ახე-  
დავდა.

– თქვი, კაცო, რა დაბნეული იყურები. – ვი-  
დაცის ხმა ჩაესმა.

პეტრეს პაპა, ექვთიმე, აღდგომის ტაძრის  
დიაკვანი იყო და მის ხელში გაზრდილ მეწის-  
ქვილეს, რომელსაც იმ წუთას დარბაზში შეხ-  
როვილი ჯგრო მისხერებოდა, მოხუცი დიაკვა-  
ნის სიტყვები გაახსენდა.

„ოცდაათ ვერცხლად გაყიდა იმ საცოდავმა  
იუდამ ჩვენი სულის მხსნელი და მხოლოდ იმ  
მცდარ ნაბიჯს კი არ შეუძრაუნებია მაცხოვა-  
რი, ეს წყენა, ეს ტაივილი მარტო ის არ იყო,  
რომ მოწაფემ უდალატა, არა, იუდა უველა მო-  
კვდავის სულში ჩასახლდა მაშინ და იმის ში-  
ში დაბადა, რომ შეიძლება უველაზე ერთგულ-  
მა ადამიანმაც კი გიდალატოს, გაგწიროს, სი-  
კვდილისთვის გაგიმეტოს. ექთიმეს სახემ გაუ-  
ებდა ხმას, ზოგს ვენახის ჩამორთმევის შიში

ელვა, თითქო მისი მადლიანი თვალები საიდანლაც უმზერდა.

— იუდა, — წარმოსთქვა ფიქრებში წასულმა პეტრემ.

— მართალი ხარ, — დაუდასტურა თემის თავმჯდომარებ, — ასეთი ადამიანი, როგორც შაქრო ეგინაძეა, იუდაა, მშრომელი ხალხის გამყიდველია.

პეტრე ისევ დარბაზის ობიან ჭერს ასცექროდა.

— თქვი, სოფლისთვის არაფერი უნდა იყოს დაფარული, ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს.

„სოფელი, სად არის სოფელი, ნაგავსაყრელია თუ სოფელი, აღარც კი ვიცი, რა დავარქვა, ღმერთო”...

დაკეტილი წისქვილი, დამშეული და ყველასაგან აბუებული ოჯახი, ეგებ საყვედურიც კი ეთქვათ შეილებს, შენ რომ მაშინ შაქროზე ორი სიტყვა გეთქათ, ორი სიტყვით დაგეწამა ცილი, ვინ იცის, დღეს ჩვენ ესეთი გაუბედურებული ოჯახი ადარ გვთხოდა. იქნებ ვერც გაეგოთ მამის სული წუხილი... ასეთ ცხოვრებაში გაზრდილ შვილებს იქნებ სხვანაირი სული ჰქონდათ, სხვანაირი... იუდას სული, ექვთიმეს შთამომავლებშიც იუდა ჩაიბუდებდა, მაშ რად უნდოდა პეტრეს ან ის წისქვილი, ან ოჯახისათვის ნაშოვნი ლუკმა?

ცივი თფლის წვეთები ჩამოხდიოდა სახეზე.

— შაქრო ხშირად დადიოდა ჩემთან წისქვილში, საფქვავი არ დაპქონდა, მაგრამ მაინც დადიოდა, ერთაგად მენშევიკები უკერა პირზე, ამათი დღეები დათვლილია, მეუბნებოდა, მეისევ მამასახლისი ვიქნებიო, ბოლშევიკების სახსენებილიც ადარ იქნებაო.

ქერათმიანი მდივანი შეუსვენებლად წერდა, თავმჯდომარე დახრილიყო და მდივანს რაღაცას კარნახობდა.

გაათავა სათქმელი პეტრემ. გაათავა, ცივი თფლი მოიწმინდა და დაჯდა, მაგრამ ისე იყო დამძიმებული, როგორ უნდა წამომდგარიყო, მაგას ციქრობდა.

იუდა, იუდა, იუდა... რა მნიშვნელობა აქვს, მაცხოვარი თუ არ გაყიდე, მაცხოვრის შექმნილი არსება ხომ გაწირე, შენთვის ის სატიალე წისქვილია იუდას თცდაათი ვერცხლი. შენი საქციელით კიდევ უფრო გაახანგრძლივე ის, რასაც უნდობლობა და დალატი ჰქვია. რით განსხვავდები მაცხოვრის გამყიდველი მოსწავლისაგან? არაფრით, ერთი ეგ არის, რომ თოკი არა გაქვს, თავის ჩამოსახრჩობი თოკი, თუმცა თავდაპირველად არც იმას ჰქონდა...

ექვთიმე ეჩურჩულებოდა. ვაი-ვაგლახით წამოდგა, წელში ძლივს გაიმართა, წვალებ-წვალებით გაიარა სკამების რიგი.

— წახვედი? — მეზობელი გლეხი შეეკითხა.  
— პეტრე, ბევრი საფქვავი თუ არ არი, იქნებ დღეს მაინც ჩამამიფქვა.

დამძიმებულ სხეულს მიათრევდა.

— ამხანაგო პეტრე, ცოტა ხანს გაჩერდით, სხდომა ჯერ არ დამთავრებულა, — ვისი ხმა იყო, აბესალომი, მახა, შალო, ანდრო, თუ... რა მნიშვნელობა პქონდა, მეწისქვილეს უკან აღარ მოუხედავს. დარბაზიდან ბარბაცით გაგიდა.

მეწისქვილის შემდეგ ერთი-ორმა გლეხმა კიდევ იბჟუტურა შაქროს კონტრრევოლუციონერობის შესახებ.

ბოლოს თვემჯდომარებ გამოიტანა გადაწყვეტილება:

„გადასახლებულ იქნას სოფლიდან შაქრო გეინაძის ოჯახი“.

\* \* \*

— აქ ვერ გავჩერდები, მამაო, არ შემიძლია, ვერ გავჩერდები. ამ ხნის კაცი ვარ, ჩემს დღეში კაცი არ გამიყიდია, ქრისტიანულად მიცხოვრია, რა ვქნა, უნდა გადავიკარგო, აღარ მინდა ამათი დანახვა, მინდა, რო თავისუფალი ვიყო.

— მორწმუნები საპატიმროშიც კი თავისუფალი არიან, — მძიმედ ჩაილაპარაკა ეფრემმა.

— ხომ, მაგრამ... — ყელში გაეჩნირა დათიას სიტყვა. — მე ადარ შემიძლია, სადაც ვარ, სახლში თუ გარეთ, ძილში თუ დვიძილში — ყველგან ეგენი მიდგანან თვალწინ, ეგ უღმერთოები... ვერ გამოვხატავ, მამაო, როგორ

ვიტანჯები, ვიცი, თვითმკვლელობამდე მივალ და საკუთარ სულს ჩემივე ხელით წავიწყმედავ.

— კი, მაგრამ მთელი სოფელი ესე ხომ არ გაექცევა აქაურობას. — ვარამით სავსე თვალებში მიაჩერდა ეფრემი. — რაღაც უნდა ვიღონოთ, გაქცევა არ არის გამოსაგალი, ბოროტებას შებრძოლება უნდა, ლოცვით ან ძალით, ამ ბოროტებასთან ძალით ვერას გავხდებით, ამიტომ ლოცვა უნდა გავაძლიეროთ. ლოცვას დიდი ძალი აქვს, შვილო, ლოცვით ზღვა გაჰყო შუაზე მოსემ.

— ვხვდები, რო მარტო ლოცვა ვერ დამამშვიდებს. როგორ დაგმშვიდდე, როცა ადარაფერი რჩება ჩემგან, საკუთარი თავის ცოცხლად ხრწნას როგორ ვუმზირო.

— ოჯახზე რას ფიქრობ, შენ ცოლ-შვილს ხეირს რო არ დააყრიან, ხომ კარგად იცი, ყვავებივით მიესვეიან, როცა გაიგებენ, რო გაიქცი და მაგათვის მოღალატე ხარ. შვილებს გაზრდა უნდა, გზაზე დაყენება, შენ ამ წუთს შენი სულიერი მდგომარეობა გაღელვებს, მაგრამ შენი შვილების აღგილზეც ხომ უნდა წარმოიდგინო თავი, გაგიუბედურებენ ოჯახს, ამიტომ დათმენა ჯობია, დათმენა და ფხიზელი თვალით ყოფნა, მარტო შენ არ ხარ ასე, ბეჭრი ადამიანი იტანჯება, მაგრამ დმერთი მაღალია და მოწყალე, სწორედ იმ დროს დაინახავ მის მოწყალებას, როცა არ ელოდები. დამიჯე-

რე, შვილო, დამიჯერე, — ეფრემმა თავზე დაა-  
ღო ხელი, დათიამ ცრემლი ვედარ შეიკავა.

— ამდენი სისხლი, მამაო, ამდენი ცოდვა,  
ამდენი უბედურება, ამდენი უდანაშაულოდ და-  
ხერეტილი ადამიანი, მაპატიქ, მაგრამ ხანდახან  
ისეთი აზრი მომდის თაგში, რომლის ხმამაღ-  
ლა თქმა მრცხვენია.

— თქვი, — მშვიდად უთხრა მოძღვარმა.

— რაში ჭირდება დმტრთს ეს ამდენი უბედუ-  
რება, ამდენი ცრემლი, ამდენი სისხლი. სამყა-  
რო მან შექმნა, მან გააჩინა, ის არის ყველაფ-  
რის ბატონ-პატრონი, რომლის ნების გარეშე  
არაფერი იქნება.

— ევ, — ამოიხრა ეფრემმა, — ადამიანის ტვი-  
ნი ოდნავ განსხვავდება ცხოველის ტვინისა-  
გან, ჩვენ ვერასოდეს ჩავწვდებით სამყაროს  
გამჩენის მოქმედების საიდუმლოს. მან ყველა-  
ზე უკეთ იცის, რა უნდა გააკეთოს, მშობელს  
უყვარს შვილის გამოცდა, ხომ შეგითავაზებია  
ბალდისთვის მისთვის შეუფერებელი ნივთი,  
გამოგართმევს თუ არა, ცნობისწადილი გძა-  
ლავს. ანდა ისეთი საქციელის ჩადენა, რომლი-  
თაც გაიგებ, ჩაიდენს თუ არა შენი  
სისხლიერი, ამით შენს მიერ გაწეულ ამაგს  
ამოწმებ, შეიძლება ისე ვერ გითხარი, როგორც  
საჭირო იყო, მაგრამ მთავარია, სათქმელი  
გაიგე, უფალი ყოველთვის სცდის ადამიანებს  
და ეს გამოცდა ჩვენ ხშირად უსამართლობად  
გვეჩვენება. ეს ჩვენი გონების სისუსტეა.

მიხედვ ოჯახს, დიდი დრო დაუთმე შენს  
შვილებს და მიენდე უფალს. ქართველი კაცი  
რო ასე გარბოდეს, დღეს ამ მიწაზე სხვა ჯი-  
შის და რჯულის ადამიანები იცხოვრებდნენ.

დრო ყველაფერს ნიაღვარივით რეცხავს და  
ასუფთავებს, დამიჯერე, ამათი ნაკვალევიც აღ-  
არ დარჩება. ვიცი მე ეს. ამათი ნაკვალევი  
მხოლოდ ხალხის სულში დარჩება, თუმცა ამ  
ნაკვალევს ლოცვა წაშლის, ჩვენი ხალხის  
ლოცვა.

\* \* \*

ყოველ საღამოს მახასა სტუმრობდა ბაქარი.  
შეღამებულზე მიღიოდა ახალგაზრდა ბოლშე-  
ვიკონ და უკაკლავდა სოფლის ამბებს. გლე-  
ხების თავშეყრის ადგილებიდან აცენცილ ამ-  
ბებს, ვინ რა თქვა, ვინ რაზე იღაპარაკა, ბოლ-  
შევიკებზე ვის რა აზრი გააჩნდა. სიჭარმაგეში  
შესულ ბაქარს თავიდან ცოტა უმძიმდა სხვა-  
დასხვა ამბების მიტანა. თითქო რაღაცა ძალა  
ბორკავდა. ხავსივით ეხვეოდა სულზე, მაგრამ  
მახას ბრძანებას ვერსად წაუყიდოდა.

შენზე ეჭვს ვერავინ აიღებს, ხალხი პატივსა  
გცემს, ამიტომ შენი დახმარება ჩვენთვის ძა-  
ლიან მნიშვნელოვანია, უთხრა მახამ და  
ბოლშევიკებმა ბაქარს, რომელიც წითელი ეშ-  
მაკუნების შემოსვლამდე ორკლასიან სკოლაში  
მასწავლებლად მუშაობდა, ჯამაგირიც დაუ-  
ნიშნეს. როგორცა ვთქვით, თავიდან უჭირდა ამ

საქმის გაკეთება სოფლის მასწავლებელს, რო-  
მელიც ხუთიოდე წლის წინ გახსნილ სკო-  
ლაში რამდენიმე საგანს ასწავლიდა, მაგრამ  
მერე თანდათან შეეჩვია, ისე შეეჩვია, რო მა-  
ხასთან ღამდამობით გადასვლა, სოფელში  
მომხდარი ამბების მიტანა მოთხოვნილებად  
გადაექცა.

— ივებს ცოლმა თქვა, რო მაგ წუნკლიან მა-  
ხას რო ქვეყნის ბედს ჩაბარებ, აბა ამ ცხოვ-  
რებისა რადა უნდა იწამოო.

— მეველე ავთო თავჯდომარეზე ამბობდა,  
ხალხის ცოდო არ შერჩებათო, ამდენი საქონე-  
ლი რო ჩამოართვეს ხალხსაო, მშიერ-ტიტვლე-  
ბი რო დატოვეს, დმერთი არ აპატიებსო.

— ნოშრევანი, მესანთლე თამროს შვილიშვი-  
ლი იძახდა, ამ ეკლესიას თუ ხელი შეახეს, ან  
ჩვენ მდგდელს რამე დაუშავესო, საქმე სწორე  
არ წაუგათო.

— კიდე... ყოფილ მამასხლისს შაქროს ეტუ-  
ტუნებოდა მენახირე გივი, მაგრამ ვერ გავიგე  
რა უთხრა, ყური წავუგდე, მაგრამა მაინც ვერ  
გავიგე.

მახას ჭორფლიანი სახე აუწიოთლდებოდა და  
ჭროდა თვალებში სისახტიკის ცეცხლი აენთვ-  
ბოდა, მაგათ ვუტირებ დედასა, მაგ სალახანებ-  
სა, ხედავ შენა? კიდევ რო არ ისვენებენ, ეგ  
ჩათლახები, ეგენი, არა, თუ არ გავწყვიტე,  
მაგათი კუდი არ გასწორდება.

ბაქარი გასამრჯელოს ჩაიჩურთავდა უბეში  
და ისევ ლანდივით გაქრებოდა მახას სახლი-  
დან, გუნაპეტ წყვდიადში გაუჩინარდებოდა, რო  
არავის დაენახა. ამ ფულს კი სახლში მისვ-  
ლისთანავე ზანდუქში შეინახავდა, აგროვებდა  
უშვილძირო მასწავლებელი ფულს, რისთვის  
აგროვებდა, არ იცოდა. მთავარი ის იყო, რო  
ემატებოდა და ემატებოდა ბოლშევიკების მიერ  
ნაწუქარ ფულს, არ აკლდებოდა. ბედნიერი იყო  
ამით ბაქარი.

განმარტოებულს მაჯლაჯუნებივით მიესეოდ-  
ნენ ფიქრები. „რა საქმეს ადგახარ, შე უბე-  
დურო, სოფელს იმეტებ, ადამიანებს სწირავ.  
ღმერთს რა პასუხი უნდა გასცე, ან იმ შენი  
მიტანილი ამბების გამო დახვრეტილი თუ  
ნაწამები ხალხის სულსაო, მაგრამ  
ბაქარისთვის ეს საქმე სირთულეს აღარ  
წარმოადგენდა. პირიქით, ისე მიეჩია, რო არ  
გაეკეთებინა, ვერც წარმოედგინა. გულისრევის  
შეგრძნებამაც გაუარა. ეს გრძნობა მხოლოდ  
მაშინ ჰქონდა, როცა ამ საქმეში დამწყები  
იყო და პირველად უამბობდა ახალგაზრდა  
ბოლშევიკს სოფლის ამბებს, სალაყბოზე რომ  
იგებდა.

- ავთო დაუჭერიათ.
- აბა ავთო?
- მეველე ავთო.
- გივიასთვის მაუზერი დაუხლიათ.

— გივიამ რადა დააშავა, ნახირის მეტი არაფერი უნახია.

— წადი და პეიონე ბოლშევიკებს.

ბაქარი მშვიდად უსმენდა მეზობლებს.

— არ შერჩებათ ამათი ცოდვა, — ვიდაცის სიტყვებს მოჰკრავდა უურს და სმენად გადაიჭცეოდა.

— რა ძალა ადგიათ, გაიფიქრებდა მეტიხარა მეზობლებზე, რასაც კაცი თავის თავს უზამს, მტერი არ მოეკიდებაო, ისე არის ამათი საქმე.

სოფლის მასწავლებელზე ვერავინ ვერავერს იფიქრებდა.

\* \* \*

— აიღე, შე შტერო და ჭამე, რაღას უყურებ? აიღე, ჭამე-მეთქი.

— დაიცა, შვილო, კიდე დაბნევა უნდა ამ უბედურსა? — გიორგის დატუქსავდა მართა, — თავისი უბედურებაც ეყოფა ამ საცოდავს ამასა.

მართა რკინის ჯამზე დასხმულ დოლოს შეჭამანდს ახლოს მიუწვდი გიუ თაღრიას, რომელსაც მეტყველება უჭირდა, ცალი ხელი მოკრუნხეული პქონდა და ნაცრისფერ თვალებს ისე აელმებდა, რო უსინათლო გეგონებოდათ.

შეჭამანდიან ჯამთან ერთად მართა პურსაც ახლოს დაუდებდა.

— ხო არ ჩაგიყარო შიგა, ეტყოდა, ლუქმა-ლუქმა დაუქუცმაცებდა პურს და ცხელ დოლოში ჩაუყრიდა.

— რა წუთისოფელი არგუნა ეგეთი ამ საცოდავს, ესე ძაღლუმადურ ცხოვრებას თუ ფასი აქეს, დგინოც შეგთავაზებინა, შვილო, იქნებ უნდა და ვერცა ბედავს, ჰა, — გიორგის მიმართა ქალმა. — არც ეგეთი ბუყეყაა, — ჩაეღიმა გიორგის, — თუ უნდა... ყელზე მიიწყაბუნებს თითებს, ეგრე იცის ხოლმე.

— თაღრი, დალევ რამესა?

თაღრიამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

— მერე რატო არა თქვი, თუ გინდოდა, შეუურუმსაღო, შენა.

გიორგი ადგა და მომცრო საწდით დვინო გამოუტანა.

— როდის აქეთია, რაც ეგეთი მორცხვი გახდი?

თაღრიამ რაღაცა ამოილუდლუდა. გიორგიმ ჭიქა გაუვსო. თაღრიამ ჯერ ლუქმა ამოაწო დოლოს შეჭამანდში, მერე ჭიქა აიღო, თავისებურად დალოცა ოჯახი, ილუდლუდა და დალია.

გიორგიმ კიდევ დაუსხა.

თაღრიამ პურს ლუქმა მოატეხა და დვინოში ჩააწო. მიცვალებულებს შენდობა უთხრა.

მთელი სოფელი პატრონობდა მეტყევე ნოშრევანის შვილობილ თაღრიას. ნოშრევანი ორიდე წლის წინ გარდაცვლილი და უპატ-

რონო ბიჭი ყველას ებრალებოდა. ხან ვინ შეიკედლებდა და ხან ვინ. ლუქმას აჭმევდა სოფელი. ნახევრად მუნჯი და ხეიბარი თაღრია ყველას ებრალებოდა, მაგრამ გვიან მიხვდა სოფელი, რო თაღრიაზე დახარჯული მადლი მატლად გადაქცა. ყველას ოჯახში თამამად შედიოდა. საათობით იჯდა და მერე ამბები მიქოდა ბაქარის მსგავსად ბოლშევიკებთან.

როცა გაუგეს, გვიანი იყო, არაერთი ადამიანი გამოასალმეს თაღრიას დასმენით ბოლშევიკებმა, არაერთი ოჯახი გაამწარეს.

იმ ადამიანებში მართას ერთადერთი ვაჟი გიორგიც იყო, რომელიც ბოლშევიკმა მასამ საკუთარი ხელით დახვრიტა.

თაღრიას გამოჩენა თავიდან თუ სიბრალულსა და სევდას ბადებდა, ახლა ყველა ზიზდით უყურებდა და მათი ნება რო ყოფილიყო, მეტყვეს შვილობილს შუაზე გაგლეჯდნენ, მაგრამ ამას ვერავინ ბედავდა, პირიქით, ეშინოდათ, მაინც აჭმევდნენ, ასმევდნენ, თუმცა ამას მადლი აღარ ჰქონდა. თაღრიას გამოჩენაზე ყველა გაისუსებოდა, ხეიბარი სანამ მათი სტუმარი იყო, ენაგადაყლაპულებივით ისხდნენ. ბოლშევიკებმა თაღრიას ვარსკვლავიანი ქუდი დააფარეს.

ადამიანები ერთმანეთს მგლის თვალებით უყურებდნენ, შიში გაუჩნდათ, დასმენის შიში. კაცმა არ იცოდა, კიდევ ვის ჰქონდა დაგალებული თანასოფლელების დაბეზღება.

თაღრია ცხოვრობდა, ვარსკვლავიანი ქუდი ეხურა და უხაროდა, რო ასე ენდობოდნენ ბოლშევიკები, მას ცოდვის შეგრძნება არ ჰქონდა.

\* \* \*

მამა ეფრემის დარიგებამ თითქო დაამშვიდა, გაქცევა გადაიფიქრა, ლოცვას უმატა, დამდამობით საათობით იდგა მაცხოვრის ხატთან და კაცთა მხსნელს ოჯახის გადარჩენას ევედრებოდა. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, გრძნობდა, რო რაღაც უბედურების ქარიშხალი უახლოვდებოდა.

შაქროს დასმენაზე ხელი არ მოუწერა ბოლშევიკებს, რომლებმაც თითქო თავი დაანებეს. დათიას გარეშეც მოუხერხებდნენ შაქროს სოფლიდან გასახლებას, მაგრამ პარტიის აქტივისტები არც დათიას დატოვებდნენ ისე, ოჯახზე ეფიქრებოდა. ბიჭი პატარა ჰყავდა, ახალი წამოჩიტული. გოგო უკვე მოწიფელი, გასათხოვარი.

„დამე რო ამიტეხონ რამე, ჩემი ბავშვების პატრონი ვინ იქნება, ოჯახი დამენგრევა, სიმწრით აშენებული ოჯახი“. თითქო მის ჭირად მოხდა ყველაფერი, მის ავბედად შემოვიდნენ ეს უპატრონო ბოლშევიკები, რა მოეფიქრებინა, ადარ იცოდა დათიამ, ყოველ დადამებას საშინელი განცდით ელოდებოდა, ყოველ ჩქამზე გული გადაუქანდებოდა. დამეებს თეორი თვალით ათენებდა. ათასნაირი ფიქრი უტრიალებ-

და, თავის მოკვლის სურვილიც ბევრჯერ გაუჩნდა. გადახედავდა მმინარე ცოლ-შვილს, ჩავიდოდა ბოსელში, ცრემლმორეული თვალებით ჩამოაბამდა თოკს, მერე ყულფში გაყოფდა თავს და ამ დროს გაუჟღვებდა მამა ეფრემის სახე, „რას სჩადი, დათია, სული არ წაიწყმიდო, შე უბედურო შენა, ეგრე როგორ მოგრევია არსახესებელი, ჰა, გონს მოდი, შვილო, გონს მოდი, მარადიული ტანჯვისთვის როგორ იმეტებ თავს, ან ცოლ-შვილს ვის უტოვებ?” ისევ ჩამოხსნიდა თოკს და ახლა ეშმაკის ლაპარაკი ჩაესმოდა: „შე ლაჩარო, შენა, მაგის გამქეთებელი რო არა ხარ, ვერა ხვდები? მაგხელა ვაჟაცობა რო გქონდებ” – აქეზებდა უსახური არსება, მაგრამ მამა ეფრემი სჯაბნიდა არსახესენებელს.

ასე ტანჯვა-ვაებაში გადიოდა დღეები.

მერე ერთხელაც მამა ეფრემს შესჩივლა.

ეფრემი ფეხზე წამოიჭრა და მეზობელი სასტიკად დატუქსა.

– ეგ კი არა, უფალი გაფრთხილებს, ზენარი გელაპარაკება. გამოცდას გაძლება უნდა, დალხინებული ცხოვრება ადამიანს წაწყმედისაკენ მიაქანებს, ჯოჯოხეთისკენ, იმიტომ რო ჰგონია, სულ ასე იქნება, სულ იმ განცხომით იცხოვრებს, ეს ასე არ არის, გაჭირვება ხანდახან დალხინებაზე დიდი წყალობაა, გაჭირვება მხსნელის ძებნისკენ გიბიძებს კაცსა. ღმერთი რო არ სწამდეს

კიდეცა, ადამიანს გაჭირვებაში ახსენდება უფალი, ღმერთო, შენ მიშველეო, ამბობს, ამ გაჭირვებას უსათუოდ დალხინებაც მოსდგეს, სახარება რას გვასწავლის...

მასასნაირებმა ღმერთი მოკლეს, მოკლეს საკუთარ თავში, საკუთარ სულში და ამით გგონია ვინმე დააზარალებს? არც ეკლესიას დაუშავდება რამე და არც რწმენაში მყოფ ადამიანს. მათ თავიანთი სული გაწირეს წასაწყმებად.

ეფრემის საუბარი კი ამშვიდებდა, მაგრამ ადამიანური შიში მაინც არ უქრებოდა, გული ცუდს კარნახობდა.

ერთხელაც ფშანისპირებზე გადაეყარა მახას. თვალი აარიდა, ჭალიდან სარების წამოსაღებად წასულიყო დათია. მახამ გზა გადაუჭრა.

– მაშ თქვენ გინდათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა არა, შენ და წუნკლიან შაქროსა, დედას გიტირებთ, – თოფის კონდახი უთავაზა თავში დათიას, რომელსაც წარბი გაუსკდა და სისხლი ღვარად წამოუვიდა.

– ეგ ჯერ არაფერია, ცოტა ხანში განახებთ, როგორ უნდა ფარული წერილების გაგზავნა.

– რომელი წერილების, – დათიას სისხლით მოესარგლა სახე-ტყუილია, ტყუილა მწამებთ ცილსა, ვისთან უნდა გამეგზავნა წერილი.

– ჰმ, – ჩაეცინა მახას, – დაინახავ, როგორი ტყუილიც არი. ჩვენ ტყუილა არავის არა ვსჯით.

ცხენით მიმავალ მახას თვალი გააყოლა დათიამ. ეს რა უბედურებაში გავეხვიე, კაცო, ამოიხავდა და ცრემლები წამოუვიდა.

\* \* \*

— დმერთი არ გაგიჩურეს, სერაპიონ, — მეზობელს უთხრა ეფრემმა, — ცოდვას ნუ ჩაიდენ, ნუ წაწყმედ შენს მომავალ თაობას, დმერთი არ გააპატიებს. რაღა შენი ხელით უნდა გააკეთონ, რაღა შენი ხელით, ერთ დროს სტიქარი გეცვა, საკურთხეველში შედიოდი და დვთის საიდუმლოს ესწრებოდი, ნუ გააკეთებ, გეხვეწები, ყური არ უგდო. ესენი ხორციელი ეშმაკები არიან.

სერაპიონი გაპატებული იდგა და მამა ეფრემს უსმენდა.

— ეს ცოდვა მარტო შენი ცოდვა არ იქნება, რამდენიმე თაობას გადაჰყვება და შეიძრალე ის ხალხი, ვინც ჯერ არ მოსულა ამქვეყნად, ვისაც ჯერ არ უნახავს თვალხილული სამყარო.

— მაშ, როგორ მოვიქცე? — მამაოს შეხედა სერაპიონმა.

— სხვა არჩევანი არ მაქს, თავმჯდომარემ მიბრძანა.

— თავმჯდომარესა და დმერთს შორის არჩევანის გაპეთება არა მგონია, როული იყოს. ილოცე და გზას შენ თვითონვე იპოვი.

თუმცა სტიქაროსან სერაპიონს აღარ ულოცია. ბევრი იფიქრა, რა გაეგეთებინა, როგორ

მოქცეულიყო. საღვთო სჯული მამა ეფრემმა ასწავლა. მდგდლობაზე ოცნებობდა, უნდოდა, რო მასაც მამა ეფრემის მსგავსად ანაფორა ჩაეცვა და სოფლის ტაძარში ეწირა, მაგრამ შეიცვალა ცხოვრება და სერაპიონსაც შეეცვალა აზრები. მდგდლობა გადაიფიქრა, აგერ, ახალგაზრდა ბოლშევიკები როგორი ბედნიერები იყვნენ, ჩაცმულ-დახურულები დადიოდნენ, ქამარზე მაუზერები ჩამოეკიდათ და წითელ-ვარსკვლავიანი ქუდები ეხურათ.

სერაპიონსაც მოუნდა მათნაირი ცხოვრება. დაფასებული კაცის სახელი ექნებოდა.

გუბბათიდან ჯვრის ჩამოხსნაზე იყო დამოკიდებული მისი მომავალი.

— აბობდდი ეკლესიის გუმბათზე, ჯვარი ჩამოაგდე და სულ ეს არის, აგერ შენ წითელგარსკლავიანი ქუდი და მაუზერი. რას შეაკვდი ამ ეკლესიას. ხომ ხედავ, ეს წვერძაღლი ეფრემი როგორ თავ-გზას ურევს ხალხს. მთელი ახალგაზრდობა მაგის ბჟუბურს უნდა უსმიონ და ტყუილში იცხოვო. ტყუილში? ტყუილია, მაშ რა ჯანდაბა, ან დმერთი სად არის და ან სასწაული. ქოსატყუილების მოგონილია ყველაფერი და ვინც რელიგია შექმნა, თაობები გაწირა დასაღუპად, ტყუილში და სიცრუით სავსე გარემოში საცხოვრებლად. ეხლაა სწორედ ამის დრო რო ამ ტყუილს შევბრძოლოთ და ხალხი გადავარჩი-

ნოთ, იმედი დავუბრუნოთ. შრომა ვასწავლოთ-ურჩიეს ბოლშევიკებმა.

„იქნებ მართლებიც იყვნენ ბოლშევიკები. არსებობდა კი მართლა ის უხილავი არსება, რომლის სადიდებლად ტარდებოდა წირვები და ლოცვაში იხარჯებდა ამდენი ენერგია, იქნებ მართლა ტყუილი იყო“. სტიქაროსნის კაბას გჭვით დასცექეროდა სერაპიონი.

დასცექეროდა, მერე დაკუცა და ზანდუკში ჩაუძახა.

„სერაპიონს ეფრემის სხვა მოწაფეებიც მიბაძვენ, მერე მრევლიც მიბაძვს და დამთავრდება მაგათი დამერთის არსებობა სოფელში“ – ამბობდა თემის აღმასკომის თავმჯდომარე.

\* \* \*

მთელი სოფელი ტაძართან იყო მოგროვილი: ქალი, პაცი მოხუცი, ბავშვი. თავმჯდომარის დავალებით საგანგებოდ შეეკრიბათ ახალგაზრდა აქტივისტებს სოფელი მაცხოვრის აღდგომის ტაძართან. თითქმის უკელა აქ იყო, მამა ეფრემის გარდა. მხოლოდ მოძღვარი არ ჩანდა. სერაპიონი თავმჯდომარის გვერდით იდგა, სახეზე უხერხეულობის სიწითლე შეპარვოდა, მაგრამ დელვას არ იმჩნევდა, თანასოფლელებს თვალებს არიდებდა.

– ნეტა მართლა იზამს ამას?

– ეშმაკისთვის მიუყიდია სული ამ უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილს.

– რამ გადააწყვეტინა. – მეზობლების ფიქრი სწვდებოდა თითქო სერაპიონს.

აქტივისტებს უხაროდათ. ახლა რადას იზამს ეფრემი, როგორ ხასიათზე დადგება ნეტავი, როცა მისი სტიქაროსანი ჯვარს ჩამოაგდებს გუმბათიდან?

– მიდი, სერაპიონ, მიდი, ნახე როგორი თვალით დაგიწყებს თავმჯდომარე ცქერას. – თითქო ვიდაცა ხასჩურჩულებს სერაპიონს, რომელიც ცოტა ხანში ტაძრის გუმბათზე უნდა მოექცეს და ცადაქნილი სალოცავიდან ჩამოხსნილი ჯვარი უნდა ჩამოაგდოს.

– აბა, დავიწყოთ! – იტყვის თავმჯდომარე და სერაპიონი ფიქრებიდან გამოერკვევა.

ხალხი ტაძრის გუმბათს ასცექრის. ცნობის-მოყვარეთა თვალები მისჩერებია სალოცავის წვერს. გუმბათისკენ მიმავალ საცალფეხო კიბეს აუყვა სერაპიონი.

– რას სხადი, შვილო, – ეფრემის ხმა მისდევს.  
– ნუ დაუჯერებ, ნუ წაიწყმედავ სულს.

სერაპიონს აღარ ესმის ეფრემის ხმა. უკვე ჩქარი ნაბიჯით მიემართება, ერთიც არ შეუვენია, ისე ავიდა გუმბათზე, ავიდა და ტაძრის ეზოში შეკრებილ ხალხს გადმოხედა. აქტივისტებმა ყიუინა ატეხეს.

– როგორ უცბად ავიდა.

- ცოდვის ჩადენისას დრო სწრაფად გადის.
- გაიფიქრა ვიღაცამ.

ისევ ხალხისაგნ იყურებოდა სერაპიონი, როდესაც ჩოჩქოლი ატყდა და სალოცავის ეზოში შეგროვილი ჯგრო მამა ეფრემმა გამოარდვია.

- ხელი არ ახლო, - განწირული ხმით ასძახა სულგაყიდულ სტიქაროსანს, - ხელი არ ახლო, გეხმის?

ეფრემს აქტივისტები ეცნენ, ხელები გადაუგრიხეს და პირქვე დაამხეს.

- რას სჩადით, ოქვე უდმერთოებო, ოქვენა.
- საიდანდაც კოჭლი აბესალომი გაჩნდა.
- ეხლა უყურეთ სეირს, - ჩაიდიმა ხეიბარმა ბოლშევიკმა, უბიდან გალესილი მაქარდი ამოიღო და აქტივისტების ფეხებქვეშ მოქცეულ ეფრემს ერთიანად გადაკრიჭა ვეება თმა-წვერი. მცირე ხნის შემდეგ აქტივისტებმა გაპრეჭილ მოძღვარს ხელი გაუშვეს და როგორც კი ეფრემი, რომელიც შეშლილი სახით უმზერდა თანასოფლელებს, ფეხზე წამოდგა, პანდურები უთავაზეს.

სერაპიონმა ღრმად ამოისუნთქა, ცას აქხდა, სადაც არც ღმერთი ჩანდა და არც მისი ანგელოზები. სერაპიონის ფეხის ხმაზე გუმბათიდან მტრედები აფრინდნენ და წავიდნენ შორს, ძალიან, ძალიან შორს. თუმცა, ამისათვის სერაპიონს უურადღება არ მიუქცევია. იგი საქმეს შეუდგა, თითის სიმსხო მავთულებით დამაგრებული ჯვრის ჩამოხსნა იწყო, მაგრამ საქმე ვერ

დაასრულა, სპილენძის ფურცლებით დაფარულ სახურავზე ფეხი დაუცდა, ჯვარს ჩაეტლაუჭა, მაგრამ მავთულგადახსნილი ხუთადლიანი ჯვარი გუმბათს მოსძვრა და სერაპიონი ჯვარს ჩაჭიდებული გადმოეშვა ტაძრის გუმბათიდან. ტაძრის კარიბჭესთან დანარცხებულ კაცთან პირველები ახალგაზრდა აქტივისტები მიცვიდნენ, მაგრამ ეფრემის სტიქაროსანს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

\* \* \*

- ეს როგორ ჩაიდინა მაგ უდმერთომ, ოჯახი დაღუბა.

---რა მოხდა?

--- დათიას ასული ჭალაში მახას გადაყრია, მახას უძალავია და ძალით შეუცდენია.

- საწყალი გოგო, უბის თვალი, ტაძრის მგალობელი, როგორ გააუბედურა.

- ღმერთი არ აპატიებს.

- როდისდა კაცო, ე, სოფელი აიკლო და მაგის გამკითხავი არავინ არის.

- ეს სოფელი აღარ არის, სანახირე მინდორია, ჩვენ კი მოთვინიერებული პირუტყვი ვართ, ხან ჯოხს გვირტყამენ, ხან ბაგაზე გვაბამენ. ჯოხსაც ვიტანთ და თოქსაც.

- საწყალი დათია, როგორ აიგანს შვილის გაუბედურებას.

- ჩვენ ყველაფერს ვიტანთ.

მზეო ჭკუიდან გადასულიყო, დადიოდა ფეხ-შიშველა სოფელში, სიცილ-კისკისით დადიოდა და ხან ვის აუწევდა კაბას, ხან ვის.

— მახამ მთელი სოფელი შეაცდინა, მარტო დათიას ასული კი არა.

დათია დოგინზე პირქვედამხობილი ეგღო და ბდაოდა. თითქო ყველაფერი დამთავრდა. მისთვის ადარაფერი არსებობდა. ვისთან ეპოვა სამართალი, ვისთან მისულიყო, ვისთვის შეეჩივლა თავისი გასაჭირი, ამ დასაჭურისებულ სოფელში ვინდა დარჩა, ვინ მიიტანდა დათიას გასაჭირს და უბედურებას გულთან. ოჯახი თავზე ექცეოდა, მთელი ცხოვრება შერცხვენილსა და ღირსებააურილს უნდა ევლო. ერთ დროს რო მთელი სოფელი დათიას შენატროდა, ერთ დროს რო სოფელში ჭკუას ეკითხებოდნენ, უცბად მოექცა ცხოვრების ფსკერზე, უცბად ჩაყურყუმელავდა.

მზეოს, ჭკუაშერყეული შვილის დანახვა აღარ უნდოდა. გული ვეღარ უძლებდა. მახას ხარხარი ჩაესმოდა ყურში, იქნებ ჯობდა, რო შაქროს დასმენისთვის მოეწერა ხელი და ამით თავიდან აიცილებდა უბედურებასა და სირცხვილს, ერთი კაცის გაწირვით ოჯახს გადაარჩენდა.

თურმე რა ჰქონია გულში იმ უღმერთოს, რითი აპირებდა სამაგიეროს გადახდას.

ახლა ვეღარაფერი ვეღარ გააჩერებს. რამდენჯერ სცადა თავის მოკვლა, მაგრამ საბო-

ლოოდ უხილავი ძალა იჭერდა, უფრო სწორებ, მამა ეფრემის ხმა არ უშვებდა.

„დამთავრდება ტანჯვა და სირცხვილი, მაგრამ მახას ჯავრს როგორ წაიღებს საფლავში, სანამ მახას სისხლით ხელებს არ შეიღებავს, ისე ვერ მოისვენებს. კაცის მოკვლა? ამხელა ცოდვით დამძიმებული უნდა წასულიყო საიქონში, მარადიული სატანჯველისთვის უნდა გაეწირა თავი.

ვეება სკივრს ახადა, ხელი აფათურა და დიდი ხნის წინ შენახული მამისეული ქამარ-ხანჯალი ამოიღო, დახედა, კარგა ხანს აკვირდებოდა მამის დანატოვარს, რომელიც მცირე ხანში ბინძური სისხლით უნდა შეღებილიყო. იქნებ მამა ეფრემთან მიგსულიყავი და შემჩივლა, მაგრამ... მამა ეფრემსაც თავისი გასაჭირი ჰქონდა, წვერგაპრეჭილი, ნაცემი და შერცხვენილი მოძღვარი გარეთ ვეღარ გამოდოდა.

სარგმლიდან გახედა ეზოში შემოგოგმანებულ დამეს. დათიას მეუღლე მზეოს საძებნელად წასულიყო, იმ ავბედითი დღის მერე ჭკუიდან შემლილი გოგო ყოველდღე იკარგებოდა.

დათიას ბიჭი ტახტზე მიწოდილიყო და თვლება მორეოდა. დათია შვილთან ახლოს მივიდა, მძინარეს საბანი გადახადა, დიდხანს აკვირდებოდა სისხლიერს, ბოლოს ცრემლი ვეღარ შეიკავა, დაიხარა და აკოცა.

„მაპატიქ, შვილო, მაპატიქ, მაგრამ სხვანაორად არ შემეძლო”.

მცირე ხანში დათიას მეუღლეც გამოჩნდა, მზეო ხელჩაკიდებული მოჰყავდა.

— სად იყო? — მშვიდად იკითხა დათიამ.  
— ჯანდაბაში, ქიტგაბანთ გოგოსთან იყო დასამიწებელი.

მზეო იცინოდა თავისთვის.  
დათიას ადარაფერი უთქვამს. ჩოხაში გაჰყო მკლავი და გარეთ გამოვიდა.

შუაღამე გადასული იყო. ვახშამნაგემი დამის მნათობი ზანტად ამოდიოდა მთის უბიდან.

ცას აჲხედა დათიამ, ვარსკვლავები აქა-იქა შეამნია, ისინიც უდიმდამოდ ანათებდნენ, ცოტა ხანში ერთი ვარსკვლავი სამუდამოდ უნდა ჩამქრალიყო.

ძველი ციხის გალავანთან იჯდა და ქვის გასროლაზე მოშორებულ მახას ალიზის სახლს გასცემოდა დაჟინებით. ოთახიდან ჭრაქის სინათლე გამოდიოდა და შეზარხოშებული პარტიის აქტივისტების ხმაური იხმოდა.

დათია დიდხანს იჯდა ციხის გალავანთან, ვიდრე მახამ ბოლშევიკები არ გამოაცილა. ცოტა ხანში ხმაურიც მიყუჩდა და ჭრაქიც ჩაქრა. დათიამ ხანჯალი ამოიღო, ფხა მოუხინჯა და მახას სახლისკენ დაიძრა.

მახას ძაღლის აშვება დავიწყებოდა. დათია ეზოში შევიდა, ქოფაკმა ყეფა-ღრენით იქაურობა აიკლო, მაგრამ მთვრალ მახას არაფერი გა-

უგია. დათიამ ოთახის კარი წიხლით შეაღო, მიწურში შეიჭრა და მძინარე მახას ლოგინში დააცხრა. სანამ მახა გონს მოეგებოდა, დათიამ მსხვერპლი ქვეშ მოიგდო და ისე გამოდადრა ყელი, ხელი არ აკანკალებია.

პირქვედაცემული მახა დაკლული დორივით ხროტინებდა.

დათია იქვე იდგა და გრძნობდა, როგორ დასველებოდა მოკლული ბოლშევიკის თბილი სისხლით ხელები და სამოსი, „არ ყოფილა როული კაცის მოკვლა”.

\* \* \*

— აქს სახლი ჩემია.  
— როგორ თუ შენია?  
— აეგრე, ჩემია, სახლიცა და შენი ბაღ-ვენახებიცა, — ჩაეცინა კოჭლ აბესალომს.

გიგას ეგონა მეხუმრებაო და თვითონაც დაცინვით უთხრა:

— რომელი ბაღ-ვენახები, ილიკოსკენ რომ მაქვს, თუ კარებჭინა. გიგას ვება ბაღ-ვენახები ჰქონდა გაშენებული, საქონელიც ბლომად ჰყავდა და სოფელში შეძლებულ გლეხად ითვლებოდა. მაგრამ ახალგაზრდა ბოლშევიკებმა გიგას ქონებას თვალი დააღექს და აბესალომს შეუჩნდნენ:

— ერთ ციცქა მიწურ სახლში ცხოვრობ, ცოლ-შვილი სირისტში ლამის ამოხოცო, პარტიის თავი შესწირე, ეგ პულაკი კიდევა, ცა

ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადა. ჩვენ თითო გაქცეული ძროხა გვყამ, მაგას კი-დე ჯოგი დაუდისო, აბესალომს ჭაუაში დაუჯ-და. თემის აღმასკომის თავმჯდომარესაც შეუ-ნდა.

— ეხლა გახდა გაბრე მოკუნტული ეს გიგა, თორემ რევოლუციის პირველი მტერი იყო, რაც მაგას ხალხი ჰყან გამწარებული, საწყალ ჩვენს სოფლელებს თავის ნაკვეთებში ამუშავებდა კაი ვირებივითა და კაპიქს არ აძლევდა. მე სხვა გვარისა ვარ, ძარღვებში აზნაურების სისხლი დამიდისო.

თავმჯდომარეს რისხვით აენთო სახე და აბესალომს თვალები დაუბრიალა.

ეგეთი კაცი გყამთ სოფელში და აქამდე გე-ძინათო. აბესალომმა მოუბოდიშა.

— შეცდომას გამოვასწორებთ, ოღონდ ეს ერთხელ მაპატიერ.

ერთ-ერთ კრებაზე გიგას გაძულაკების სა-კითხიც გაიტანეს.

„გიგა წითლუაშვილი დღემდე რჩება, როგორც კონტრევოლუციის მხარდამჭერი, საწყალი გლეხების ხარჯზე გამდიდრებული ადამიანი, რომელიც დაქირავებული მუშახელით ამუშავებს მიწებს. ჩვენი თანასოფლელები ერთხმად აღიარებენ იმას, რომ გიგა წითლუაშვილმა უკანონოდ შეიძინა ამდენი ქონება, მაშინ როდესაც საწყალ გლეხებს საკარმიდამო მიწის ნაკვეთები არ გააჩნიათ და

ბოსტანი ვერ დაუთესიათ. გიგა წითლუაშვილი ათეულობით დესეტინა მიწას ფლობს და კიდევ უფრო უარესი ის არის, რომ გადატაკებულ გლეხებს გიგა ფულით ხელს უმართავდა, მერე კი, როდესაც გლეხები ვეღარ იხდიდნენ გალებს, გიგა მათ მამულებს ისაძუთრებდა. აი, როგორ გამდიდრდა საწყალი გლეხების ოფლით და მამულებით ეს ჩვენი სოფლის სისხლისმხმელი კულა-კი. უფრო მეტიც, იგი თანაუგრძნობს და ფუ-ლითაც ეხმარება საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, რომლებიც სოფელ-სოფელ დაძრწიან და ხალხს აჯანყებისკენ მოუწოდებენ. სოფელი მოითხოვს ჩამოერთვას წითლუაშვილს რაც გააჩნია, მის საცხოვრებელში გაიხსნას ორ-კლასიანი სასწავლებელი, რომელიც ამჟამად განთავსებულია ხორბლის საწყობის ძველ შე-ნობაში.

მისი მამულები გადაეცეს მცირემიწიან გლე-ხებს, ხოლო პირუტყვი ჩაბარდეს სახელმწიფოს და სოფელს ხორცის ჩაბარების გეგმა ჩაეთვალოს შესრულებულად”.

გიგა სახეგამტკარებული, ხელებაცახცახ-ბული იდგა და ხან სახლიდან გამოყრილ აღ-ნავლებულ ბალდებს შესცექროდა, რომლებიც დედის გგერდით წვიმაში მოყოლილი წიწილე-ბივით იყვნენ აბუზულები, ხან პარტიის აქტი-ვისტებს, რომლებიც მისი სახლიდან სხვადა-სხვა ნივთებს ეზიდებოდნენ.

— რას სჩადით, ხალხო, დმერთი არ გწამთ? ვისთვის რა დამიშაგებია, ვისთვის რა გამიფუჭებია, სად ეზიდებით ჩემს ნაოფლარს. მთელი ცხოვრება მიშრომია, ამ ხელებს მაინც შეხვდეთ, თვითონვე დაჰყურებდა ყაშაყაშა დახეთქილ ხელისგულებს.

აქტივისტები ყურადღებას არ აქცევდნენ.

— საცაა თოვლს ჩამოჰყრის, ბალდები სად წავიყვანო, ბალდები მაინც შეიძრალეთ.

აქტივისტებს არც მისი ბალდების ხსენებაზე აჩუქებიათ გული.

დიდხანს ეხვეწებოდა გიგა, ბოლოს მუდარის სიტყვები ტირილში გადაუვიდა.

მაინც არ მიუქცევიათ ყურადღება. მიპქოდათ სამოსი, ჭურჭელი და სხვადასხვა სახის ნივთები.

ბოლოს სახე შეეცვალა, იტყოდი, სეტყვის ღრუბელი წამოადგაო, უცნაური ხმით ამოიხავლა და ერთ-ერთ აქტივისტს გამწარებული ეცა, წააქცია, ქვეშ მოიგდო და მიწაზე ნამუშევარ ვეება ტორებს დიდხანს ურტყამდა, სანამ გონება არ დააკარგვინა. ამასობაში სხვა აქტივისტები მისცვივდნენ. წაქცეულ მეგობარს გიგა ვაი-ვაგლახით ააგლიჯეს.

ახლა ყველამ ერთად გიგას დაუწყო ცემა. ურტყამდნენ დაუნდობლად, მუშტებით, წიხლებით, ვიდრე ერთიანად არ შეედება ქონებაჩამორთმეულ გლეხს სისხლით თავ-პირი. ბოლოს კბილებამტვრეული აქტივისტიც

მოყვანეს გონს და ახლა იმან იყარა ჯავრი, წაქცეულ გლეხს რამდენჯერმე მუშტისხელა ქა გამეტებით ჩასცხო. ჩამორთმეული სახლის წინ ცოცხალ-მკვდარი ეგდო გიგა, რომელსაც გარსშემოხვეული წვრილ-შვილი დახტიროდა.

\* \* \*

თემის აღმასკომის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით გიგას მრავალშვილიან ოჯახს ჭირნახულის საწყობში ერთი ოთახი გამოუყვეს და რამდენიმე ფუთი ხორბალი მისცეს, რომშივრები არ დახოცილიყვნენ. გიგას მამულები კი აქტივისტებმა გაინაწილეს.

დღე რო ვერ ბედავდა თავის ბალებთან ჩაჭლას საცოდავი გლეხი, დამღამობით ჩადიოდა, ნამიან მოლზე ჩამოჯდებოდა, შვილივით გაზრდილ ხეხილს გასცემროდა და ტიროდა, გულს იოხებდა, მაგრამ ხვდებოდა, რო ასე დიდხანს ვერ გასტანდა. გული ვერ გაუძლებდა.

— რა დავაშვე ამისთანა, დმერთო, განა რა შევცოდე ისეთი, რომ ასეთი სატანჯველი მომივლინე. ამ წამხდარი ადამიანების ლუკმა გამხადე, რომელთაც არც მიწის სიყვარული აქვთ, არც ოჯახის და არც დმერთის, ადამიანის სისხლი არ უდგიათ. ერთი დრო არავის შერჩენია, არც ამათ შერჩებათ. ბოლოს ადგა და საჩივარი დაწერა:

„ცაკის თავმჯდომარეს, ამხანაგ მახარაძეს.

მე, ჩემი წვრილშვილით, ვცხოვრობდი მამისეულ სახლში, გვქონდა ორი ათეული დესეტინა მამული, ზოგი მამაჩემის დატოვილი, ზოგიც ჩემი ალალი შრომით ნაყიდი. გვყავდა ასევე რამდენიმე სული პირუტყვი. არასოდეს ცუდი განწყობა არა გმჭნია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ვცხოვრობდით პატიოსნად, არასოდეს დამიჩაგრავს ჩემი თანასოფლელი გლეხობა (როგორც ამას მაბრალებენ), თუმცა ბოროტ ადამიანებს რა დალევს, ჩემი ალალი შრომით შეგროვილი მცირე ქონება შეშურდათ ბოროტ მეზობლებს, რომლებიც პარტიას არიან მიტმასნილები და თემის აღმასკომის გადაწყვეტილებით, შეს ზამთარში სახლიდან გამოგვარეს, მშიერ-ტიტვლები, ჩამოგვართვეს მოელი ავლადიდება, პირუტყვი, მამულები. შეგვყარეს სოფლის ჭირნახულის საწყობში არსებულ პატარა თახეში, სადაც ფეხადაც ვერ ვეტევთ. შიძმილსა და სიცივეში გარდაგვეცვალა ნაბოლარა, თოხი წლის ბალდი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი მდგომარეობა და მოგვხედოთ”.

ამხანაგ მახარაძესთან გაგზავნილ წერილს რა ბედი ეწია, გიგამ ვერაფერი გაიგო. მისთვის არავის არ მიუქცევია ყურადღება. ჩაადრევად დაბერებულმა და დარდ-ბოლმისაგან გატეხილმა კაცმა სახლ-კარის ჩამორთმევის შემდეგ სულ რამდენიმე წელიდა იცოცხლა და კოჭლი აბესალომის ჯავრი საფლავში ჩაიყოლა.

\* \* \*

წისქვილისაგნ მიდიოდა პეტრე და თან პაპის აჩრდილი მოსდევდა.

— ეგ რა ჩაიდინე, შე საცოდავო, შენა. მადლი მატლად გადააქციე, კაცი სასიკვდილოდ გაიმეტე და იუდას ნაშიერი გახდი. დაწყევლილი ლუკმის მიტანას სულ რომ არ მიუტანო შენს შვილებს, ხომ გირჩევნია.

პეტრემ ნაბიჯს აუჩქარა, თითქო დიაკვანი პაპის აჩრდილს უნდა გაქცეოდა.

— ცოდვას ვერსად გაექცევი, ტყუილა გარბისარ, გაქცევას ნელი ნაბიჯებით იარო, გირჩევნია, იქნებ გზაში შეინანო, გონება გაგინათდეს, მერე უკან მიბრუნდე, იმ დაწყევლილ დარბაზში შედგა ფეხი, სადაც ცილი დასწამე შენს მოყვასს და თქვა, რო ყველაფერი ტყუილია.

პეტრემ კიდევ უფრო აუჩქარა ნაბიჯს.

— სულის წაწევედა ადვილია, გადარჩენაა როული. მოტრიალდა.

— ვერ მოვტრიალდები, — ამოიგმინა და უაზროდ მოიხედა უკან, თითქო პაპის აჩრდილის დანახვა უნდოდა.

— იქნებ გევოს გამბედაობა. ცოდვის გულწრფელ ალიარებაზე დიდი ვაჟგაცობა არ არსებობს. გადმოუხვიე იუდას გზიდან.

— მომკლავენ, ჩემს საცოდავ თჯახს ვინ მოხედავს, მშივრები დაიხოცებიან, სხვა გზა არ მქონდა.

— შაქროს თჯახს ვინ მიხედავს?

გაიქცა პეტრე.

აჩრდილი ადარ მისდევდა.

წისქვილში ასვლა გადაიფიქრა.

— სად წავიდე, სად ჯანდაბაში წავიდე.

ხან ერთი მეზობელი შეხვდებოდა, ხან მეორე.

— სად მიხვალ, პეტრე?

— სად წავალ, წისქვილში მივდივარ, საფქ-  
ვავი დამიგროვდა.

არადა წისქვილში არ მიდიოდა. წისქვილის დანახვა აღარ უნდოდა, შაქროს ნაჩუქარი ფუ-  
ლით აშენებულ წისქვილში ვედარ შევიდოდა.  
გული ერეოდა, თითქო სიბინძურე უთ-  
უხოუხებდა სხეულში და ენით აუწერელი სიბ-  
ყრალე ამოსდიოდა.

შედგა. სული მოითქვა. სად წავიდე. სო-  
ფელს მოჰედა. სიმწვანეში ჩაფლული სახლე-  
ბი ქვემოთ დარჩა. რიყებე გართხმულ მდინარე-  
საც გადახედა, მისი წისქვილიც იქ იდგა. თვა-  
ლები დახუჭა.

თითქო ისევ დარბაზში აღმოჩნდა, კრება მი-  
მდინარეობდა, სადაც სოფლის ყოფილი მამა-  
სახლისის ბედი წყდებოდა.

— ეოჩად, პეტრე, აი ეგრე, პარტია დაგიფა-  
სებს. ასეთი გველის წიწილების ადგილი სო-

ფელში არ უნდა იყოს, — თითქოს აბესალომის  
ხმა მოესმა. თვალი გაახილა. ჭირის ოფლმა  
დაასხა სახეზე. თვალწინ დაუდგა სოფლიდან  
აყრილი შაქროს თჯახი, ბოლჩაგამოკრულები  
რო მიაბიჯებდნენ. მიდიოდნენ შორს,  
საიდანაც აღარსასოდეს დაბრუნდებოდნენ.

— ვჲ, პეტრე, პეტრე, როგორ გადამიხადე... —  
შაქროს ჩურჩული მოესმა. ამოიგმინა.

— ეს რა ჩავიდინე? — ხმამაღლა პკითხა სა-  
კუთარ თავს. — ესეთი გახრწილი თუ ვიყავი  
და ამისთანა სისაძაგლის ჩამდენი, ვერც კი  
წარმოვიდგენდი. რისი დირსია ჩემისთანა  
კაცი?

— ბოლშევიკები დაგიფასებენ. აბესალომის  
ხმა ისევ ჩაესმა.

— ჩემი ხელით მივართვი სული ეშმაკს.  
ცრემლი მოაწვა თვალებზე.

უნდოდა, შაქროსთან მისულიყო და  
მუხლზე დაჩოქილს პატიება ეთხოვა, მაგრამ  
ამას ვერ შეძლებდა. ხმამაღლა აზლუქუნდა.

„იუდაც დგრიდა ცრემლებს, მაგრამ რა გა-  
მოვიდა, მაინც იუდად დარჩა, მის ცრემლებს  
და სინანულს არაფერი შეუცვლია”, ეს უკვე  
კაპის ხმა იყო.

პეტრე დაბლობში დაეშვა, იმ გზას ჩაუყვა,  
რომელიც მისი წისქვილისაკენ მიდიოდა...

პეტრეს წისქვილის სახურავიდან ჯერ ზან-  
ტად ამოვიდა მოცისფრო კვამლი, მერე აბურ-  
ბურებულმა ცეცხლმა ფანჯარაში გაასავსავა

ენა და კრამიტების ტკაცატქუცის ხმა სოფელ-საც მისწვდა. დიდი და პატარა წისქვილისკენ გარბოდა, მაგრამ პეტრეს ხუხულას გერაფერი უშველეს, პატრონთან ერთად ჩაიფერფლა. ბოლოს ძლივს მოახერხეს მეწისქვილის დანახშორებული ცხედრის პოვნა.

\* \* \*

— აი, აქ ხომ ვერაფერი მოგიხერხე, იქ მაიც გიტირებ დედას, გგონია, რო სულ ესე იქნები?

— გაადგი ფეხი.

— ჩემი ოჯახის გამწარებას მაიც არ შეგარჩენ, შენ გგონია, რო იქ არაფერი არსებობს არა? ყველაფერი არსებობს. იქ გელოდებათ დიდი მსაჯული, აი, მერე რადას იზამთ.

მერე გიშველოთ იმ თქვენმა რევოლუციამ. მერე ვინდა დაგიცავთ. ვინდა გამოგესარჩდებათ. მაშინ გიტირებთ დედას.

— ვნახოთ, ვინ ვის უტირებს, ფეხი გაადგი, — შალომ ქიმუნჯი უთავაზა, — დროზე, გასწი.

დათიამ ჩალურჯებულ-ჩალილავებული ოვალებით მოხედა, ჩასისხლიანებულ მზერაში ისე-ეთი სისახტიკე კრთოდა, ხელები რო გახსნილი ჰქონდა, კოჭლი აბესალომის მოსწავლეს-შალოს კბილებით ყელს გამოდადრავდა და მის ცხელ, ქაფიან სისხლს დაეწაფებოდა, მაგრამ ისე გაეკოჭათ, სისხლი აღარ

უმოძრავებდა, მაჯებგადანასკვული მტევნები მიცვალებულივით გალურჯებოდა.

„ერთი ხომ მაიც მიგასიკვდილე, — გულში ამბობდა დათია, — მაიც არ შევჭამე ამათი ჯავრი, ოჯახი შემირცხვინეს, ლაფი დამასხეს თაგზე, მაგრამ ვალში არც მე დავრჩი. თითქო საკუთარი თავის ქმაყოფილი იყო. სულ რამდენიმე ათეული ნაბიჯი იყო დარჩენილი იმ საბედისწერო ადგილამდე. იმ ცოდვის ალაგამდე. სოფლის თავში, ყევნის გორაზე, სადაც მაცხოვრის ძველთაძველი სალოცავის ნანგრევი იყო, ერთი ადამისხნის ნამეხარი მუხა იდგა, ეული ათასწლიანი ხე და ბოლშევიკებს იქ არაერთი დახვრეტილი ადამიანი პყავდათ დამარტეული. ბოლო აღმართს შეუყვნენ, დათია ისე ყოჩადად მიაბიჯებდა, თითქო შესაწირი მიჰყავდა სალოცავში და დამისთევით მიდიოდა ჯალაბთან ერთად. ბოლშევიკები მსხვერპლს ქოშინით მისდევდნენ. მათი ხენეშის ხმა გულს ურევდა დათიას. ხანდახან მოიხედავდა, ზიზდით სავსე თვალებით შეხედავდა თოვებშემართულ თანასოფლელებს, უნდოდა შეეგინებინა, უნდოდა გაელანდედა, მაგრამ... სალანძღვი სიტყვებიც არ ემეტებოდა მათთვის. ბოლშევიკებს ერთი ბარგადებული გლეხიც მოჰყვბოდათ, რომელსაც თავი ჩაედუნა და დორლიან ბილიქს მიშტერებული მისდევდა პარტიის აქტივისტებს. ეს იყო დათიას თანასოფლელი, მისი მოგვარე ლაზარე, რომელსაც დახვრეტილი

სახლისკაცის საფლავის გაჭრაში უნდა მიეღო ჯამაგირი ბოლშევიკებისგან. თავიდან ეძნელებოდა ეს საქმე ლაზარეს, მაგრამ მერე დათანხმდა. ლაზარე იტყოდა უარს, სხვები გააკეთებდნენ და გასამრჯელო ტყუილა უნდა დაეკარგა. გასამრჯელო. დახვრეტილი თანასოფლელებისათვის გაჭრილ სამარეში გადახდილი ფულით გამოკვებილი ბალდები ოდესაც ხომ გაიგებდნენ მამის ამბავს და პასუხს მოსთხოვდნენ? მაგრამ ვიღაცას ხომ უნდა გაეკეთებინა ეს საქმე, დაუმარხავს ხომ არ დატოვებდა ადამიანებს. „იქნებ ისევ მექრედ მუშაობა ჯობდა, შე უბედურო, საიდან გაერიე ამ ცოდვიან საქმეში”, ალბათ ჯობდა, ჯობდა, ფიქრობს ლაზარე, მაგრამ ეხლა ვედარ იტყვის უარს და მიუყვება ყენის გორისაკენ მიმავალ ბილიქს. წინ მიდის დათია, მერე მისდევენ ბოლშევიკები, რომელთაც ერთი სული აქვთ, როდის ააღწევენ იმ ადგილს, რო ესროლონ და ჩააძალონ, მახას სისხლი აქვთ ასაღები.

— ლაზარე! — ლაზარემ თავი ასწია, ჯერ უგონა, რო მეზენებაო, მერე დათიას ხმა იცნო.

— ერთ რამესა გთხოვ და ამისრულე! შენთვის რა აზრი აქვს, საფლავი საფლავია.

— ჰოო.

— ნატაძრალთან ახლოს დამმარხე.

— გქმის, ლაზარე?

დათია შედგა, მობრუნდა და ცრემლჩამდგარი თვალებით შეხედა ტანდაბალ ბერიკაცს, რომელიც დაბნეული იყურებოდა.

— მითხარი, რას გაჩუმდი, დამმარხავ თუ არა. — აყვირდა დათია.

ლაზარეს ისევ არ ამოუღია ხმა.

— შენც უსინდისო კაცი ყოფილხარ.

შალომ მსხვერპლს თოფის კონდახი უთავაზა, დათია პირქვე წაემხო და თაფ-პირიდან სისხლი წასკდა.

„ყოველი ადამიანის ცხოვრება რაღაცით პგავს მაცხოვრის ცხოვრებას, ყოველ ადამიანს აქვს თავისი წილი სატანჯველი გამოსავლელი, თავისი წილი სისხლი დასათხევი, თავისი წილი გოლგოთის აღმართი ასავლელი, რამენაირად ყველამ უნდა აიაროს ეს აღმართი, რო ოდნავ მაინც იგრძნო, ვინ იყო მაცხოვარი და რა სატანჯველს გაუძლო, რო ჩემისთანა მოკვდავი, ცოდვილი ადამიანები სამუდამო გეენისგან ეხსნა”.

დასისხლიანებული სახე ასწია დათიამ, თითქო მამა ეფრემის ხმა ჩაესმა, მამა ეფრემის, რომელსაც წვერი გაკრიჭეს, ანაფორა გახადეს, ეკლესია დაუკეტეს.

— მამაო... — დაიჩურჩულა, აიხედა და თავს თოფმოდერებული შალო ადგა.

— ჯერ არ მესროლო, ხელები გამიხსენი, ვოლოცებ და მერე... გეხვეწები, გამიხსენი, ვილოცებ ცოტა ხანს, მიდი გამიხსენი, გაშავებული,

გრძნობადაკარგული ხელები გაუწოდა. მაგრამ შალოს მისი ხვეწისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. დათიას მუდარა ახალგაზრდა ბოლშევიკის თოფის ქუხილმა დაფარა, რომელმაც მების ხმასავით გადაუარა სოფელს.

\* \* \*

— ხვალ, ხვალ მივდივართ, — ხმის კანკალით თქვა, — ოდონდ სად მივდივართ, არ ვიცი, არაფერს გვეუბნებიან, ყველანი მივდივართ, ქალაქიდან მატარებლით წავალთო, მამაჩემმა... არ ვიცი, მე მგონი, ციმბირში გვგზავნიან. ქახაბერს თვალებში შეხედა, მერე ვეღარ გაუძლო და ცრემლები წასკდა.

ბიჭი ქადქცეული იდგა და ერთი დამამშვიდებელი სიტყვაც ვერ მოეძებნა გულის სწორისათვის. ან რა უნდა ეთქვა, შეყვარებულის თჯახს სოფლიდან ასახლებდნენ, ის კი... თემის აღმასკომის თავმჯდომარის შვილს ვისთვის გაემხილა, რო სოფლისაგან შერისხული ყოფილი მამასახლისის ქალიშვილი უყვარდა. ქახაბერისა და მირანდას სიყვარული აქამდე საიდუმლოდ რჩებოდა. გასაოცარი იყო, რო ყველაფრისმცოდნე სოფელმა აქამდე ამის შესახებ არაფერი იცოდა. ის უფრო გასაოცარი იყო, ასი თვალის და ასი ყურის მქონე ბოლშევიკებს როგორ გამოეპარათ ეს ამბავი. ქახაბერსაც უპვირდა.

ოჯახში, სადაც მარტო რევოლუციაზე, ადამიანების დასმენა-დახვრეტაზე და პარტიის წინსვლაზე იყო საუბარი, სიყვარულიც ვეთქავდა და იმ დროს, როცა პარტიის კრებიდან მოსული თემის აღმასკომის თავმჯდომარე თავის ხუთივე გაქს გვერდით მოისვამდა და ბოლშევიკების წარმატებებზე ესაუბრებოდა, თავმჯდომარის ნაბოლარა ვაჟი მირანდაზე ფიქრობდა. ერთი დღეც არ შეეძლო იმ საოცარი არსების გარეშე ცხოვრება, რომელმაც ყველაფერი გადაავიწყა. ფიქრობდა, როგორ მოეწყო სხვანაირი ცხოვრება, როგორ გაქცეოდა იმ საშინელებას, რაც ირგვლივ ხდებოდა. გრძნობდა, რო მისი სახლი სიბინძურის გროვას დაემსგავსა და ამ სიბინძურეში ყოფნა აღარ უნდოდა. გულს ურევდა მამამისთან მიტმასნილი ახალგაზრდა ბოლშევიკების დანახვა, მათი ყალბი დიმილი, სინდისისაგან დაცლილი მზერა. ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ მამამისის ერთ დაძახებაზე მულიდებივით თავი გაეწირათ. მათთვის არც სიყვარული არსებობდა, არც პირადი ცხოვრება. ისინი ყველანი რევოლუციის შვილები იყვნენ და ამით არსებობდნენ. ამ სიბინძურის მორევში კი თვითონაც იყო ჩაყურყუმელავებული. ვისთვის ეთქვა, ძმებისთვის? ოთხი დედმამიშვილი პყავდა და ვერც ერთოთან ვერაფრის თქმას ვერ ბედავდა. ისინიც რევოლუციის შვილები იყვნენ და მარტო ეს ერთი გამორეულიყო, თითქო თჯახის ცოდვები მას

უნდა ეზღო. ეგინაძის შვილთან მისი სასიყვარულო ამბავი რო გახმაურებულიყო, შეიძლება მათთან ერთად კახაბერიც გაესახლებინათ... თუმცა, ეს მისი ოცნებაც იყო. მირანდას გარეშე მაინც ვერ იარსებებდა. დამეებს ფიქრში ათენებდა კახაბერი. ამხელა სოფელში კაცი არ ეგულებოდა, რო მისულიყო და გულის საწუხარი გაენდო, თუმცა მარტო სოფელი კი არა, ალბათ ქვეყანაც დაცარიყლებულიყო ქაცებისაგან.

მამამისის, ბენიამინის სახე გაუელვებდა. გაუთავებელი საუბარი რევოლუციაზე და პარტიის მონაპოვარზე.

„როგორ დამსაჯა დმერთმა, ასეთ ოჯახში რო გაგწნდი, რადა მე... თუმცა იმ დალოცვილის დიდ სამართალს მე როგორ ჩავწვდები. ალბათ, ასე იყო საჭირო”.

მმებს გადახედავდა. ერთ ვეება ოთახში ეძინა ყველას, იქნებ ჯობდა, რო მეც ამათნაირი ვყოფილიყავი. ასეთი მტანჯველი ფიქრები აღარ მექნებოდა, ცხოვრება გამიმარტივდებოდა. ან მირანდა საიდან ჩამიგარდა გულში, ამ ერთმა სიფრიფანა გოგომ ჭკუიდან გადამიყვანა, არა, არა, მირანდა უფალმა გამომიგზავნა, რო სხვანაირი მზერით დამენახა ქვეყანა. ძალმომრეობის, სისასტიკის და პატივმოყვარეობის გვერდით სინაზის, სიყვარულის და რწმენის არჩევაც შეუძლია ადამიანს.

დამდამობით ბალებზე აიპარებოდა, ქურდივით გადაძვრებოდა თელის ღობეზე და ბუჩქში შემალული გასცემოდა მირანდას სახლს, სადანაც ჭრაქის სინათლე იღვრებოდა. შუაღამებდე ასე იყო გარინდული, გულის სწორის ნაცვლად მისი სახლის ცქარით ტკბებოდა. თითქო დრო ჩერდებოდა ამ დროს.

— ყველაფერი დასრულდა, — დაიჩურჩულა გოგომ უკანასკნელი შეხვედრისას. — ვედარასოდეს ვნახავთ ერთმანეთს, ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ასეთი დასასრული ექნებოდა ჩვენს სიყვარულს.

\* \* \*

მამა ეფრემი დამდამობით მიდიოდა ტაძართან. ჩაგმანული სალოცავის წინ დაემსხობოდა და თვალცრემლიანი ლოცულობდა. უნდოდა რო შესულიყო, საკურთხევლის წინ დამხობილიყო და თანასოფლელთა ცოდვების მიტევება ეთხოვა უფლისათვის, მაგრამ ტაძარში ხორბალი დაეყარათ, კარები ჩაეკეტათ და გასაღები ეკლესიის გვერდით მცხოვრები გლეხისთვის — ფრიდონასთვის ჩაებარებინათ, რომელიც მეველედ მუშაობდა. ეფრემი თითქო უკანასკნელ დღეში იყო. იტყოდი, ზენაარს უკვე დაეთვალა მისი სიცოცხლის წუთები და უკანასკნელად უნდოდა, რო დგომის სახლში ელოცა. ელოცა მთელი სოფლისათვის, რომელმაც დმერთი და-

გმო და სალოცავის დაკეტვას მშვიდად შეხვდა.

მამა უფრემმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ფრიდონასთან მივიდა და მუხლზე დაუჩოქა.

— გათენებამდე მათხოვე ტაძრის გასაღები, ამას ვერავინ გაიგებს, დგოის გულისათვის, უარს ნუ მეტყვი. ვილოცებ და უკან დაგიბრუნებ.

ფრიდონამ ხელები გაასავსავა.

— რა ვქნა, მამაო, ვიცი, რა დღეშიცა ხარ, ძანაც მინდა რო დაგეხმარო, მაგრამ ეს რო გაიგონ, ხომ იცით, რა ამბავსაც ამიტეხავენ. ტყავს გამაძრობენ და მერე ვერავინ მიშველის.

ხელცარიელი გამობრუნდა მამა უფრემი.

„ძვირფასო ბენიამინ, ვფიქრობდი, მომეწერა თუ არა თქვენთვის, მაგრამ ალბათ ესეც უფლის ნება იყო. რევოლუცია ხალხს უნდა აფხიზებდეს თუ უნდა აბრმავებდეს. ცოდვის ჭაობში ჩაიფლო სოფელი, ხალხი გასაცოდავებული და გამოთაყვანებული დადის, თითქოს უნდათ რადაცის თქმა, მაგრამ გეგონება მეტყველების უნარი აქვთ დაკარგული. ერთმანეთს აღარავინ ენდობა, ცილისწამება და ბეზღობა ცხოვრების საზრდოდ გადაიქცა. ხალხს ღმერთი მოუკალით, ეკლესია წაართვით, წმინდა ადგილები წაუბილწეო, უდანაშაულო ადამიანები დახვრიტეთ. გონს მოდით, ბენიამინ!

ნუ დაღუპავთ სოფელს, სულ სამუდამოდ ნუ წაიწყმედთ“.

სხვა რა უნდა დაეწერა. იჯდა და ხელებაკანკალებული დასცექეროდა წერილს. თითქო ციება შეეყარა, ერთიანად ცახცახებდა, სხვულზე თითქო წყალი გადაავლესო, ცივი ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. განჯინის გვერდით სალოცავ კუთხეს შეავლო თვალი. ჯერ ღვთისმშობლის სახეს დააკვირდა, მერე მაცხოვრის ნატანჯ მზერას და ღრიალი მორთო. თითქო შეიშალა, ჰქუაზე შეირყა. ფეხზე წამოხტა, რამდენჯერმე გამეტებით დაეჯეხა კედელს, სარტყელიც ჩალეწა, მერე ბენიამინისადმი დაწერილი წერილი ნაკუწებად აქცია. ბოლოს გარეთ გავარდა და ისეთი ხმით ბდაოდა, მეზობლები გამოცვივდნენ.

— სად არიან უღმერთოები. მიმიფურთხებია მაგათი რევოლუციისთვის, გარეწრები და ქრისტესმგმობელები, მოვიდნენ და რაც უნდათ, ის გამიკეთონ, დრო მოვა და მატლიც არ შეჭამს მაგ უბედურებს. მაგათ მყრალლეშს ჭიაღუაც არ გაეკარება.

მეზობლები გაოცებულები მისჩერებოდნენ საცვლებისამარა გამოსულ ნამდვილებს, რომელსაც შეშლილი სახე პქონდა. ჯერ უფრემის დამშვიდება სცადეს, მაგრამ როგორც კი ნამდვილება რევოლუცია გალანძდა და ბოლშევიკები აუგად მოიხსენია, იმწამსვე გაიძურწენენ, ერთმანეთის შეშინდათ. არავინ იცოდა, პირველი ვინ გაიქცეოდა და ვინ მიუტანდა ბენიამინს ამბავს.

\* \* \*

თავმჯდომარე მგლის მზერით შესცექოდა წითლად შეღებილ კედელთან ჩამწერივებულ ხელისბიჭებს—აბესალომი, შალო, ნიკოლოზა, პაპუა, თავჩალუნულები იდგნენ და ხმის ამოდებას გერ ბედავდნენ.

— ერთი პირდაუბენელი მდვდელი გჯობით ამდენ მაუზერიან ვირებს, თფუი თქვენი, თქვენისთანები ააშენებენ ქვეყანას? მატყუარა მოძვარი ჯობის დამლა ბოლშევიკებს.

— მაშ მატლიც არ შეგჭამთო? როგორა თქვა? — თანდილას გასძახა და ოთახის გარეთ ატუზლი გლეხი იმწამსვე იქ გაჩნდა.

— გაიმეორე ერთი, როგორ თქვა იმ სულ-დაღლმა?

თანდილამ ჩაახველა, ჩაცვენილი, წვერგასა-პარსი ყბები მოიქექა. ჯერ თავმჯდომარეს შეხედა, მერე კედელთან გვერდიგვერდ მყოფ პარტიის აქტივისტებს.

— მიმიფურთხებია მაგათი რევოლუციისთვი-საო, მაგათ მყრალ ლეშა მატლიც ადარ მიე-კარებაო, — თქვა თანდილამ და ჩაფიქრდა, ხომ არაფერი გამომრჩაო.

ამასობაში აბესალომს რადაცის თქმა მოუნდა, ჩაახველა, ნერვიულად შეიშმუშნა, თავმჯ-დომარეს ნაღვერდლიან თვალებში მუდარით სავსე მზერით შეხედა.

— თუ ნებას დამრთავ, დღესვე ჩემი ხელით ჩავაძალებ მღვდელს და მაგის თავ-ფეხს ძაღლებს მიგუყრო.

თავმჯდომარის დუმილი აბესალომმა თანხ-მობად მიიჩნია, ბოლშევიკებს თვალით ანიშნა და უკეთ უხმოდ გავიდა ბენიამინის ოთახი-დან.

\* \* \*

თითქო ცამ ჩაყლაპა. ადგილი არ დარჩათ მოსაძებნი. მექებარი ძაღლებივით მოედვნენ ბოლშევიკები ტყე-ღრეს. სისხლმოწყურებულე-ბი დაბორიალობდნენ. სოფელში ყველას სახ-ლი გაჩხრიკეს. მერე ტყეებიც გადააქოთია-ლეს, მაგრამ მამა ეფრემი თითქო ცაში გაუზი-ნარდა. კვალს ვერსად მიაგნეს.

ბოლოს გავეშებულმა აბესალომმა და მისმა ძმადნაფიცებმა მოძღვრის საცხოვრებელზე იყ-არეს ჯავრი. ეფრემის სახლს ნავთი მიასხეს და მისი „ავლადიდება“ ნაცარტუტად აქციეს.

ჩანაგლებული ცეცხლიდან ადენილი ნაცრის-ფერი კვამლი ზანტად მიირწეოდა მაღლა და ცას უერთდეობდა.

„მიწყალე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა...“

საუკუნეების წინ მადლიანი ხუროს მარჯვე-ნას დაეწყო ეს უზარმაზარი ქვები და წვიმაში, ქარში, სიცხესა თუ ავდარში ამოეყვანა სალო-ცავის კედელი, რომელსაც დანაოჭებული შუბ-

ლით მიყრდნობოდა მამა ეფრემი და ჩაცვენილ თვალებში, საიდანაც ჩატანჯი, ნაწამები კაცის მზერა კროვდა, ცრემლი უბრწყინავდა. მისი სახლი იწვოდა. იფერფლებოდა მოძღვრის სახლში დაბრძანებული ხატები... სამაგიეროდ, შორს, ისეთ ადგილზე, სადაც ფქხიც არ დაედგათ ბოლშევიკებს, სალოცავი ეპოვა მამა ეფრემს.

\* \* \*

სალოცავის გუმბათიდან ჯვარი ჩამოხსნეს, ტაძარში ხორბალი დაყარეს, მამა ეფრემი სოფლიდან გააქციეს, რომელიც, როგორც ბოლშევიკებმა დაარჩიეს ხმა, სადღაც დევნილი და მიუსაფარი, უპატრონოდ, უზიარებლად მოკედა. ლოცვის ნაცვლად ჭარხლის გასათოხნად მიდიოდა ყოველ კვირადღეს ხალხი, რომელიც ბედლად გადაქცეული ეკლესიისაკენ აღარც იხედებოდა. სხვანაირი ცხოვრება დაიწყო. ისეთი ცხოვრება, როგორც ბენიამინს და მის თანამოაზრებს მოსწონდათ, რომლებმაც გაპულაკებული გიგას სახლის წინ, პარტიის კუთვნილება რო გახდა, პროლეტარიატის ბელადის ძეგლი დადგეს. ეკლესიის როლს ახლა ლენინის ყელმოღერებული, ქვაში გამოქანდაკებული თავი ასრულებდა. ძეგლთან ხშირად იკრიბებოდნენ იქაურები. ერთი ხანობა პარტიული კრებების ჩატარებაც იქ დაიწყეს ბოლშევიკებმა. დია ცის ქვეშ, ლენინის

ბიუსტის წინ შეკრებილ თანასოფლელებს პარტიის მიღწევებზე და რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლების შესახებ ესაუბრებოდნენ. ხალხი კი იდგა, შესცემროდა ლენინს და ენადგაპრეფილ პარტიის აქტივისტებს. ხალხს ადარ სწყინდებოდა მათი ცქერა. ყველაფერმა შეჩვევა იცის. დილით და საღამოს ლენინის ბიუსტს თემის აღმასკომის დამლაგებელი თინა უვლიდა. ბიუსტს მტვერსა და ყვავების თუ ონავარი ჩიტების სკინტლს აცლიდა, რომლებიც თითქო თინას ჯიბრზე იქცეოდნენ. თინაც იდგა და მურმურებდა. ოდონდ ჩუმად, თავისთვის გამოოქვამდა საყვედურს.

— ეს ვიღას მოაფიქრდა, ჩემს ჭირად მოიტანეს, ჯამაგირი მაინც გაეზარდათ, ან ეს უპატრონო ყვავებიც რადა ამას დასტრიალებენ, თითქოს სხვა ადგილი ვერ ნახეს. მალე სხვა თავსატეხიც გაუჩნდა დამლაგებელს. ერთ დილითაც, სანამ სოფელი გაიღვიძებდა, თინა თემის აღმასკომის შენობაში მივიდა და ის იყო ცოცხი აიღო, რო უცბად ლენინის ქანდაკებისკენ გაექცა თვალი. გაოცების თუ შიშის ნიშნად სახე მოეღრიცა და ლოფაზე შემოირტყა ხელი. როგორც ჩანს, ვიღაც ესტუმრა დამთ ლენინის ძეგლს, ზედ აბობდება და ქვის თავზე მოასკორა. თინა ახლოს მივიდა. ჯერ იფიქრა, რო თავმჯდომარესთან წასულიყო და ყველაფერი ეთქვა, წა-

ბილწული ძეგლი ეჩვენებინა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. იქნებ ჯობია, რო არ გავახმოვანო. ჩემს ენაზე ვიდაცა შეიძლება დაიჭირონ და სამუდამოდ დაიღუპოსო, ადგა და მოსკორილი აქანდაზით გადაფხიკა ლენინის თავიდან. თუმცა ეს ამბავი ამით არ დასრულებულია. სადამოს გადარეცხილი-გასუფთავებული ლენინი დატოვა თინამ, იატაკმოკრიალებული შენობა გამოკეტა და დიდინ-ლიდინით სახლში წავიდა, თუმცა მეორე დილით იგივე სურათი დახვდა. ამჯერად ლენინის თავზე გამოჭიმული სიბიძერის დანახვაზე ლოფაზე ხელი აღარ შემოურტყამს, მაგრამ გაოცებისაგან ყბა ჩამოუვარდა და და გვარიანად ამოიზმუქუნა.

— მეტი არაფერი გააკეთოს ამის გამკეთებელმა, მიწამ უყოს პირი და მეიდანმა. თფუი, კაცივით გადააფურთხა თინამ. მაშინ იმას ნამუსი აქვს? როდემდე უნდა ვხვეტო ვიდაცის ნაქნავი, მიწამ შეუჭამოს და გამოუხრას... რა ვქნა? დაველოდები, მოვა ბენიამინი და ვაჩვენებ, მერე გააკეთოს კიდე ვიდაც არის. გააციმბირებენ და უყაროს კაკალი. — გაიფიქრა დამლაგებელმა, მაგრამ გულმა ვერ მოუთმინა, მცირე ხნის შემდეგ აიღო ცოცხი და ისევ გადმოასუფთავა. შეიძლება ვიდაც უდანაშაულო ადამიანი დასაჯონ და რადა მედავიდო მისი ცოდვა. რეცხავდა ლენინის ბიუსტს, თან ზიზღით უსგამდა ნაჭერს ქვის თავზე.

მესამე დღესაც იგივე განმეორდა. თინამ, ვიდრე გიგასეულ სახლთან მივიღოდა, შორიდანგვე გახელა ძეგლს, ქვის ქანდაკებას ქუდივით შეამჩნია და ძეგლისაკენ წყველა-კრულვით გაექანა.

— არა, მეტს ვედარ მოვითმენ, ვიდაცამ რო შემამჩნიოს, გამოდის, ვხედავ და ვმალავ, მერე მე დამრჩება ციმბირი აქეთ, ამიტომ ჯობია ყველაფერი ვთქვა. ადგა და ბენიამინ-თან მივიღო. თავმჯდომარე წინა დღეს დუშეთში დამკომის რაზმის განადგურების აღსანიშნავად გვარიანად დამთვრალიყო თავის თანამებრძოლებთან ერთად და დამლაგებელს მთქნარება-მთქნარებით უსმენდა. ჯერ ვერ მიხედა, თინა რას უყვებოდა. ბოლოს კი ნაბახუსევობაც გადაავიწყდა, ბოლშევიკების მიერ დამკომელებზე მოპოვებული წარმატებაც და ფეხზე წამოიჭრა.

— აბესალომ! აბესალომ! — კოჭლი ბოლშევიკი რამდენიმე წამში შემოჩდახუნდა.

— მოყევი, — თვალები დაურბიალა დამლაგებელს ბენიამინა.

თინას ფერი წასვლოდა, „იქნებ ავჩქარდი და არც უნდა მეთქვა, იმ სიბინძურის წმენდა მერჩივნა ამათი რისხევის დატეხვასა“.

პირი უშრებოდა, უკბილო ბაგები უცახცახებდა. თინა მეორედ მოჰყვა, რაც ხდებოდა ლენინის ძეგლთან დაკავშირებით.

— პარტია წაგვიბილწეს, დირსებაზე ფქი  
დაგვიბიჯეს, რევოლუციას ტალახი ესროლეს.  
— ყვიროდა ბენიამინი, მაგრამ პარტიის დირსე-  
ბაზე მეტად ის აშინებდა, რო ეს საჩოთირო  
ამბავი მაზრის ხელმძღვანელობას არ  
გაეგო. ამიტომ გადაწყვიტა, რო არ  
გაეხმაურებინა. ოთახში რამდენჯერმე  
ნერვიულად გაიარ-გამოიარა, მერე მაგიდას  
მიუჯდა და აბესალომს და თინას ხელით  
ანიშნა, დასხედითო.

— მე ეფიქრობ, რომ ძეგლს დარაჯები უნდა  
მივუჩინოთ და დამნაშავე ხელში ჩავიგდოთ.  
თუმცა ეს ამბავი რომ სოფელს მოედოს, დამ-  
ნაშავის პოვნა გაგვიჭირდება. ამიტომ, რაც მო-  
ხდა, არ უნდა გახმიანდეს. შენ კრინტი არავის-  
თან დაძრა, თინას თვალები დაუბრიალა,  
ძეგლს მე და აბესალომი ამაღამ  
ვუყარაულებთ.

თინა ოთახიდან გაიზუზა. გულში ისევ იმას  
ფიქრობდა, „არ უნდა მეთქვა, მეხი ლენინსაც  
დასცემია და იმის „გამპატიოსნებელსაცა”,  
წყალი ხომ მუქთაა, გადარეცხვას რაღა  
უნდოდა...”

შუაღამე გადავიდა. ბებერი ჭადრების  
ზოლიდან ზანტად, მთქნარება-მთქნარებით  
ამოქრა უსიცოცხლო, მიბუუტული მოვარე,  
მაგრამ მკრთალი შუქი მაინც გაიმეტა მი-  
წისოვის და გიგასეული სახლის ეზოც ოდნავ  
განათდა, სადაც ლენინის ძეგლი იდგა. სახ-

ლის გვერდით, გიგას ხელით შეკრული ხის  
ფარდულის უკან, ბანიამინი და აბესალომი  
დამალულიყვნენ და ბოლშევიკთა ბელადის  
წამბილწელის გამოჩენას მოუთმენლად ელო-  
დებოდნენ. მაუზერები ფეხზე შეეყენებინათ. ბე-  
ნიამინი დამნაშავის ადგილზე დახვრეტის ფიქ-  
რობდა, მაგრამ დამნაშავე არ ჩანდა. მთვარე  
ღრუბელში გაეხვია. სოფელში ისევ წყვდიადი  
ჩამოწვა. იდგნენ და ელოდნენ ბენიამინი და  
აბესალომი. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. და-  
მეს ტეხნიკ მოუსვენარი ქოფაკები და ერთ-  
მანეთს ყეფით ახსენებდნენ თავს. მერე დამეც  
დაბერდა, სოფლის ყველაზე ყოჩაღმა მამალ-  
მაც დაიყივლა და თანდათან ცაც გაღიავდა,  
დილასთან შესაგებებლად მოემზადა.

დილით ბენიამინი ბოლთას სცემდა თავის  
ოთახში. გვერდით აბესალომი უდგა. თითქო  
უხაროდა, რო წუხანდელ დამეს არავინ გა-  
მოხნდა, „ვინ იცის, თინას იქნებ მოეჩვენა  
კიდეც”, მაგრამ მეორე მხრივ, გულში  
უცნაურად გაეხლართა შიში, ტყუილს როგორ  
გაბერდავდა დამლაგებელი. ე.ი. ბოლშევიკებს  
მტერი ჰყავდათ სოფელში და თან ისეთი  
მტერი, რო შეიძლებოდა თემის აღამსკომის  
თაგმჯდომარისათვის სამუდამოდ შეებლალა  
პარტიის მესვეურთა წინაშე სახელი.

— ამაზე მეტი მასხარად აგდება რა გინდა,  
სოფლის და ქვეყნის თავკაცები ჩვენ ვართ და  
ვიდაც მაიმუნი ასეთ დღეში გვაგდებს, რა უნ-

და ვქნათ? – იყითხა და ლამის ულვაში მოიგ-ლიჯა. მერე ისევ თვითონ გასცა თავის შე-კითხვას პასუხი.

– უნდა დავსხდეთ და დაველოდოთ.

მეორე დღეს ისევ ჩამოუვარდა ყბა დამლა-გბებლ თინას და ახლა ლამის მთელ უბანს ესმოდა მისი ხმამაღალი წყევლა.

– ამის ხნისა არ მოიყაროს (თუმცა არც იცოდა, ლენინი რამდენი წლის იყო), ამის სა-ხისები დაეხოცოს, – და რა ვიცი, კიდევ სარ-თულებიანი წყევლა იცოდა თინამ.

სიბირმურე ხელუხლებელი დატოვა და ბენი-ამინს დაელოდა. რადა უნდა დაემალათ, მთელი ხალხი, ვინც კი ოქმის აღმასკომში იყო დასაქმებული, ლენინის დასკორილი ბიუსტის ირგვლივ იყო შემოხროვილი. უყურებდნენ მდიმარი ბელადის ყელმოყერებულ თავს, რომელიც თითქოს მათ მიმართავდა, მათ მოძღვრავდა. ბენიამინს ლამის თვალები გადმოსცვენოდა, სისხლმოწოლილი სახე გამოსკომას ჰქონდა. შეკრებილმა ბოლშევიკებმა ახლა იმაზე დაიწყეს ბჭობა, რა ასაქის ადამიანის მოსაქმელი იყო. ზოგი ამბობდა, რო შეუხნის მამაკაცისააო, ზოგი ამბობდა, ახალგაზრდა ბიჭის გაპეოუბულიაო, ზოგი ამბობდა, შეიძლება ბაგშემაც გააკეთო, მაგრამ ვიღაც არ ეთანხმებოდა, როდის იყო ბალდი ამოდენასა შვრებოდაო.

ბენიამინი იდგა და მგლის თვალებით უმ-ზერდა პარტიის აქტივისტებს. ლენინის ძეგლ-ზე მოსაქმელი გერ გაუგიათ ამ უპატრონოებს ამათა და ესენი რევოლუციის მონაპოვარს შე-ინახავენ. აქტივისტებს თავი ჩაედუნათ და ხმას გერ იღებდნენ. ბოლოს ისევ აბესალომმა გაბუ-და სიტყვის თქმა.

– მე მომანდე ეგ საქმე და კაცი არ ვიყო, თუ ამის ჩამდენის ლეში ძაღლებს არ დავა-ჯიჯინონო. – ბენიამინს აღარაფერი უთქვამს. წავიდა და აბუზულმა ბოლშევიკებმაც საწყა-ლი მზერა გააყოლეს.

– მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, თქვენ თუ ცხვირიდან ბოლი არ გადინოთ, კაცი არ ვიყო,

– ფიქრობდა ხელისბიჭებზე გულმოსული თავმჯდომარე.

\* \* \*

– თთავი მოოომჭერი, თუ მააართალი არ ვიყო.

– ჩეემი თვალით...

– სად დაინახე? – მოუთმენლად ჰკითხა თაღრიას აბესალომმა.

თაღრიამ ჭუჭყიანი, ჩაგოზილი კისერი მო-იფხანა.

– ჰა, გამოყა ენა, შე უპატრონო შენა.

– ვვგ·

აბესალომმა გამეტებით ჩაუტყაპუნა თავში თაღრიას.

- რით ვედარ ამოთქვი?
- შალვა იყო.
- რომელი შალვა?
- ბბესარიონის ბიჭი, — ახლა უფრო ადვილად წარმოსთქვა, თითქო აბესალომის შიშმა ენა ამოადგმევინა.
- მეღორე ბესარიონისა? — ჩაეძია ხეიბარი ბოლშევიკი.
- თაღრიამ თავი დაუქნია.
- სადა ნახე? — აბესალომს სისხლით აევსო თვალები.
- იქქა, გიგააანთკენ დაავინახე. რაამდენჯერმე დაავინახე.
- აბესალომი ჩაფიქრდა. მეღორე ბესარიონის ბიჭი დაუდგა თვალშინი.
- ხედავ მაგასა, — ჩაილაპარაკა, — ჩიტირეკია შალვა დდედადამ ჩიტებს დასდევს და ამას ვინ მოიფიქრებდა, თუ მაგას გაბედავდა, — კბილები დაახრჭიალდა აბესალომმა, — ეგ მაგის მამფიქრებელი არ არი...
- მეღდღორეს გაგულიანებულია. — წვრილი თვალები მოწერდა თაღრიამ.
- შენ რა იცი, რო მისი გაგულიანებულია, მეღორე ამას ვერ გაგვიბედავდა.
- მეღდღორეც შაქროს კაცია, ერთი კუდები აქვთ, — ისევ გამართულად ალაპარაკდა თაღრიამ— რრრრევოლუციას აგინებდა, დათიას იცოდებდა. ეგენი რა ხალხი არიანო, მაგათი დედა მაააააგათიო, რაც მმმმბათ ხალხის სი-

სხლი ადევთ კისერზეო, ლენინსაც შეაგინა, მაგან დაღუპა ხალხიო, ნიკოლოზის ოჯახი ამოწყვიტა.

— მეღორემა კაცო? — გაოცებისგან პირი დააღო აბესალომმა და ახალგაზრდა ბოლშევიკების მისამართით შეიგინა.

— თავმჯდომარისაგან უარესი ლანძღვის ღირსი ვარ, ეს ღოყლაპიები რო მხარში ამოვიყენე, ხედავ შენა კაცო.

— მეღორემა თქვა? — ისევ ჩაეძია თაღრიამ.

— ჰო, მაგ სუუულდაღლმა მაგანა. — თაღრიამ აბესალომს თვალებში შეაჩერდა.

— ალლლლალია მაგათზე ცხელი ტყვია.

აბესალომს აღარაფერი უთქვამს. ღორღიან დაღმართზე ჩლახუნით დაეშვა.

\* \* \*

ახალი შედამებული იყო, ჩვილი მთვარე კრიალებდა. ჭალაში ერთიმეორის ხმაშეწყობით კოდნენ ჭოტები. პეტრეს ნაწისქვილართან შეკრიბა ბოლშევიკები აბესალომმა.

უველანი აქა ხართ? — გადახედა აბესალომმა მაუზერიან თანაპარტიელებს.

— აქა ვართ, — უველას მაგივრად უპასუხა ვანომ.

— ცოტაც მოვიცადოთ და წავიდეთ.

მთვარეს ახედა აბესალომმა.

სხვებმაც ახედეს.

ნაწისქვილართან მცირე ხანს იყურყუტეს. სისხლმოწყურებულები მოუსვენრად ტკეპნიდნენ ერთ ადგილს. მედორე ბესარიონის ოჯახის ამოწყვეტა ჰქონდათ აბესალომისაგან ნაბრძანები.

ბოლოს, ლოდინი რო მოსწყინდათ, აბესალომმა თქვა: წავედითო და ვანო, ანდრო და ლადა და კიდევ ორი ახალბედა ბოლშევიკი, გაბო და ილო, რომლებიც ბესარიონის ვაჟის, შალვას თანატოლები იყვნენ, აბესალომს უკან მიჰყვნენ.

ბესარიონის ძაღლმა ეზოში გადამხტარი ლანდების ხილვაზე ყევა ატეხა, მაგრამ მედორეს ქოფაკის ხმა უცბად შეწყდა, ბოლშევიკებმა ჯერ ძაღლს დაახალეს, მერე კი ოთახის კარი წიხლით შეანგრიეს და ცოდვის კალდაატრიალეს – ჯერ ბესარიონი ჩაცხრილეს, მერე მისი ცოლ-შვილი. აბესალომი სისხლის ტბორში მცურავ ცხედრებს დასცექროდა. მერე მაუზერი დაუმიზნა და თვალდია დარჩენილ შალვას ზედიზედ ესროლა.

გაბო და ილო აბესალომს თვალებში შეციცინებდნენ.

„პირველი მე ვესროლე“, – ფიქრობდა გაბო.

„შალვა მე მოვპალი, დაინახა აბესალომმა“, – ფიქრობდა ილო.

მთვარე ბესარიონის უსიცოცხლო არემარეს დასცექროდა.

აბესალომმა დამის მნათობს ბოლმიანი მზე-რით აპხედა.

– აღარ ჩაგიდა ეს უპატრონო, ესა, – ჩაილაპარაკა და მედორის ეზოდან ჩლახუნით გამოემართა.

\* \* \*

– მალე. – შებდვირა მალხაზამ.

შაქრომ ცრემლებმოწოდილი თვალებით შეხედა მეზობელს.

– რა გეჩქარება, შე დალოცვილო.

– შენ რო არ გეჩქარება, ჩვენ გვეჩქარება. – შაქრო ისევ საწყალი თვალებით შეაცქერდა მალხაზას და ფიქრებში წავიდა....

– შაქრო ძია, შაქრო ძია.

– ჰოოო.

– გვიშველე რამე, შაქრო ძია, – ცრემლები დაპალუპით მოხდიოდა მალხაზას და გამურულ სახეზე მღვრიე წყალივით იკვალავდა გზას. ბიჭი გულამომჯდარი სლუკუნებდა.

– რა იყო, შეილო? – პკითხა შაქრომ.

– ვარდენამ ძროხა წაგვართვა, შაქრო ძია.

– როგორ თუ წაგვართვა, – სახეზე ღრუბელი წამოადგა შაქროს.

– წაგვართვა, – ძლივს მოითქვა სული მალხაზამ. – ჩვენს ჯერზე ნახირში გამოაგდო ძროხა, გაიძერა და ჩვენ დაგვატრალა, გვიშველე რამე, შაქრო ძია.

— აბა ერთი უყურე მაგ მუდრეებსა, ან ობლის შებრალება არ იცის, ან გაჭირვებულისა...

მამასახლისმა ბალლი დამშვიდა, მიუფერა, ხელი ჩაჰკიდა.

— წამო ერთი აბა!

ვარდენამ თვალი მოჰკრა თუ არა შაქროს, თავის მართლებით შეეგება. — იმისთანა ძროხა მამიკლეს, მაგ ვერნებმა და კიდევ დიდი გული აქვთ?

შაქრომ თვალები დაუბრიალა.

— სად წაიყვანე ძროხა?

— აგე, ძია შაქრო, ჩვენი ძროხა, — მალხაზამ თუთაზე გამობმულ ნიშა ფურისკენ მიანიშნა.

— მიდი აუშვი, — შაქრომ ბიჭს ძროხისკენ მიანიშნა.

ვარდენას ხმა აღარ ამოუდია. შაქრო ისეთი თვალებით უმზერდა, ვეღარ გაუძლო და იქაურობას გაერიდა.

ისევ შეხედა შაქრომ მალხაზას. არა, ახლა სულ სხვა ადამიანი იდგა მის წინ, თითქო სული გამოცვალათ. ერთი მისხალი მადლი არ შერჩენოდა ახალგაზრდა კაცს. ერთიანად გაციებულიყო.

— არ მოდის, — მეგობრების გასაგონად ჩაიბუტბუტა მალხაზამ.

— როგორ თუ არ მოდის, — შაქროს ბოლშევიკები შემოეხვივნენ.

შაქრომ ერთი მძიმედ ამოისუნოქა და ცოლს გასძახა.

— მართაა!

მართამ დაოსებული თვალებით გამოხედა.

— წაგედით, მართა.

— თებრონე, გულწორა, მირანდა...

მირანდა არ ჩანდა.

— სად წავიდა ბაგშვი, მირანდა.

მირანდა ერდოზე იდგა, გზას გადასცექეროდა და ცხელი კურცხალი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ბედინერი სიზმარივით გამქრალიყო უველავერი, თითქო მოჩვენება იყო, უცბად გაიღვა, როგორც კუნაპეტ ღამეში ცის კაბადონზე მოწყვეტილმა ვარსკვლავმა და უცბადვე ჩაქრა, ისე ჩაქრა, რო ხეირიანად ვერც მოასწრო თვალი შეევლო, კარგად დაეწახა, მაგრამ იქნებ ამას უფრო ჰქონდა ეშხი, დაბერებული უდიმდამო ვარსკვლავის ცქერას ხანდახან მოწყვეტილი, ცაზე ჩაქროლილი მნათობის დანახვა ჯობია, ისევე როგორც სინამდვილე, როგორი ბედინერებით სავსეც არ უნდა იყოს, ვერაფრით ვერ შეედრება ოცნებას. იქნებ უკანასკნელად მოსულიყო, უკანასკნელად მიპფრებოდა, თავის გულის სწორს. ამიტომაც იდგა ქანდაკებად გადაქცეული და გზას გასცექეროდა.

— კახაბერ, კახაბერ... — ჩურჩულებდა, თავისთვის ჩურჩულებდა.

— მირანდა.

დედის ხმა მოესმა.

ცოტა ხანში ესენი წალეპავენ აქაურობას, ქვას ქვაზე აღარ დატოვებენ, ესენი ხორცშესხმული ეშმაკები არიან, რაც არ უნდა აფათურო ამათ სულში ხელები, მადლის მარცვალსაც ვერ იპოვო.

მასახლებენ, განა რა დაგაშავე ამისთანა, ახია ჩემზე, რაღა არ დამაბრალეს, რაღა არ გამხადეს. მართლა აღარ ყოფილა სამართალი. მეგონა, ერთს მაინც ეყოფოდა გამბედაობა, ერთს მაინც დავენანებოდი, მაგრამ აბა შეხედე, ასეთ ხალხთან ცხოვრებას სიკვდილი კი გირჩევნია. ჯალაბს გახედა, უკან მოსდევდნენ, ბოლჩაგამოკრულები ქვითინით მიაბიჯებდნენ. ერთი-ორჯერ დატუქსა ქალ-ბალდი, მაგრამ გრძნობდა, რო თვითონაც სევდა მორქოდა და ტირილი უნდოდა. რამდენჯერმე შედგა, უკან მოიხედა, სოფელს დააკვირდა, მკვდარ სოფელს, სადაც ადამიანები კი რჩქოდნენ, მაგრამ მაინც მკვდარი იყო. ეკლესიაც დაინახა, დახურული ეკლესია, ჯვარჩამოსსხილი ეკლესია. პირჯვარი ისახა.

რკინიგზის ბაქნამდე ბარე ოცი კილომეტრი იყო და ფეხით უნდა ევლოთ. მერე მატარებლის ვაგონებში ჩასხამდნენ და მოუსავლეთის გზას დააყენებდნენ.

გულს ბოლმა უჭამდა, მაგრამ რა ექნა, უხორებლის შაშხანიანი ბოლშევიკები მოსდევდნენ შაქროს ჯალაბს. ძალაც ამათ სულშია და სამართალიცა.

მცირე ხანს შედგა, ხელსახოცი ამოიდო, ჩაიმუხლა, მიწა ხელის კანკალით მოხვეტა და ჩითის ხელსახოცში გამოკრა.

მერე წამოდგა და ნადვერდლიანი თვალებით შეხედა თანასოფლელ ბოლშევიკებს. შაშხანიანი მალხაზა შაქროსთან მივიღა და ხელსახოცში გამოკრული მიწა გამოსტაცა.

— გულზე დასაყრელი მიწა მაინც დამიტოვეთ, თქვე უდმერთოებო, თქვენა, ადამიანები არა ხართ?

— მიწის მეტი რა გექნება, რამდენიც გინდა, იმდენი დაიყარე, — ჩაიცინა მალხაზამ.

შაქროს სიმწრისაგან ცრემლები წამოუვიდა. ჯერ ჯალაბს გადახედა, მერე იარაღ-მომარჯვებულ ბოლშევიკებს, სათითაოდ დააკვირდა და მალხაზას გამგელებული ეცა ყელში, მალხაზამ ხრიალი დაიწყო, თვალები ლამის ფოსოებიდან ამოუცვიდა, მაგრამ შაქრომ მისი დახრჩობა ვერ მოასწრო, შაშხანების ხმამ გადაუარა სოფლის სანახებს. ბოლშევიკებმა შაქროც და მისი ოჯახიც თვალის დახამხამებაში ამოხოცეს.

„შაქრო ეგინაძე, სოფლის ყოფილი მამასახლისი, მხილებული იყო კონტრრევოლუციურ საქმიანობაში, პქონდა ფარული კავშირი მენშევიკურ ძალებთან. თემის აღმასკომის გადაწყვეტილებით ეგინაძეს და მის ოჯახს გამოუტანეს სოფლიდან გასახლების განაჩენი, ეგინა-

ძე და მისი ოჯახის წევრები დახვრეტილნი არიან გაქცევის მცდელობისას“.

\* \* \*

ვეღარ იძინებს ბენიამინი. მოსვენება დაკარგა. რაღაც უცნაური ხმები ჩაესმის. თითქო ვეჟება დოლებს ჯოხებს ურტყამენ და დოლის ხმასთან ერთად საშინელი ჭყივილის ხმა ისმის. ეს ჭყივილი სახოწარკვეთილი ადამიანების გოდებაში გადადის. წამოხტება, ყალიონს გამართავს, გააბოლებს. აიგანზე დაბიჯებს ეგრე ბოლოის ცემით. გაუყვება და გამოუყვება, ხან მინარე სოფელს გადახედავს, უველას სძინავს, უველა სიზმრებშია, ალბათ ბოლშევიკებსაც სძინავთ, აბესალომს, მალხაზას, გაბოს, ილოს, თუმცა, არა მგონია მათ ეძინოთ, ისინი ხვალის გეგმებს აწყობენ. რამდენი მტერი ჰყავს რევოლუციას, ისინი დღე და ღამე ფიქრობენ, რო როგორმე რევანში აგვიღონ. ბენიამინი ვერ ისვენებს. ყალიონში თამბაქო ჩაიფერფლება, სახლში შეაბიჯებს, ჩაწვება, ლოგინში გაიყურსება, თვალს დახუჭავს, მაინც არ ეპარება ძილი, ისევ ის ხმები, ახლა უფრო ძლიერად აბრახუნებენ დოლებს, წივილ-კივილი ესმის, ვიღაცას აწამებენ, ვიღაცას მისდევენ, ვიღაცას ხვრებენ, სუნიც ახრჩობს, ადგება და ფანჯრებს გამოაღებს. ენკენისთვის ნიავი შემოვარდება ოთახში, უველა კუთხეს მოირბენს, თითქო

განიავდება, მაგრამ სისხლის სუნი მაინც დგას. უველაზე საშინელი სუნი. ეჩვენება, რო გება კასრი დგას, სისხლით საგსე კასრი და იქიდან მოდის ეს საშინელი ოხშივარი. რა მომდის, რა მემართება. ისევ წამოდგება, ჭრაქს აანოებს, გაივლ-გამოივლის ოთახში. არც კასრი დგას და არც არაფერი. მეჩვენება, დაღლილობის ბრალია, კიდვეაც კარგათა ვარ, ამდენი საქმე, ამდენი უჯიშო ადამიანების ცქერას ეხუმრები? რევულუციის მტრები, ერთი სული აქვთ, როდის იყრიან ჩემზე ჯავრს. ამ ბორიალში მამლის პირველი ყივილი დაფრთხობს დამეს. ისევ ჩაწვება, ისევ მილულავს თვალებს, ახლა ლენინის დასკორილი ძეგლი წამოტივტივდება, ჰმ, რა უქნეს ბელადს, როგორ საქვეენოდ მომჭრეს თავი, მაგრამ ხომ არ შერჩათ, დედაბუდიანად გაწყვიტა აბესალომმა, რო არ გაეწყვიტა, სხვები უარესს იზამდნენ, ხანდახან სიკეთეზე მეტად ბოროტება უფრო წამლად ედება ხალხს. ეგრეა, ბენიამინ. ეხლა ვეღარავინ შეეხება ლენინის ძეგლს.

ძილი მაინც არ ჩანს. მეორედ დაიყივლებს მამალი. სადაცაა გათენდება. ახლა მამა ეცრემი აეკიატა თემის ხელმძღვანელს. უკ, ეგ წვერძალლი ეგა, თუმცა სადღა აქვს წვერი. როგორ გაუჩინარდა, ხმა დაყარეს მოკვდაო, მაგრამ მაგის მოდგმას კარგად ვიცნობ, ეგ ებრე ადვილად არ მოკვდებოდა, სადმე იქნება მიმალული. გამორიცხული არც ის არის, თანა-

სოფლელებთან ფარული კავშირიცა პქონდეს მაგ ჩასაძაღლებელს, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა მოვაძებინო, ეს დოკლაპიები ესენი. კარგად ვერ ეძებეს, თორემ სად წაუვიდოდათ. ეფრემის სახე გაუჩინარდება და ახლა ჯვარჩამოსნილი ეკლესია აღიმართება, დაკეტილი ეკლესია, სადაც რა ხანია აღარც ზარი ჩამორეკილა, აღარც წირვა ჩატარებულა. ბედლადქცეულ ტაძარში მარტო ხორბლის გამოსახანად თუ შედიან. გუმბათიდან მაცხოვრის გამწყრალი სახე უმზერს ბენიამინს. კაცობრიობის მხსნელი კუშტი იერით უყურებს - რამ ჩამოგახსნევინა ჯვარი, რამ დაგაპეტინა სალოცავი. სული როგორ გაწირე. შეილები მაინც შეგცოდებოდა, შვილები...

\* \* \*

ფეხზე წამოხტა ბენიამინი. თვალისდახამხა- მებაში ჩაიცვა, ქამარი გზადაგზა შემოიჭირა, მაუზერი გაირჭო და კიბეზე დაეშვა.

ვეება გუმბათს შემოაცვდა კუნაპეტი დამის ქსოვილი. დილის ნათელი ეფინებოდა სო- ფელს. რიგრიგობით ყორდნებ მამლები. დღის დაბადებას ულოცავდნენ ერთმანეთს.

ბენიამინმა ეკლესიის კარი შეაღო და სა- ლოცავში შლეგიანივთ შეიჭრა, ხორბლის გროვას გადაწყდა და ორიოდე კვირის წინ დაყრიც მარცვალში პირქვე წაემხო. წამოდგა,

გვეხი გაჰკრა. ხორბლის გროვას გვერდი აუქ- ცია და საკურთხეველს მიაშურა.

ამბიონთან შედგა. გუმბათს აჲხედა და მაუ- ზერი ამოიღო.

- არ გაძედო, არ გაძედო - მეთქი, - აქეთ იქით გაგქცა მზერა ბენიამინს. მამა ეფრემის ხმა იყო.

- რომელი ხარ?

ტაძარში იმქვეყნიური მდუმარება სუვერენი.

- რომელი ხარ? - ისევ დაიყვირა.

- მომეჩენა. სულ ის ჩასაძაღლებელი მღვდე- ლი მელანდება, - ჩაიღაპარაკა. გუმბათს მი- აშერდა, საიდანაც რამდენიმე საუკუნის წინ ხელგაწაფული მხატვრის მადლიანი ფუნჯით დახატული მაცხოვარი უმზერდა. მაუზერი და- უმიზნა და ზედიზედ რამდენჯერმე დაახალა.

მოეჩენა, რო გუმბათიდან სისხლის წვეო- ბი დასდიოდა, სახეზე ხელი მოისვა, სამოსზეც დაიხედა.

- რა მემართება, - გაუწყრა თავს, მაუზერი ქამარში გაირჭო და გამობრუნდა.

\* \* \*

- მამაო, არც კი ვიცი, რა ვთქვა, როგორ გამოვხატო ჩემი სათქმელი, ასე მგონია, ზეზე- ულად ვიხრწები, სული აშმორებული მაქვს, თავის მოკვლა გადაწყვიტე, მაგრამ ალბათ გამბედაობა არ მეყო, ვიცი ვინცა ვარ, რამხე-

ლა ცოდვა მაწევს მეც და ჩემს მოდგმასაც, ეს ცოდვა ძალიან დიდხანს გაგვევება, ვერაფერი წარეცხავს. სხვა გზა არ მქონდა, ისევ თქვენთან მოვედი. იმ სოფელში ვედარ გავჩერდებოდი. გეძებეთ და მაინც გიპოვეთ. შემინდგ, მამაო, გევედრები.

ეფრემმა უსიცოცხლო თვალებით აჭხედა კახაბერს, თითქო თვალებს არ უჯერებდა. დვთისმგმობელი ბენიამინის ვაჟი აღგა თავს.

წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო, ძველისძველი, ერთ დროს მიტოვებული აელის ნეხტიან კედლებს მოავლო მზერა, მერე თვალები დახუჭა და ქვითინი აუვარდა.

კახაბერმა მუხლი მოიყარა, მამა ეფრემის დამჭერა ხელს ეამბორა და თვითონაც ქალკით ატირდა. აქ, დავრჩები მამაო, გევედრები...

\* \* \*

#### ეპილოგივით

— შე კაი კაცო, ფიროსმანის ნახატები არა ღირს მაგდენი და ვისი დახატულია რო...

— მე არ ვიცი ფიროსმანი და რაღაცები. ეს სურათი უფრო მეტიც მიღირს, მაგრამ... შენ ეხლა ეველაფერს ვერ აგიხსნი. გინდა იყიდე, გინდა ნუ იყიდი.

— სულ ვერაფერს დააკლებ? ცოტა მაინც დამიკელი, შე კაი კაცო.

— ვერა - მეთქი, — გაკრიჭა კბილები კალებ და თანასოფლელ ბიჭზე, ვანკაანთ გოჩაზე გული მოუვიდა, — რაც მაიმუნი თვითონ არი, ის მაიმუნი კლიენტი მამიუგანა.

ერთი დარღიანად გამოარტყა სიგარეტს და სტალინის პორტრეტისკენ გაექცა თვალი.

— მე კაცი ვარ? თუუი, ჩემი სიძის გადამკიდეს რაზე დამიდგა საქმე, კაცი ვიყა, ქუდი მეხურა, ქალაქელი მხატვარი დავიქირავე, ჩამოვიყენე, ძლივძლივობით დავითანხმე ის ჩემისა, რო სტალინი დამეხატვინებინა, როგორა ფშიკამდა მერე ფეხებსა, არაო, სხვას რასაც მეტყვი, დავხატავ, მარა ამას ვერაო. მორჩა და გათავდაო. სხვა რა უნდა დამიხატო, სტალინის გარდა ყველაფერი ფეხებზე მკიდია - მეთქი. მაინც არა შერებოდა, თურმე ისე ჯაგრებია სტალინი, ისე, ისე, რომა გაგონებაც არ უნდოდა, პაპაჩემი დახვრიტაო, ესაო, ისაო. ბოლოს მაინც დავიყაბულე, ტკიცინები რო დაგანახე ბალიშის პირიდანა, ტკიცინები ლენინის-თავიანები, იისფერები და მწვანეები, პაპაც დაავიწყდა, გვარიცა და ჯილაგიც. ბარე ორი კვირა ხატავდა. ჩაკეტილი იყო ოთახში და ცხვირს არა ყოფდა. ცოტა ისეთი დამიხატქ, რო მკაცრი სახე პქონდეს სტალინს - მეთქი. ეგ მე ვიცი როგორსაც დავხატავო, მომიგდო ძაღლის ლუქმასავით სიტყვა. გულში

ფიქრობდა: აქ შენი დედა იქ სტალინისაცაო. ორი კვირის თაგზე მორჩა, ორი კვირის თაგზე ჩამაბარა, შეეხედე და ზუსტათა, როგორიც მე მინდოდა სოსოს პორტრეტი, იმის სულს ვენაცვალე, ეგრე დაეხატა, წუნს ვე შეიტანდო. გადავეხივ და ვაკოცე და ცხვირი მიწისეკნ წაიღო. იტყოდი, რო მისი ნახელავი არც იყო. გავსწორდეთო, ფულს მაჩქარებდა.

მოიცა, ჯიგარო, სუფრა გავშალოთ, ბიჭებიც მოვლენ, სტალინი მოვიგონოთ და მერე ფულსაც მოგცემ და გზასაც დაგილოცავ - მეთქი. არაო, კრიჭა შეკრა იმ შობელძაღლმა. ძაან უმი ვინმე ჩანდა. რანაირად დახატა ასეთმა კაცმა სტალინი, გაოცდები. სიკვდილი მერჩია ამის გაყიდვას, სიკვდილი, როცა იმ ქვეყნად წავალ, რა პირით უნდა შევხვდე მამაჩემს, სტალინის გულისთვინ უცხო მიწაში ჩაყარა ძლები, მე კიდე სტალინის სურათსა ვყიდი, კაცი ვარ?

დ. კაც... ნახატის კუთხეში, როგორც სჩვევიათ მხატვრებს, ისე მიეწერა თავისი ვინაობა ქალაქელ მხატვარს. ერთი სიტყვით, ქვა ააგდო და ადარ ჩამოაგდო სტალინის პატრონმა, ერთი კაპიკი რო კაპიკია, იმასაც არ დავაკლებო და სტალინის პორტრეტის საყიდლად მისული ზაქროც ადარ შევაჭრებია, მიხვდა, რა ქვის ნატეხთან ჰქონდა საქმე. ემანდ სულ არ გადაიფიქროს გაყიდვა ამ ოხერ-ტიალმა, ერთი დამთხვეული ვინმე ჩანსო და ჩაიყო უბეში ხელი...

ზაქროს ორი კაცი მიეკვანა სტალინის სურათის წამოსაღებად. იტყოდი, მშობელ მამას მიაცილებს უკანასკნელ გზაზე და ჭირის სუფრის დამკვრელების გამოსასვენებელ მელოდიას ელოდებაო, როცა კარს ჩაკეტავენ ხოლმე ქართლის სოფლებში, რამდენიმე კაცი დარჩება, მიცვალებულს ოთახს მოატარებენ და კარზე საკაცეს სამჯერ მიახეთქებენ. ოთახის წინ გულაჩუყებული ბალდივით იდგა კალე და სადაც იყო, ღვარდვარით წამოუვიდოდა ცრემლები. რამდენი სუფრა გაუშლია სტალინის სურათთან, რამდენი ქიოფი, რამდენი მოლენა, „საქართველომ გამოზარდა სამი სანუკარი შვიილი, რუსთაველი, სააააკაძე და სტალინი ჯულაშვიილი“ - კალეს უმცროსი მეგობარი გეგე მდეროდა ხოლმე. ეს, ცრემლი გადმოეკიდა თვალზე კალეს, საღლა იყო ის დრო, მაშინ რო ვინმეს გაებედნა და ეთქვა: ეუჟ, ჩემო კალე, დრო მოვა და შენი ხელით „გააპრადალებ“ სტალინის სურათსაო, დაუჯერებდა? დაუჯერებდა კი არა, თავისი ხელით გააპანდურებდა სახლიდან, დედას უტირებდა. რა მამაძაღლია ცხოვრება, ფიქრობდა კალე, ხშირად საკუთარი ხელით დაგანგრევინებს იმას, რასაც მთელი ცხოვრება გულმოღვინედ აშენებდი. ოთახიდან ისმოდა ზაქროს მიერ მოყვანილი მუშების ხმა, რომლებმაც ათიოდე წუთში დააცარიელეს ის კედელი, რომელიც სამი ათეული წელი უკავა

პროლეტარიატის დიდ ბელადს. მერე ნახატი აწიქს და ციმციმ გაიტანეს კალეს სახლიდან. კალე ცრემლიანი თვალებით მიაცილებდა სტალინს და ეზიზდებოდა საკუთარი თავი. ჯიბეში, სადაც ზაქროს მიერ მითვლილი ფული ედო, იტყოდი, რო ცეცხლი ეპიდა, იტყოდი, რო თცდათი ვერცხლი ედო, ისკარიოტელის თცდათი ვერცხლი.

\* \* \*

ეს უკვე მეჩვიდმეტე სურათია, მეჩვიდმეტე უხარის ზაქროს. ბედნიერია ზაქრო. ამდენი სტალინი. ამდენი ბელადი, ამდენი ულვაში, ამდენი ჩიბუხი. უკელაზე მდიდარი კაცი პეტრია თავი. სიმდიდრე მარტო ფული არ არის, სიმდიდრე მარტო სახლები არ არის, არც მანქანა და არც აგარაცი. სიმდიდრე... ამას ბევრი ვერ გაიგებს და არც არის საჭირო რო გაიგოს. ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია და არც არი აუცილებელი რო იცოდეს, მერე ხურმაც დაკარგავდა თავის ფასს. ვირი და ხურმა. სტალინი და ვიღაცები.

ადარ დარჩა იმ ქალაქში სტალინის სურათი. საცა ერთი იყო, ყველა იპოვა და იყიდა. ზოგი იაფად, ზოგი ძვირად, მაგრამ ამ საქმეში ფული არ ენანებოდა. უყვარდა სტალინი და მორჩა. უკვე ჩვიდმეტზე ავიდა. სავსეა მისი სახლი სტალინით. აქა-იქდა დარჩა ადგილი და ალბათ ეს ადგილებიც შეივსება.

— არქივში აქვთ სტალინის სურათი და მგრნი ჩამოწერილია, აბა დღეს არქივში რა ჯანდაბად ენდომებათ სურათი, ხო ხედავ, ძეგლიც აიღეს. ძეგლი რო არ უნდათ, სურათი რაღაში დასჭირდებათ — ეუბნება მეზობელი პამლე, რომელიც ყოველდღე სტალინის, ჩამოუგდებს სტალინზე საუბარს, მერე ერთ-ორ ჭიქა არაყს ხუხავს და მიდის. იცის იმ კაცმა, რაზეც უნდა ესაუბროს ზაქროს, რო არაყი დაალევინოს. არქივი, არქივი, არქივი. სულ არქივი უტრიალებდა თავში. ნეტა როგორი სურათი აქვთ. გაყიდიან თუ არა, იქნება არც გაყიდონ. თუ ჩამოწერილია, გაყიდიან. ცდა ბედის მონახევრეაო, — თქვა და წავიდა არქივში.

\* \* \*

მთავარი არქივარიუსი სასტიკ უარზეა. ზაქრო ლამის არის მუხლებზე დაუდგეს ლურჯ-ხალათიან, სათვალიან კაცს, რომელიც სამოცდაათს იქნება გადაცემული და არქივის ყველა საქმე ლამის ზეპირად იცის. სად არის სტალინის სურათი? — ეკითხება ზაქრო.

— სარდაფში გვაქვს შენახული. — ცივად პასუხობს არქივარიუსი.

— შეიძლება რომ ვნახო? — ზაქროს ცნობისწადილით სავსე მზერა სარდაფისკენ მიმავალ კიბეზე ჩარბის.

— არ შეიძლება. — უფრო ცივად პასუხობს ლურჯ ხალათიანი.

— ჩამოწერილიაო...

— ეს ნახატი ერთ-ერთმა მხატვარმა უსახ-სოვრა არქივს დაახლოებით ოცი წლის წინ და დღემდე ის არის არქივის ბალანსზე, კანონი ნახატების, მით უფრო ნაჩუქარი ნახატების ჩამოწერის შესახებ არ არსებობს. ასე რომ ვიღაცამ შეცდომაში შეგიყვანათ. „კი, მაგრამ არც ერთ დაწესებულებაში აღარ ინახავენ სტალინის სურათს, აგერ გუშინ სტალინის ძეგლიც კი აიღეს და არქივს რაღაში სჭირდება, მით უმეტეს, სარდაფში ინახავთ“, — გაიფიქრა ზაქრომ და არქივარიუსი თითქო მის ფიქრებს კითხულობდა.

— საინტერესო საზოგადობაში ვცხოვრობთ, ზოგი დაუინებით ებრძევის სტალინს, ძეგლიც აიღეს და სადღაც გადამალეს, ზოგი კი მის სურათებს აგროვებს. თქვენ გინდოდათ გეთქ-ვათ, რომ როდესაც ქალაქში სტალინის ძეგლი აიღეს, თქვენ რატომ გაქვთ შენახულიო. არქივ-ში ბევრი სხვა რაღაცეებიც ინახება, შეიძლება ის რაღაცეები მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს, მაგრამ არქივი ყველაფერს ინახავს. უცბად ჩა-მოარაკრაკა არქივარიუსმა ისე, რო ზაქროს სათქმელი აღარ დაუტოვა. ზაქრო იდგა და ის-ევ სარდაფის კიბისკენ გაურბოდა თვალი.

— რა გვარი ბრძანდებით? — მოულოდნელად პკითხა ლურჯ ხალათიანმა ზაქროს.

— ეგინაძე! — „გვარი რა ჯანდაბად უნდა ამ ბებერს“.

— ეგინაძე, ეგინაძე, ეგინაძე, — რამდენჯერმე გაიმეორა და მერე ლიმილი დაეფინა გამხდარ, მოყავისფრო სახეზე. ფიქრობდა, ეთქვა თუ არა, თავის თავში ბჭობდა. ბოლოს თოახისკენ წაუძღვა.

— რა უცნაური რამეა ეს წუთისოფელი, — ბუტბუტებს არქივარიუსი, თან ირონიულად ეცინება ვეგბა ულვაშებში.

— იქნებ არც იყოს თქვენთვის საინტერესო, მაგრამ აი, ამ საქმეში ერთ საინტერესო ამბავს წაგაწყდი, — მუქაოს საქალალდე გაშალა ლურჯ-ხალათიანმა, — 1923 წელს სოფელ... გორის მა-ზრაზეა საუბარი, ბოლშევკიურ ხელისუფლებას სოფლიდან გაუსახლებია ყოფილი მამასახლისი შაქრო ეგინაძე თავისი ჯალაბით, შემდეგ კი გზაში, გაქცევის მცდელობის გამო დაუხვრებიათ.

არქივარიუსმა სათვალე მოირგო და თითო ჩაყოლა გაცრეცილ, წითელი მელნიო აჭრე-ლებულ ფურცელს. „შაქრო ეგინაძე, სოფლის ყოფილი მამასახლისი, მხილებული იყო კონტ-რევოლუციურ საქმიანობაში, პქონდა ფარული კავშირი მენშევიკურ ძალებთან, თემის აღმას-კომის გადაწყვეტილებით ეგინაძეს და მის ოჯ-ახს გამოუტანეს სოფლიდან გასახლების განა-

ჩენი, ეგინაძე და მისი ოჯახის წევრები დახვრეტილი არიან გაქცევის მცდელობისას”.

— ზაქრო ეგინაძე, — ბუტბუტებს ზაქრო, — მე ხო იმის მოსახელე ვარ, პაპაჩემის მამა იყო, პაპაჩემს სოლო ერქვა. კი მართალია, თუმცა... მართლა არ ვიცოდი. — დაიბნა, სიტყვებს გეღდარ აგროვებდა. — ვიცოდი, რო რეპრესირებული იყო. პაპაჩემის რეაბილიტაცია მოახდინეს მერე, თუ არ ვცდები 56-ში. — ბუტბუტებდა, ბუტბუტებდა თავისთვის, მაგრამ ლურჯხალათიანმა თითქო ყველაფერი იცოდა, არც უსმენდა. ზაქრომ სკამი გამოწია და ჩამოჯდა.

— შეიძლება ვნახო?

— კი ბატონო, — მუყაოს მოყავისფრო, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფერის მელნით აჭრელებული საქალალდე გაუწოდა. თითქო საკუთარი ოჯახის ტრაგედიას შეეხო თითებით. წითელი მელნით კუთხეში ვიდაცის გაკრული ხელით იყო მიწერილი „გთხოვთ მიიღოთ ცნობად“ დ. ტალ...

„სტალინი, სტალინი, — ფიქრობს ზაქრო. — სტალინის სურათის სანახავად მოვედი და პაპაჩემის დახვრეტის ოქმი კი შემრჩა ხელებში“. უცნაურია ცხოვრება.

## სადაც საფლავი

აექა, სიკა მარხიაა, აქა ვანკაათ გიგუცა, აი, ქვას ხომ მაინცა ხედავ, წარწერა აღარ ეტყობა, მაგრამ თუ დაუკვირდები, წაიკითხავ, აექ, ჩემი პატარა მმა დაკრძალული, ქვა ვერ დავადგით მაშინა, ძაან გვიჰირდა, არც ეხლა ვარ დაალხინებული, მაგრამ მაშინ, ჩვენი მტერი იყოს იმ დღეში, როგორც ვიყაო, წისქვილზე დაიფქვებოდა კაცი, წისქვილზე. სასაფლაო იცვლება, იცვლება და მერე როგორა, როგორც სოფელი იცვლება, ისე სასაფლო იცვლება, აი ხო დაკვირვებისარ, ჩვენი თაობისანი აღარც არავინ არი, მარტო ჩვენდა შევრჩით და ვართ ესე, ძველი დროის ნიშნად. სასაფლაოც ეგრეა. ძველი საფლავები თანდათან იკარგება, თანდათან ხავსის ლუკმა ხდება, ახალი საფლავებით ივხება თანდათან. ამ სახეძაღლმა მაინცადამაიც აქ მოინდომა საფლავის მოზომვა, ვეუბნები, წადი და საცა თქვენი ჯილაგისანი მარხიან, იქით შემოღობე - მეთქი, აქ რა უნდა, ვერ გავიგე. არაო, გინდა თუ არა, ჩვენი ადგილია, პაპაჩემი ლონგეც მანდ არი დამარხული, იმის მამაცა და იმის მამაცაო, ქვა არ ადგიათ არაფერი, რა უნდა გაიგო. ხარბია, ხარბი. აქაცა ხარბობს. რაც იქ დამაკლო მიწიერ სოფელშია, აქ უნდა რო

შემისრულოს. იქაც რეები მიკეთა, ხო გახსოვს, სისხლი გამიშრო. სამნი მიწების ბოლოშია ნერგი არ გამიხარა. მიჯნა ცხრაჯერ გადამიბარა მაგ ოხერტიალმა. რა ადარ ვცადე. ვიფიქრე, მოვრიგდებით, მოურიგებელი ამ ქვეყანაზე რა არი - მეთქი, ვანო წავიყვანე, მღვდლიაანთი, სიტყვაბაჯაღლო კაცია, იქნებ მაგან მაინც მოგვარიგოს - მეთქი. ვანოც ვერაფერს გახდა. რას წაიღებთ ან ერთი, ან მეორე იმქვეყანათ, ვის რა წაუდია, იქნებ მორიგდეთ როგორმეო, გადაგვიზომა, გადმოგვიზომა. თითქო დაშოშმინდა, ნახევარი ნაბიჯის სიგანე ვუფეშქაშე, აგვ, ხო სადაო იყო, ეგეც შენი იყვეს - მეთქი. სიმართლე გითხრა, ცოტა მენანებოდა სამნიმიწების ფართობი, მაინც ჩვენი გვარისა იყო, სანამ სულძაღლი ბოლშევიკები არ მოვიდნენ და რიკამდე არ გაგვაძრეს ტყავი. იმის მერე ერთი ხანობა ხო კოლექტივისა იყო. მერე კოლექტივმა რო ჭირი მოგვჭამა და კომუნისტები წაიდნენ, ეს ფართობიც გაანაწილეს. მამაჩემმა იძალავა იმ ცხონებულმა, ბარი დაარჭო და საბჭოს თავმჯდომარეს უთხრა. ფეხს არავის შევაკარებინებ, ჩვენი კუთვნია, მამაჩემისეულიაო. სულ რას მოგვცემდნენ და ერთი წილი კი მოგვიზომეს და იღბალი არ გინდა, ეს სულწაწყმედილი გახდა მომიჯნავე. ვეხვეწე, ხან აქედან მოვუარე, ხან იქიდანა, მოცვლაზე იქნებ დამთანხმეს -

მეთქი, ხევებში გამართულ ვენახს ვაძლევდი, ათი კოკა იწურებოდა, სულ რო უმოსავლო წელი ყოფილიყო, სულ გვალვიანი და უღვთომზიანი, მაგრამ მაგას რას შევაგნებინებდი. პოდა იმას გეუბნებოდი, ნახევარი ნაბიჯი სიგანისა ვაჩუქე, რო როგორმე მიმეუჩებინა, მაგრამ მტერთან თაფლის ფიჭით რას გახდები. ცხონებული მამაჩემი მეტყოდა ხოლმე, თუ გინდა, რო ცხოვრებამ არ გაგთელოს, ერთ ხელში თაფლის ფიჭა უნდა გეჭიროს, მეორეში კიდევ მათრახიო, რათა - მეთქი, რო ვკითხე, აესე ამიხსნა. ადამიანებს სულ რო თაფლი აჭამო, ბოლოს თაფლი რო გამოგელევა, შენ შეჭმას მოინდომებენ. სულ რო მათრახი ურტყა, არც ეგრე გამოვა, ბოლოს ბოლმაჩაგროვილები ისევ შენ მოგიბრუნდებიან და იმ მათრახს ისევ შენ გადაგაწნავენო, თაფლის ფიჭა უნდა აალოკო და მერე მათრახიც მიაყოლო, თაფლის ჭამის დროს მათრახი უნდა ახსოვდეთ და მათრახის გადაკვრის დროს კი თაფლის გემოს მოლოდინი უნდა ჰქონდეთ. რა შუაშია თაფლი და მათრახი, მაგრამ ერთი - ორი რო დამედო იმ ნახევარი ნაბიჯის სიგანის მიზომვას, შეიძლებოდა ესე არ გავემწარებინე. მაგრამ ის ჯანდამწვარი საბჭოს თავმჯდომარეც ხო ჩამოვიყვანე, ერთი კაი ინდაური ვაჩუქე, ერთი ბებერი საღვინეც გავუმსე. შენი ჭირიმე - მეთქი, იქნებ როგორმე მაპოვნინო სამართალი.

როცა ეს ნატანჯი სული გამდვრება, ჩემი წინაპრების გვერდით დავიმარხო, მათ გვერდით დავსაფლავდე. ამას რა დიდი სამართალის პოვნა უნდა, კაცო. არ ვიცი ესეთი რამე, მიწისკენ მიმაქ პირი, არ მინახავს. ჩამოვიყვანე, ის თავგასახმობი მიტრაც წამოიყვანა, მთელი სოფელი რო გადაჭიდა მიწების მიზომ-მოზომვითა, გადახედეს, გადმოხედეს. ეს რა უქნაო, წაიზმუკუნეს. აქ რა უნდა კაცო, მაგოღენა ლობის შემოვლებასა, მაგასა სასაფლაო კოლექტივის ფართობი ხომ არა ჰერნიაო, მარა რა გამოვიდა. ისევ ისე. ვერაფერი გავაწყე. შეხედე, გოგილოს მეზობელი ვასო კაი მსაჯულივით აკვირდება უანგიან მესრებს. საფლავშიც მეცილება, ასეთი რამე... ესეთი გაუმაძღარი კაცი. სასაფლაოს გაუმაძღრობა რაღაა, არ გააძღოს მამაჩემის სალოცავებმა, ამოთაქ ქვრივი ქალივით. რო გაჭიმავს ფეხებს, მერე უყოფა, ოთხ ნაბიჯს რო მიუზომავენ. სიკვდილის აქლემი ყველას ეზოში დაიზოქებსო. ეგ გამჩენმა უწყის, ვინ უფრო მაღალ წაგალთ, მაგრამ მაგას თავისას არ გავატანინებ.

\* \* \*

საკრებულოს თავმჯდომარე იბდვირება და სარკმლიდან გადასცექერის საკრებულოს შენობის ეზოს. ერთ დროს იქ ლენინის და სტალინის ძეგლები იდგა გვერდიგვერდ. ეხლა ცარიელი ადგილია.

— რა ვქნათ, ბოლო-ბოლო, — ეკითხება საკრებულოს მთავარი სპეციალისტი ხევსური საგინა. მართლა ხევსური კი არ არის, მაგრამ იქაურებმა შეარქვეს და შერჩა ეს მეტსახელი, ისე არავინ ისხენიებს.

— რაო ზურაბაშ, საბოლოოდ რა გითხრა. რა მითხრა კი არა, გაგიქდა მგონი ეგ უპატრონო. წუხელის იმდენი ველაპარაკე, თავი გამისკდა.

— ვერაფერი? — შეაწყვეტინა თავმჯდომარემ.

— ვერაფერი. ეგეთი რამე, კაცი დავბერდი და არ მინახავს. როგორი დავის მომსწრე აღარ ვერცილგარ. ერთი სამნის ქვის გულისთვინ ერთმანეთი კინაღამ დაუხოცავთ. ერთი პატარა კანაოს გულისთვინ ხეები რო მირიანად დაუჭრიათ, მარა ესეთი რამე, კაცო, სამარე. სამარე სამარეა და მორჩა. მაგაზე როგორ უნდა შეხძელდე ადამიანს. ან რა მნიშვნელობა აქეს, სად დაიმარხები, სასაფლაოს თავში თუ სასაფლაოს ბოლოში. მარა ჭკუა რო გამოვლევათ. არც ერთი თმობს, არც მეორე. წასულა ეგ ჭკუაშეფენცილი ზურაბა და რა გაუკეთებია თუ იცი? - გაეცინა მთავარ სპეციალისტს.

— საფლავი გაუთხრია.

— როგორ თუ გაუთხრია.

— აეგრე გაუთხრია. დაიკავა ადგილი. თვითონვე გაითხარა თავისი სამარე.

— ტყუილი იქნება, კაცო, — ვერ დაიჯერა თავმჯდომარემ და თვითონაც სიცილი აუგარდა.

– ჩემი თვალით ვნახე, სასაფლაოზე ვიყავი. მოვტუვდი, ერთი ბოთლი ღვინოც უნდა წამე-დო და ბარელაშ შენდობას ვეტყოდი მაგ ჩემი-სასა. ხველაში გადაუვიდა სიცილი თავმჯდო-მარეს.

– ნება დაგენახა, როგორ გულმოდგინედ უმუშავია. იმსიღმრე სამარე გაჭრა, იმსიღრმე და იმსიგანე, სამი ზურაბასნაირი დაეტევა. სამარის გაჭრაშიც კი იხარბა.

– მერე გოგილო? – იქითხა თავმჯდომარემ.

– გოგილოზე ნუღარ იტყვი, ცოლი და შვი-ლი აღარ შეარჩინა იმ დღეს. თუ რამე არ ვი-დონეთ, ნაღდათ მოკლავს. ხო იცი, როგორი სისხლის გუდაა. ფიცხი ბებერია გოგილო. სად მიდიხარ გოგილო - მეთქი, მე ვიცი, სადაც მივდივარო. სასაფლაოსკენ დაეშვა. მერე გავიგე, სამარე ისევ ამოუვსია. არი ეხლა ეგრე, იტყვი, ახალი დამარხულია ვინმეო. ერთი ეგ არი ყვავილები აკლია.

– სადავო საფლავი აქვთ, რას არ გაიგებ, კაცო, – ჩაიხითხითა თავმჯდომარემ, – სადავო საფლავი...

\* \* \*

იძინებს. ნელ-ნელა ებლიტება თვალები, ამთქნარებს, ცოტაც და პირველ დაქუხებამდე მიყუჩდება. ბუნებაზე ვამბობ, ხომ მიხვდით, დგანან საცოდავად გალოპრილი ტყემლები, ფშატები, ოტურები, ეზარებათ ძილი. დიდი

ხნის ძილი, გაზაფხულამდე, თოვლი ჯერ არ ჩამოუყრია, მაგრამ აკანკალებთ წინასწარ. ძილი... მიწაც იძინებს. მიწაც ჩაყუჩბულია. ზამთარს ორას ოთხმოცდამეხუთედ ხვდებიან გაძარცვული, ცადაქნილი ჭადრის კენწეროზე შემომსხდარი ბებერი ყვავები. ჭადრიდან დასცქერიან სასაფლაოს. ადამიანთა სასაფლაოს. ხანდახან უგერგილოდ დაიჩხავლებენ, რას გაიგებ რატომ წხავიან, იქნებ გამჩენსაც ემდურებიან, ამოდენა წუთისოფელი რო არგუნა, მოწყენა იცის ყველაფერმა და ალბათ ყვავებსაც ბეზრდებათ სიცოცხლე. სასაფლაოც ეგებება ზამთარს. ცოტაც და სასუფევლისფერი თოვლი დაფარავს მკვდარ სოფელს. ის ადგილი ხელ-უხლებელია. აბა, თუ მიხვდით, რომელ ადგილ-ზე მიგანიშნეთ. აი, გიგილო და ზურაბა რო დავობდნენ - არა ჩემია, არა ჩემიაო. ზურაბა თხრიდა, გიგილო ავსებდა. ბოლოს ასე მორიგ-დნენ: ვინც პირველი განერიდებოდა ამ ცოდ-ვილ წუთისოფელს, ის დაიმარხებოდა. ეჩქარე-ბოდათ, ეჩქარებოდათ. ასეთი რაღაცებიც ხდება.

## სარჩევი

უპოვარი გაბო	3
პატარების ზღაპარი უფროსებისათვის..	14
მამის იავნანა	25
თედო	35
სოფია, ფრანც იოსების ხმალი და	
თაიგული სოფიასთვის.....	55
ეველინა	68
ნატყვიარი	78
სადაცო საფლავი	178



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, ტ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge